# ლელო

გამოიცემა 1934 წლიდან

№ 280 (12 651) 28 ნოემბერი პარასკევი 2008 ფასი 50 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# SOS!

## ქართული კლუბები შავი დღის მოლოდინში

2

მესხეთის შემდეგ კრიზისი სიონსა და ოლიმპსაც ემუქრება



## ღირსეულთა დაბრუნება

11



## რატომ არ ჩქარობს დინამო ასათიანის გამოსყიდვას?

რა მქონდა კუპერთან მოუგვარებელი?

ინტერვიუ მალხაზ ასათიანთან

2

## ელიტრაუნდზე აღარ ვოცნებობთ

19-წლამდელთა ნაკრები. შესარჩევი ტურნირი

3



## ტაირონ ელისის საუკეთესო მატჩი

12

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიონი

პრობლემა

## დავით კირკიტაძე

# სიონის დაფინანსება 50 პროცენტით შემცირდება

## გააგრძელებს მადნეული საქართველოს ნაკრების სპონსორობას?

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის საცეცები ქართულ ფეხბურთსაც გადმოსწვდება. ამის თაობაზე რამდენიმე დღის წინ ვწერდით. თუმცა მას მერე კიდევ უფრო შემაშფოთებელი ინფორმაცია გავიგეთ - უკვე გადაწყვეტილია „მადნეულის" სამთო-მომპოვებელი წარმოების გაჩერება, რომელიც ბოლნისის „სიონს" ინახავს. კრიტიკული მდგომარეობაა რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, რომელიც რუსთავის „ოლიმპის" მთავარი დამფინანსებელია. არ დაგვავიწყდეს ისიც, რომ „მადნეული" არის საქართველოს ეროვნული ნაკრების გენერალური სპონსორიც. გამომდინარე აქედან, ჩვენი შეშფოთება გასაგები უნდა იყოს. ჯერ, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თავისთავად უსიამოვნო ფაქტია, როცა „მადნეულის" უამრავი თანამშრომელი და მათი ოჯახები უშემოსავლოდ რჩებიან და მეორეც - „სიონისა" და „ოლიმპის" მომავალს საფრთხე დაემუქრება, საქართველოს ნაკრებს კი თითზე ჩამოსათვლელი სპონსორებიდან უმთავრესი შემწე ველარ დაეხმარება. ჩვენი ინფორმაცით, ეს ყველაფერი მსოფლიო ბაზარზე „მადნეულის" მიერ წარმოებულ პროდუქციაზე ფასის ორჯერ დაცემამ გამოიწვია. დღეისთვის ანომალია დაფიქსირდა - ფასები თვითღირებულებაზე მცირეა. ასეთ ვითარებაში კი წარმოების მუშაობა გაუმართლებელია. აქედან გამომდინარე, როგორ გინდა, ამ პირობებში საფეხბურთო კლუბისა თუ ნაკრების დაფინანსება მოითხოვო?

ეს ინფორმაცია ქვემო ქართლის გუბერნატორმა, „სიონის" საპატიო პრეზიდენტმა **დავით კირკიტაძემ** დაგვიდასტურა:

- დიახ, სამწუხაროდ, ეს სიმართლეა. მსოფლიო ფინანსური კრიზისის გამო, „მადნეულის" პროდუქციაზე ფასები საგრძნობლად დაეცა, წარმოების მუშაობა კი შეჩერდა. აქედან გამომდინარე, პრობლემები ბოლნისის „სიონსაც" შეექმნება. ჩვენი დიდი სურვილის მიუხედავად, ამ პროცესის თავიდან აცილებას ვერც ქვეყანა ახერხებს და ვერც „სიონი". კლუბის დაფინანსება მნიშვნელოვნად შემცირდება. „მადნეულის" პოზიციაც გასაგებია - კომპანია ცდილობს, ჯერ სამუშაო ადგილები შეინარჩუნოს, შემდეგ კი, შეძლებისდაგვარად, სოციალური პროექტებიც. თუმცა სოციალური პროექტები მხოლოდ მეორე რიგში განიხილება. „სიონი" და ფეხბურთი სწორედ სოციალური სფეროა.

**- ანუ, „მადნეული" „სიონს" ველარ დააფინანსებს?**

- დააფინანსებს, მაგრამ ისე არა, როგორც აქამდე იყო.

**- დაახლოებით, რამდენჯერ შემცირდება კლუბის დაფინანსება? 50 პროცენტით თუ უფრო მეტით?**

- დაახლოებით, 50 პროცენტით. ვიმეორებ, არავის სურს გუნდის დასუსტება, დაპირებულზე ნაკლების გაცემა, მაგრამ ეს პროცესი საკმაოდ რთულია და როგორლაც უნდა გავუძლოთ.

**- გამოდის, რომ „სიონიდან" ძლიერი ფეხბურთელები წავლენ?**

- არ მგონია, ასეთ კატასტროფამდე მივიდეს საქმე. თუმცა ბევრ სიკეთეზე მოგვიწევს უარის თქმა .

**- მაგალითად?**



დავით კირკიტაძე

- მაგალითად, ზამთარის შესვენებისას მოსამზადებელი ეტაპი ანტალიაში დავგეგმეთ. უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ეს გამოირიცხა. ამას გარდა, მეორე წრიდან გაძლიერებას ვგეგმავდით, რამდენიმე ფეხბურთელის დამატება გვსურდა და ესეც ვერ მოხერხდება... სხვათა შორის, ანალოგიური პროცესი მოსალოდნელია რუსთავის „ოლიმპშიც". მსოფლიო კრიზისი მეტალურგიულ წარმოებასაც შეეხო და ამას ვერც რუსთავის კომბინატი გადაურჩებოდა.

**- ნუთუ, გამოსავალი არ არსებობს?**

- ვცდილობთ, სახელმწიფო ბიუჯეტში მოვიძიოთ თანხა, რათა ორივე გუნდი მძიმე მდგომარეობისგან ვიხსნათ. „ოლიმპიც" და „სიონიც" საქართველოს ექსჩემპიონები არიან, ორივე გუნდს საკუთარი ხელწერა აქვს და არ გვინდა, რომ „მესხეთისა" და „ამერის" ბედი გაიზიარონ. ისედაც ბევრი კლუბი გაკოტრდა და რამენაირად, ეს ორი გუნდი დღევანდელ დონეზე მაინც უნდა შევინარჩუნოთ. ქვემო ქართლში ძლიერი საფეხბურთო ცენტრებია ჩამოყალიბებული და მათი დანგრევის უფლება არ გვაქვს.

**- „მადნეული" ეროვნული ნაკრების სპონსორიცაა. გამოდის, რომ ნაკრებსაც მოაკლდება სპონსორი?**

- ამაზე ვერაფერს გეტყვით...

„სიონის" მთავარი მწვრთნელი **ოთარ კორღალიძეც** გაურკვევლობაშია:

- ზუსტად არც ვიცი, რა შეიძლება მოხდეს. ჩვენ მაინც ძველებური მონდომებით ვითამაშებთ, „სიონის" ხელმძღვანელობის იმედები რომ გავამართლოთ. წარმოუდგენელია, დავით კირკიტაძემ გუნდი გასაჭირში მიატოვოს. ვიცით, რომ ვერც მოთამაშეებს დავიმატებთ და უცხოეთში შეკრებასაც ვერ გავივლით, მაგრამ ესეც არაფერია. ზოგი გუნდისთვის საქართველოში შეკრებაც პრობლემაა, ჩვენ კი ამაში დაბრკოლება არ შეგვექმნება. რა მოხდა მერე? ფულს ანტალიაში არ დავხარჯავთ და თბილისში ვივარჯიშებთ. თუმცა საბოლოოდ ჯერ არ ვიცით, რამდენით შეგვიმცირებს „მადნეული" დაფინანსებას...

ამის შემდეგ ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ **გოგი ქავთარაძესაც** დავუკავშირდით:

**- ბატონო გოგი, „მადნეულში" შექმნილი პრობლემის გამო, კომპანიას ეროვნული ნაკრების სპონსორობაზე უარი ხომ არ უთქვამს?**

- ჩვენ ჯერ ერთმანეთს არ შევხვედრივართ და ამაზე არც გვილაპარაკია. არც ის ვიცით, რაიმე საფრთხე ემუქრება თუ არა ჩვენს სასპონსორო ხელშეკრულებას. „მადნეულის" ხელმძღვანელობასთან ძალიან კარგი, პიროვნული ურთიერთობები ჩამოგვიყალიბდა. ვიცი, რომ „მადნეულში" პრობლემებია, წარმოება დახურვის საფრთხის წინაშეა, შესაძლოა, თანამშრომელთა ნაწილიც გაუშვან... თუმცა თავად „მადნეულის" ხელმძღვანელობას არ უცნობებია, რომ ხელშეკრულების შეჩერებას ან შეწყვეტას აპირებს. ისინი აქამდე პირნათლად ასრულებდნენ შეთანხმებას და იმედია, შემდგომშიც ასე გაგრძელდება. პირადად მე არ მაქვს შიში, რომ თანამშრომლობა შეწყდება. გასაგებია, პრობლემები არსებობს, მაგრამ იმედია, ჩვენი გუნდები - „ოლიმპი" და „სიონი", გადარჩებიან. რუმინეთში ილია კოკაიას ვესაუბრე და მართალია, ვიცით, რომ პრობლემები „ფეროსაც" შეექმნა, მაგრამ ბატონ ილიას „ზესტაფონის" შესაძლო დაშლასა და პრობლემებზე არაფერი უთქვამს.

ინტერვიუ

მალხაზ ასათიანი

# კიეველები ასათიანის გამოსყიდვას არ ჩქარობენ...

## რა მქონდა კუპერთან მოუგვარებელი?



მალხაზ ასათიანი არსენალთან ჩემპიონთა ლიგის მატჩში

**მოსკოვის „ლოკომოტივის" პრეზიდენტმა ნიკოლაი ნაუმოვმა სეზონის დასრულების შემდეგ „სოვეტსკი სპორტს" ინტერვიუ მისცა. ერთ-ერთი კითხვა საქართველოს ეროვნული ნაკრების ცენტრალურ მცველ მალხაზ ასათიანს ეხებოდა. როგორც ცნობილია, კიევის „დინამოში" ასათიანი სექტემბერში, კიეველთა მთავარი მწვრთნელის იური სიომინის დაჟინებული მოთხოვნით აიყვანეს. მალხაზი ნელ-ნელა ფორმაში ჩადგა და „დინამოს" შემადგენლობაში უკვე ხშირად თამაშობს - განსაკუთრებით, უკრაინის ჩემპიონატში. თუმცა არასწორი ინფორმაციაა, თითქოს, ქართველ ლეგიონერს საყრდენი ნახევარმცველის პოზიციაზე ათამაშებენ. მალხაზი უკრაინის პირველობაზეც მცველია. რაც შეეხება ჩემპიონთა ლიგას, ასათიანმა აქ „არსენალის" წინააღმდეგ სასტარტოში პირველად ითამაშა. ათბალიანი სისტემით, „სქაი სპორტმა" მას „ხუთიანი" დაუწერა...**

**დავუბრუნდეთ ნაუმოვის ინტერვიუს. „ლოკომოტივის" პრეზიდენტს ჟურნალისტმა ჰკითხა - კიევის „დინამოში" არენდით წასული მალხაზ ასათიანის საკითხი ჯერაც ღიად რჩებაო?**

*„კიეველები მისი კონტრაქტის გამოსასყიდად არ დაგვკავშირებიან,"* - განაცხადა ნაუმოვმა. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ უკრაინელებს ქართველი ლეგიონერის გამოსყიდვის სურვილი არ გააჩნიათ. საშემოდგომო სეზონი დასრულდება, ჩემპიონთა ლიგაში შესვენება გამოცხადდება და, ალბათ, კლუბები მოსალაპარაკებლად ამის მერელა დასხდებიან. ჩვენი ინფორმაციით, კიეველებს ასათიანის ტრანსფერის გამოსყიდვა სურთ.

რა ხდება რეალურად - აფორმებს თუ არა ასათიანი კიეველებთან სრულფასოვან კონტრაქტს? ამის გასაგებად გუშინ თავად საქართველოს ნაკრების ფეხბურთელი გვესაუბრა...

**- მალხაზ, „ლოკომოტივის" პრეზიდენტი ნიკოლაი ნაუმოვი აცხადებს, რომ დღემდე კიეველებს მათთვის კონტრაქტის გამოსყიდვა არ უთხოვიათ...**

- ჯერ ამაზე ლაპარაკი ნაადრევია. ყველაფერი 10 დეკემბრის შემდეგ გაირკვევა. მანამდე კიდევ 3 თამაში გვაქვს ჩასატარებელი - ორი უკრაინის პირველობაზე, ერთიც ჩემპიონთა ლიგაში. ჩემი საკითხიც მხოლოდ ამის შემდეგ გადაწყდება.

**- პირადად შენთვის არაფერი უთქვამთ პრეზიდენტს ან მწვრთნელს?**

- არა, არ გვილაპარაკია. წლის ბოლომდე „დინამოში" არენდით რომ ვარ, ახლა მხოლოდ ეს ვიცი. სიომინსაც არაფერი უთქვამს. თუ არ დავრჩები, „ლოკომოტივთან" კიდევ ორწლიანი კონტრაქტი მაქვს და დავბრუნდები.

**- შენი ასარჩევი რომ იყოს, დარჩებოდი?**

- სადაც მათამაშებენ და მენდობიან, იქ მირჩევნია. ყველა ფეხბურთელი ასეა.

**- და კიევში ხომ გათამაშებენ და გენდობიან?**

- დიახ, სიომინი მათამაშებს, თუმცა... ხომ გითხარით, ჯერ არაფერია გადაწყვეტილი.

**- მალხაზ, ვთქვათ, რუსეთში დაბრუნება მოგიხდა. აგვისტოს ომის შემდეგ იქ თამაში არ გაგიჭირდება?**

- იცით, ყველა ქვეყანაში ათასნაირი ხალხია. ასეა რუსეთშიც. პირადად მე, „ლოკომოტივში" პრობლემა არასდროს შემქმნია. ან რომელ პრობლემაზეა ლაპარაკი, როცა გუნდში ამდენი მეგობარი მყავს და მათ კარგად ესმით, რომ ასეთ დროს პოლიტიკოსების აყოლა არ შეიძლება. სხვა რამაა საწყენი - ორი მართლმადიდებელი ერი ერთმანეთი ეომა. ეს დაუშვებელი იყო. მე არასდროს მიფიქრია და არც ვიფიქრებ ისე, როგორც პოლიტიკოსები ფიქრობენ. ასევე იყვნენ ჩემი თანაგუნდელები „ლოკომოტივში". ომი არავის უნდა!

**- რუსეთში ბევრ ქართველს შეჰქმნია სავიზო პრობლემა - ხოჯავას, გოგუას, მუჯირს და ასე შემდეგ. ბარიერები ხომ მაინც რჩება...**

- ჩვენზე შეზღუდვები არ მოქმედებს, ვიზებს უპრობლემოდ გვაძლევენ. თუ ქვეყანა დაიქცა და ვიზების გაცემა აკრძალეს, მაშინ წამოვალ.

**- კიევის „დინამო" ჩემპიონთა ლიგას კი დაემშვიდობა, მაგრამ შანსი გაქვს, უეფას თასზეც ითამაშო...**

- ჰოდა, ახლა მთავარია, ბოლო ტურში „ფენერბაჰჩესთან" არ წავაგოთ. ასეთ შემთხვევაში უეფას თასზე ვითამაშებთ.

**- საინტერესოა, ნაკრებში რატომ არ ითამაშე? ოფიციალურ მიზეზად ტრავმა დასახელდა, მაგრამ მალე კიეველთა განაცხადში გიხილეთ...**

- ტრავმა კი მქონდა, მაგრამ უმნიშვნელო იყო. ჩამოუსვლელობის მიზეზი ეს არ ყოფილა - ვიზის აღება გამირთულდა. იმ დროისთვის კიევის „დინამო" „არსენალთან" სათამაშოდ გასამგზავრებელ საბუთებს აკეთებდა და ჩემი პასპორტი ინგლისის საელჩოში წაიღეს. ზუსტად ამ დროს მომთხოვეს პასპორტი საქართველოს ნაკრებიდან, რუმინეთის ვიზა რომ გაეკეთებინათ. ფიზიკურად ველარ ვახერხებდი და ამიტომაც დავრჩი კიევში, თორემ თავად ვიზა პრობლემა არ ყოფილა. როცა ინგლისის საელჩოდან პასპორტი გამოიტანეს, უკვე დაგვიანებული იყო.

**- ასეა თუ ისე, შენსა და კუპერს შორის ურთიერთობა მოგვარდა?**

- და რა იყო მოუგვარებელი?! ჩვენ ხომ არ გვიჩხუბია. იმედია, ყველა თამაშზე მიმიწვევს.

**- კიევის „დინამოში" მოთამაშე ალადაშვილს, იმედაშვილსა და მარცვალაძეს საქართველოში კარგად იცნობენ, თემურ ფარცვანიასა და ლაშა თოთაძეს კი - ნაკლებად. იქნებ, გვითხრა, რა დონის ფეხბურთელები არიან ფარცვანია და თოთაძე?**

- სიმართლე გითხრათ, ფარცვანიას თამაში არ მინახავს. თუმცა უკრაინის 19-წლამდელთა ნაკრების ცენტრალური მცველია და ამით ყველაფერია ნათქვამი. თოთაძეს კი „დინამოს" დუბლებში იშვიათად უწევს თამაში, მაგრამ ოდესღაც ყველა ასე ვიწყებდით. კიევის „დინამოში" არავის აიყვანენ, სანამ არ დარწმუნდებიან, რომ ნიჭიერია. მე მისი რამდენიმე თამაში ვნახე და ნამდვილად კარგი ფეხბურთელია. 19 წლისაა, მომავალი წინ აქვს, იშრომებს და იმედია, გაიზრდება.

გვერდი მოამზადა
**მერაბ მამულაშვილმა**

ლელო
დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გაზეთი ლელო
გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილე **პაატა გელაშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. ლელოს მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

თქვენს ხელთაა უძველესი და მდიდარი ტრადიციის გაზეთი. გსურთ "ლელო" უფრო უკეთესი? მოგვწერეთ რა მოგწონთ, რა არ მოგწონთ, რას ისურვებდით... ელექტრონული ფოსტა **lelo@palitra.ge**

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **42 32 73, 899 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 32 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com**; ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **37 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა გზით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

U 19. ევროპის ჩემპიონატი. შესარჩევი ციკლი



ჩეხებმა მოგვიგეს და მომდევნო ეტაპზე გავიდნენ

# მორჩა, საშველი აღარ არის

19-წლამდელთა შორის ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე გუშინ ჩვენს ჯგუფში დასკვნითი მატჩები გაიმართა. **ზაურ სვანაძის** გუნდი ჩეხეთთან მინიმალური ანგარიშით (0:1) დამარცხდა. ეს ერთადერთი გოლი **იოზეფ შურალმა** გაიტანა. პირველ ტაიმში ჩეხებს სამი საგოლე შანსი ჰქონდათ, მაგრამ ვერ გამოიყენეს. მეორე ნახევარი კი უკვე ქართველთა უპირატესობით წარიმართა. მეტოქე იძულებული გახდა, კონტრშეტევაზე გადაეწყო თამაში. ჩვენებს სწორედ ჩეხების ერთი კონტრიერიში გაეპარათ და ამით მოწინააღმდეგემ უმალ ისარგებლა. ეს ამბავი 69-ე წუთზე მოხდა. სვანაძის ბიჭებს კიდევ ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობა, მაგრამ სამწუხაროდ, ანგარიში აღარ შეცვლილა.

ჩვენი 19-წლამდელების სასტარტო შემადგენლობა ასეთი იყო: **მაკარიძე, რიგვავა, კაკუბავა, კაჭკაჭიშვილი, გეთიაშვილი, გამრეკლიძე, შონია, თარხნიშვილი, სალარიძე, შეყილაძე, ქანთარია.**

მეორე შეხვედრაში დანიამ კვიპროსი 2:1 დაამარცხა და 5 ქულით ჯგუფში პირველი ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულით მეორე საფეხურზე ჩეხეთი აღმოჩნდა, საქართველოს მესამე, კვიპროსს კი მეოთხე ადგილი ერგო. მოგეხსენებათ, ჯგუფის ორი გამარჯვებულის გარდა, ელიტრაუნდში ორი საუკეთესო მესამეადგილოსანიც გადის. ჩვენი 19-წლამდელები მესამეზე კი გავიდნენ, მაგრამ სხვა ჯგუფების მესამეადგილოსნებს უკეთესი მაჩვენებლები აქვთ. შესაბამისად, ჩვენი ჭაბუკები გათამაშებას გამოეთიშნენ.

**დავით ცაბაძე**

ინტერვიუ

გიორგი დევდარიანი

# სემინარი თემაზე: როგორ შევქმნათ პროდუქტი



გიორგი დევდარიანი

**ფეხბურთის** განვითარებისთვის აუცილებელია მწვრთნელი, მწვრთნელისთვის აუცილებელი - თვალსაწიერის გაფართოება, თვალსაწიერის გაფართოებისთვის კი აუცილებელია უცხოეთში წასვლა, ამ ცოტა ხნის წინ ბელგიაში, სამწვრთნელო სემინარზე, 10 ქართველი მწვრთნელი (**გაიოზ დარსაძე, გიორგი დევდარიანი, ნოდარ აკობია, გელა შეყილაძე, ლევან ხომერიკი, კობა ჟორჟიკაშვილი, სოსო ფრუიძე, კოტე მელქაძე, ვასილ მაისურაძე, კახა გოგიჩაიშვილი**) გაემგზავრა. ასეთი სემინარები ხშირად არ ეწყობა, ყოველ შემთხვევაში, ქართველი მწვრთნელებისთვის. ამ ათეულიდან ყველას როდი გაუწვრთნია უმაღლესი თუ პირველი ლიგის გუნდები, ზოგი ჯერაც მხოლოდ ბავშვთა ფეხბურთში საქმიანობს, მაგრამ თქმა რად უნდა, რომ უცხოეთში წასვლა და იქაური გამოცდილების შეძენა, ყველასათვის სასარგებლოა.

ბელგიურ სემინარზე საქართველოს 16-წლამდელთა დამრიგებელსა და საფეხბურთო კლუბ „საბურთალოს“ მწვრთნელ გიორგი დევდარიანს გავესაუბრეთ...

**- რომელ ქალაქში გაიმართა სემინარი და რა საკითხებს მოიცავდა?**

- ბრიუსელში, უეფას ეგიდით გაიმართა გვანახვეს თუ როგორ ზრდიან ფეხბურთელებს ბელგიაში. შევიტყვეთ, რომ 7-დან 18-წლამდე ასაკში ყველა საფეხბურთო სკოლა ერთი და იმავე მეთოდიკით მუშაობს. ამ სკოლებიდან გამოსული ჭაბუკები ასაკობრივ ნაკრებებში რომ ხვდებიან, უკვე ყველას ადვილად ესმის ერთმანეთის. საქართველოში უფრო პერსპექტიული ბავშვები არიან, მაგრამ პროდუქტი იქ უფრო კარგი იქმნება, რადგან ბელგიაში საამისო გარემო უკვე არსებობს.

**- ვინ ხელმძღვანელობდა ამ სემინარს?**

- მიშელ საბლონი, რომელიც უეფაში საკმაოდ გავლენიანი კაცია, ბელგიაში კი იქაური ნაკრები გუნდების ტექნიკურ ჯგუფს ხელმძღვანელობს.

**- სემინარი მხოლოდ ქართველი მწვრთნელებისთვის ჩატარდა?**

- ჩვენ გარდა, კიდევ ორი ქვეყნის დელეგაცია იყო: ათ-ათი მწვრთნელი მალტიდან და ავსტრიიდან.

**- რომელიმე თამაშს დაესწარით?**

- ბელგიისა და ჰოლანდიის 18-წლამდელთა ამხანაგურ მატჩზე გახლდით, ბელგიელებმა 3:0 მოიგეს, ისეთი თამაში იყო და 90 წუთი ისე გავიდა, ვერც გავიგე. იქ სისტემა მუშაობს, ჩვენთან კი...

**- ვარჯიშებზე რა აღმოაჩინეთ ყველაზე უფრო საყურადღებო?**

- თავად ვარჯიშის ორგანიზაცია. წვრთნა წინასწარ არის დაგეგმილი, ყველაფერი ისეა აწყობილი, რომ გუნდი გეგმაზომიერად მოემზადოს თამაშისთვის. რაც ვარჯიშებზე კეთდება, ყველაფერი ერთად თავს იყრის კვირის ბოლოს, თამაშზე... თითოეული სავარჯიშო დღე კონკრეტულ კომპონენტს ეთმობა.

**- ბავშვთა ფეხბურთი სტრუქტურულად როგორ არის აწყობილი?**

- ბელგიაში 12 ტოპსკოლაა, რომელთაც იქაური ფეხბურთის ფედერაცია და მთავრობა აფინანსებს, ამავე დროს, ეს სკოლები ზოგადსაგანმანათლებლოცაა. ყველა ამ სკოლაში 4-3-3 სქემას ამუშავებენ, რადგან ამ ტაქტიკით თამაშობს ბელგიის ეროვნული ნაკრები.

**- ასე მხოლოდ ბელგიაშია?**

- ჰოლანდიის ნაკრები 4-2-1-3 სქემით თამასობს და იქაც მსგავსი სისტემაა, იმავე პრინციპით მუშაობენ ესპანეთშიც, რადგან ეს მომგებიანია.

**- ...მაგრამ ბელგიის ნაკრებს არ აქვს დიდი წარმატებები...**

- ჯერ არ აქვს, მაგრამ ექნება, რადგან უკვე აქვს სისტემა.

**- ქვეყანაში ყველამ ერთი და იმავე ტაქტიკით უნდა ითამაშოს? ასეთი დოგმა მართებულად მიგაჩნიათ?**

- განლაგება ვარიაციებს არ გამორიცხავს. მაგალითად, იგივე 4-3-3 სქემა არაერთი ვარიანტის გამოყენებას ითვალისწინებს და მწვრთნელს საშუალება ეძლევა, შემოქმედებითი საქმიანობა გაშალოს - ნებისმიერ განლაგებას აქვს ასეთი რესურსი. მთავარია, ბაზისის შენარჩუნება.

**დავით თავართქილაძე**

ერთი კვირის ათასი წვრილმანი.
დავით თავართქილაძის რუბრიკა

# ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება

არის ასეთი წიგნი - „ყალთაბანდ ფელიქს კრულის აღსარება“. ეს არ არის შედევრი, მაგრამ მაინც კლასიკაში გადის. ამ წიგნის სიუჟეტი სახალისოც არის და ამავე დროს - დამაფიქრებელიც. აგერ, ერთი ფრაგმენტი: მამა და შვილი თეატრში მივლენ, ერთ-ერთი მსახიობის თამაშით მოიხიბლებიან და სპექტაკლის შემდეგ საგრიმიოროშიც ესტუმრებიან. აღმოჩნდება, რომ გრიმის, განათებისა და თეატრალური კოსტიუმის გარეშე ეს მსახიობი საშინელი სანახავია - სულით, ხორცითა და საქციელით. პატივცემული ბიურგერის შვილი, ყალთაბანდი ფელიქს კრული, მას შეადარებს ციცინათელას, რომელიც ღამის შუქზე თვალისმომჭრელია, დღის სინათლეზე კი ერთი ჩვეულებრივი, საზიზღარი ხოჭოა, რომელსაც თეატრის ილუმინაცია, მოკაზმულობა და როლი სულ სხვა რამედ აქცევს.

ასეა, ყველამ კი არ იცის ყველაფერი, უმეტესობა სწორედ ციცინათელებს ხედავს და არა საზიზღარ მწერებს. საქართველოს ნაკრებმა რუმინეთთან 19 ნოემბერს 1:2 რომ წააგო, ამ თამაშზე აზრი არა ერთმა სპეციალისტმა გამოთქვა. რევაზ ძოძუაშვილმა სულაც 2001 წელს თბილისში გამართული მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის მატჩი გაიხსენა, როცა ჩვენმა



ნაკრებმა რუმინეთთან 0:2 წააგო. ჩვენს ეროვნულ გუნდს მაშინ დავით ყიფიანი და ძოძუაშვილი თავკაცობდნენ. ჰოდა, ძოძუაშვილმა ახლაღა განაცხადა - რუმინეთთან წაგება „ზემოთ“ გადაწყდა, მაშინ ქართულ ფეხბურთში ბნელი ძალები უფრო მძლავრად მოქმედებდნენო. მაშ რუმინეთთან მაშინდელი წაგება მწვრთნელების კი არა, „ბნელი ძალების“ ბრალი ყოფილა?

ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ამ ძალებმა თამაში მიჰყიდეს რუმინელებს და რაკი ძოძუაშვილმა ახსენა - „ზემოთ“, ასევე ლოგიკა გვეუბნება, რომ „ბნელ ძალებში“ ფეხბურთის ფედერაციის მაშინდელი ხელმძღვანელობა უნდა ვიგულისხმოთ.

ლოგიკასა და ვარაუდებს დროებით შევეშვათ, ფაქტებზე გადავიდეთ. ნაკრების მწვრთნელებმა მაშინ ფედერაციის ხელმძღვანელობას თხოვნით მიმართეს - თამაში თბილისში კი არის, მაგრამ უცხოეთში გვსურს ფეხბურთელების შეკრება და მომზადებაო.

მოგეხსენებათ, მაშინ ცოტა სხვა დრო იყო, უცხოეთიდან თბილისში ჩამოსულ ლეგიონერებს ათასი ნაცნობ-მეგობარი აწუხებდა და ფულს სთხოვდა. გერმანიაში შეკრების მოწყობის ერთ-ერთი მიზეზი სწორედ ეს იყო. ცხადია, ასე კი შეკრება იაფი არ დაჯდებოდა, თანაც მაშინ ფეხბურთის ფედერაციას ნაკლები შემოსავალი ჰქონდა და სახელმწიფო კი ერთი თეთრითაც არ ეხმარებოდა. და რა გამოდის? თუ ფედერაციამ ფეხბურთელები აიძულა, თამაში გაეყიდათ, მაშინ რატომღა დახარჯა ათასობით დოლარი გუნდის გერმანიაში მოსამზადებლად? გერმანიაში ჩასულ ნაკრებს წვიმა და ტალახი დახვდა. მწვრთნელებმა კი ასეთ პირობებში ფეხბურთელები ისე დატვირთეს, რუმინეთთან მატჩისთვის გათანგულები იყვნენ. როცა ანგარიში უკვე 0:2 იყო, ჩვენმა ერთ-ერთმა მწვრთნელმა მოედანზე მცველი რევაზ ქემოკლიძე შეუშვა, რომლის სტიქია სულაც არ არის შეტევაში ჩართვა და თამაშის გამწვავება...

ყოველივე ამის შემდეგ დავსვათ კითხვა - ვისი ბრალი იყო რუმინეთთან წაგება და ვინ არის „ბნელი ძალა“? დაიდეთ ხელის გულზე ციცინათელა და ნახავთ, რა ხვითოც არის - დაახლოებით ასეა საქმე.

თვით ყალთაბანდი ფელიქს კრულიც კი სინამდვილეს აღწერს თავის აღსარებაში. იმ მსახიობის ციცინათელასთან შედარებაც ნამდვილი ამბავია...

## მე რა, ვინმე მაძლევს პრემიას?

...თბილისის „ლოკომოტივი“ კი თასის ნახევარფინალში გავიდა. ეს არის გუნდი, რომლის გამარჯვება პრინციპულ მატჩებში თავისებურად გემრიელია - „ლოკომოტივი“ არ იგებს თამაშებს ჯაჯგურით, ის კლასის ხარჯზე ამარცხებს მეტოქეებს. „ლოკომოტივისგან“ „ჯაჯგურჰემპტონი“ არ გამოვა, თუნდაც იმიტომ, რომ მას ჰყავს ლევან ცქიტიშვილი, ბურთის დიდებულად მომთვინიერებელი, გამოცდილი და გამჭრიახი ფეხბურთელი.

მაგრამ ლოკომოტიველებს არ აქვთ პრემიები - ასეთია კლუბის ხელმძღვანელობის პოზიცია. „ლოკომოტივის“ პრეზიდენტი, ბიზნესმენი ლექსო თოფურია სერიოზული კაცია საფეხბურთო მილეთში - საამსეზონოდ კლუბის ბიუჯეტი მნიშვნელოვნად გაზარდა და საგურამოს ბაზის მშენებლობაც თითქმის დაასრულა. მწვრთნელ-ფეხბურთელებისთვის პრემიების დარიგება კი მარილის მოყრა იქნებოდა ამ ყველაფერზე, მაგრამ... ასეთი ხალხი საქართველოში თავს მარტოსულად გრძნობს, წახალისება მათაც სჭირდებათ და ამ შემთხვევაში უკვე სახელმწიფო ამბობს უარს პრემიების გაცემაზე - საფეხბურთო კლუბს იყოლიებ თუ არა, ქვეყნისთვის სულერთია...

## კუპერი ცალკეა

...არ გეჩვენებათ, რომ ექტორ კუპერს მეტისმეტი მოსდის? ის არ იწვევს ნაკრებში ცქიტიშვილს თუნდაც ამხანაგური მატჩისთვის და გმირებს საშუალო გაქანების მქონე ნახევარმცველებს შორის ეძებს. კუპერი არ შედის პოლემიკაში არავისთან, აქაური სპეციალისტების აზრი მას საერთოდ არ აინტერესებს, არ აინტერესებს სამწვრთნელო საბჭოს შექმნა და არც ის, ფეხბურთის ფედერაციაში ტექნიკური დეპარტამენტი საერთოდ არსებობს თუ არა. კუპერს არც ის ანაღვლებს, რა მოდელით ითამაშებენ ჩვენი ასაკობრივი ნაკრებები, არ მიიჩნევს მიზანშეწონილად, იმუშავოს ასაკობრივ ნაკრებთა მწვრთნელებთან. კუპერი ცალკეა, ის ხომ სენიორ ექტორ რაულ კუპერია. არის მასში რაღაც ქედმაღლური. ფედერაციაც არ ჩქარობს, გაარკვიოს, რაში სჭირდება მას ისეთი ტექნიკური დირექტორი, რომლის დათხოვნასაც აპირებს - პეტარ შეგრტზეა ლაპარაკი...

კუპერი ეროვნული ნაკრების მწვრთნელია და თუ მის შტაბში მხოლოდ ორი-სამი კაცია, ვერ ყოფილა კარგად ჩვენი საქმე. კუპერი ვერ შეგვიცვლის გემოვნებას - კარგი ფეხბურთელის ფასი ყველამ იცის და ნაკრებიც იმისაა, საუკეთესოებმა რომ მოიყარონ თავი...

ეროვნული ბიბლიოთეკა



ინციდენტის შემდეგ

# გონჩაროვი: იანვარში ვარჯიში, თებერვალში თამაში



როგორც იცით, კვირას „მესხეთის" ფორვარდი" **ბორის გონჩაროვი** მეუღლესთან და მცირეწლოვან ვაჟთან ერთად ავტოავარიაში მოყვა. საგზაო შემთხვევა ნუცუბიძის ქუჩაზე, გონჩაროვების სახლის შორიახლოს მოხვდა. დაზარალებულები იმავე საღამოს რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. თავდაპირველად ისინი რეანიმაციაში მოათავსეს, მაგრამ მალევე პალატაში გადაიყვანეს და ახლა შედარებით უკეთ არიან. აი, რა გვიამბო გონჩაროვმა:

*„ავარია საღამოს 7 საათზე მოხდა. მეუღლესთან და შვილთან ერთად შინ ვბრუნდებოდი. მოგეხსენებათ, ნუცუბიძის ქუჩა ვიწროა და ნელი სვლით მივდიოდით. საპირისპირო მხრიდან ძალზე სწრაფად მოძრაობდა ორი მანქანა. პირველს როგორღაც ავცდით, მაგრამ მეორე პირდაპირ დაგვეჯახა. ჩემი ავტომობილი მანქანას აღარ ჰგავს, გადასაგდებია... ძალზე მძიმე ავარია იყო, კიდევ იოლად გადავრჩით. პატარა სანდრო დილომში წევს ბავშვთა საავადმყოფოში, მას ჩვენი ახლობლები უვლიან. ბავშვიც და ჩვენც უკეთ ვართ. ტკივილები აღარ გვაწუხებს. მომდევნო კვირაში შინ გამწერენ, ფეხზე თაბაშირს კი დეკემბრის ბოლოს მოვიხსნი. ექიმებმა მითხრეს, იანვარში მსუბუქად ვარჯიში შეგეძლება, თებერვალში კი ითამაშებო".*

**დავით ცაბაძე**

ლეგიონერები

# უქართველო უეფა

გუშინ უეფას თასის ჯგუფური ეტაპის მე-3 ტურის მატჩებში სამმა „ქართულმა" გუნდმა ითამაშა. **ლევან კობიაშვილისა** და **ლევან ყენიას** „შალკემ" შინ 0:2 წააგო „მანჩესტერ სიტისთან". ყენიას (ტრავმა) გამოჩენას არც ველოდით, თუმცა მას შემდეგ, რაც კობიაშვილი ჩემპიონატის მატჩში სკამზე დასვეს, ვიმედოვნებდით, რომ ლევანს თამაშის საშუალებას ევროთასებზე მაინც მისცემდნენ. ქართველი განაცხადში კი იყო, მაგრამ ის მოედანზე არ გამოჩენილა.

„შალკეს" სამი ტურის შემდეგ 4 ქულა აქვს. B ჯგუფში მოთამაშე ხარკოვის „მეტალისტმა" მოულოდნელად სტუმრად დაამარცხა „გალათასარაი". თუმცა **ლაშა ჯაკობია** უკრაინული გუნდის განაცხადში არ ყოფილა. „მეტალისტს" 2 მატჩის შემდეგ 4 ქულა აქვს.

**კახა კალაძის** „მილანი" ინგლისურ „პორტსმუთს" ეწვია. საქართველოს ნაკრების კაპიტანი სათადარიგო იყო. „როსონერიმ" ჯგუფურ ეტაპზე პირველი ქულები დაკარგა - 2:2. **კარლო ანჩელოტის** გუნდი 0:2-ს აგებდა, მაგრამ **რონალდინიოსა** (84-ე წუთი) და **ინძაგის** (90-ე წუთი) გოლებით მარცხს დაუძვრა. კალაძე კი ბოლომდე სკამზე დარჩა. „მილანს" 3 თამაშის მერე 7 ქულა აქვს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

გიორგი ფოფხაძე

# აუცილებლად დავბრუნდებით

დანიის რანგით მეორე ლიგა, ვისატდივიზიონი ხუთი დღის წინ ზამთრის შესვენებაზე გავიდა. სასიხარულოა, რომ 32 ქულით ლიგას დივიზიონში მოთამაშე ერთადერთი ქართველის, **გიორგი ფოფხაძის** „ვიბორგი" ლიდერობს. 15 ტურის შემდეგ „ვიბორგი" ერთი ქულით უსწრებს „ჰერფოლგეს", სასლიგის (უმაღლესი დივიზიონი) საგზურს კი გაზაფხულზე ორი გუნდი მიიღებს. გუშინ კლუბის ოფიციალურ ვებგვერდზე ქართველ მარცხენა მცველთან მცირე ინტერვიუ გამოქვეყნდა.

გიორგი კმაყოფილია კლუბის შედეგით და საკუთარი თამაშითაც. ის იმედოვნებს, რომ „ვიბორგი" მეორე წრეშიც ლამაზ ფეხბურთს შესთავაზებს მაყურებელს. კვირის ბოლოს ამ გუნდის ფეხბურთელები შვებულებაში გადიან, მათ შორის, ფოფხაძეც. ბოლო ტურამდე „ვიბორგს" „ჰერფოლგე" უსწრებდა, რადგან ოქტომბრის თვეში ქართველის გუნდს ჩავარდნა (ოთხმატჩიანი მოუგებელი სერია) ჰქონდა. წრე ვიბორგელთათვის სასიხარულოდ დასრულდა, კლუბმა 4:0 მოუგო „ფრემს".

*„ეს იყო ბრწყინვალე მატჩი. ყველა ჩვენგანი კარგად თამაშობდა. დიდი ხანია ასე არ გაგვხარებია ჩვენც და გულშემატკივრებსაც. ქალაქში რომ გაიაროთ, აღმოაჩენთ, რომ ჩვენმა წარმატებამ უდიდესი სიხარული მოჰგვარა ძალიან ბევრ ადამიანს. მომავალში სწორედ ასე უნდა ვითამაშოთ ყოველ მატჩში. ვირწმუნეთ, რომ კარგი გუნდი გვყავს და ბევრის მიღწევა შეგვიძლია ამ შემადგენლობით. ახალი წლის შემდეგაც ასე უნდა გაგრძელდეს, არ შეიძლება მოდუნება თუნდაც ერთ მატჩში. ცალკე მინდა აღვნიშნო ჩვენი ფანების თავდადება, ბოლო დღეებში ძალიან ციოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ხალხი სტადიონზე მოვიდა და ბოლომდე გვიქომაგა. დარწმუნებული ვარ, რომ შევძლებთ სასლიგაში დაბრუნებას. დიახ, ჩვენ ეს შეგვიძლია"* - განუცხადა გიორგი ფოფხაძემ ოფიციალურ ვებგვერდს.

შეგახსენებთ, რომ ფოფხაძე დანიაში მოთამაშე ერთადერთი ქართველი არ არის - სასლიგაში „ორჰუსის" ღირსებას იცავს **დავით დევდარიანი**. „ორჰუსმა" წრე 20 ქულით მე-6 ადგილზე დაასრულა, თუმცა რუსთავის „ოლიმპის" ყოფილ ნახევარმცველს უმაღლესში ჯერ არ უთამაშია. ის ჯერ მეორე დივიზიონის დასავლეთ ზონაში მოასპარეზე „ორჰუსი 2"-ში ეჩვევა დანიურ პირველობას. მეორე დივიზიონის აღმოსავლეთ ზონაში მე-5 ადგილზე დაასრულა წრე **მიხეილ ბარაბაძის** ჰიკ-მა. ახალი წლიდან ქართველი ფორვარდი, შეიძლება, სასლიგის რომელიმე კლუბშიც კი ვიხილოთ.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



მარჯვნივ გიორგი ფოფხაძე

ფუტზალი

# ორჯერ პორტუგალიაში: 1:8 და 0:8

საქართველოს ფუტზალის ნაკრები 23 ნოემბერს, ლისაბონში, პორტუგალიის გუნდს შეხვდა. ჩვენების მოთამაშე-მწვრთნელი **ავთანდილ ასათიანი** შიშობდა, რომ ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ციკლის ჩაგდების შემდეგ, პორტუგალიელები საკუთარი მაყურებლის წინაშე რეაბილიტაციას ქართველების განადგურებით შეეცდებოდნენ.

რა თქმა უნდა, ამ შიშის საფუძველი ისიც იყო, რომ ჩვენი ნაკრები ბოლო წლებში მთლად ყოჩაღად ვერ გამოიყურება. ასათიანის ვარაუდი გამართლდა და პორტუგალიამ საქართველოს ნაკრებს გადაუარა. მასპინძლებმა პირველი მატჩი 8:1 მოიგეს, მეორე კი - 8:0.

საქართველოს ნაკრებში ახლა თაობათა ცვლის პროცესი მიმდინარეობს. წესითა და რიგით, ახალგაზრდები სწორედ საერთაშორისო ამხანაგურ შეხვედრებში უნდა გაიზარდონ. თუმცა პორტუგალიაში, გამოცდილების რა გითხრათ და, ფსიქოლოგიური სტრესი კი მიიღეს...

**მერაბ მამულაშვილი**

ძველი ნაცნობი

# რას აკეთებს რომან დობეში?

ორი კვირის წინ „ლელოში" საქართველოს ჩემპიონატში სხვადასხვა დროს მოასპარეზე ლეგიონერებზე ვრცლად ვისაუბრეთ. მაშინაც აღვნიშნეთ, რომ ჩამონათვალი არასრული იყო; თუმცა შეძლებისდაგვარად ვეცადეთ, ის ფეხბურთელები გვეხსენებინა, აქაურ ჩემპიონატში გარკვეული კვალი რომ დატოვეს. მით უმეტეს, ზოგი მათგანი საფეხბურთო ოსტატობით მართლაც გამორჩეული გახლდათ: **რობერტას ფრიდრიკასი, რიმას მაჟიეიკისი, ვირგილიუს ბალტუშნიკასი, ზაურ ხაპოვი, დენი დონდტი, კარლოსი, ანდრეი პოროშინი**. ისეთებიც გავიხსენეთ, დღემდე ვერავინ რომ გაიგო მათი აქ ჩამოყვანის მიზეზი (გვარების ჩამოთვლა ნამდვილად შორს წაგვიყვანს). არა უშავს, ასეთები ახლაც არცთუ ცოტა გვყავს საიუბილეო ჩემპიონატში...

...უცნაურია, მაგრამ ფაქტია - ისეთი ლეგიონერებიც ყოფილან, აქ თავი რომ ვერაფრით დაგვამახსოვრეს, მერე კი სხვა ქვეყანაში ანდა სამშობლოში დაბრუნებულთ მართლაც ჩინებული კარიერა აუწყვიათ. რაღა შორს მივდივართ: წინა ჩემპიონატში, თბილისის „დინამოში" არაფრით გამორჩეული ჩეხი ლეგიონერი **რომან დობეში** თამაშობდა. მთელი სეზონის განმავლობაში პრესის ფურცლებზე თუ „დინამოს" ერთგულ ქომაგთა წრეში არ შეწყვეტილა კამათი დობეშის საფეხბურთო „ღირსებებზე". ჰო, ბევრისთვის გამოცანად დარჩა, თუ რატომ მოიწვია „დინამოს" მაშინდელმა მთავარმა მწვრთნელმა **დუშან უჰრინმა** თანამემამულე ფეხბურთელი. ერთი მხრივ, გამოცდილი მწვრთნელი დობეშის მოსვლით „დინამოს" ძირითადში ყველაზე პრობლემური, მარცხენა მცველის პრობლემის გადაჭრას ფიქრობდა. თანაც, წინასწარ უნდა გამოვრიცხოთ თანამემამულის მიმართ არსებული რაიმე სიმპათია: დუშან უჰრინის საქართველოში მოღვაწეობის პერიოდში „დინამოს" ძირითად შემადგენლობაში „შემთხვევითი" ხალხი ვერ ხვდებოდა. დობეშს გამოცდილება ნამდვილად არ დაენუნებოდა - 29 წლის მარცხენა მცველს ჩეხეთის უმაღლეს ლიგაში ასამდე მატჩი ჰქონდა ჩატარებული „სინოტისა" და „ზლინის" შემადგენლობაში. 2006-07 წლების სეზონში სლოვაკეთის ჩემპიონატში, კერძოდ „ტრენჩინში" თამაშობდა. ისიც ნუ დაგვავიწყდება, რომ დობეში „დინამოში" სინჯების გავლის მერე ჩაირიცხა - 2007 წლის ზაფხულში, ჩვენი ყველაზე ტიტულოვანი გუნდი გერმანიაში რომ ემზადებოდა ახალი სეზონისთვის, სწორედ იქ ნახეს კიდეც ჩეხი ლეგიონერი „საქმეში". ახალწვეული ვარჯიშებზე ენერგიულად ირჯებოდა, თუმცა უჰრინზე განსაკუთრებული შთაბეჭდილება მაინც „კარლ-ცაისთან" ამხანაგურ მატჩში დატოვა - გერმანულ გუნდთან შეხვედრაში დობეში მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ! მოკლედ, ჩეხ მცველთან ერთწლიანი კონტრაქტი გაფორმდა და XIX ჩემპიონატს „დინამო" ერთდროულად ექვსი ლეგიონერით შეხვდა: მანამდე მოასპარეზე **ნედ ზელიჩს, მილოშ კრშკოსა** და **ილია სპასოევიჩს** დობეშთან ერთად **დიდიე ოვონო** და **ჯორჯ აკირემიც** შეემატნენ.

ზემოთაც აღვნიშნეთ, რომ დობეშს „დინამოში" დაცვის მარცხენა ფლანგზე არსებული პრობლემა უნდა გადაეჭრა. ჩეხი ფეხბურთელიც, წინა ჩემპიონატის პირველი წრე, ფაქტობრივად, მუდამ ძირითადში გახლდათ; თუმცა დრო გადიოდა, მაგრამ აკირემისა და, განსაკუთრებით ოვონოსგან განსხვავებით, რაიმე ღირებულს ვერაფერს უჩვენებდა. ეგ კი არა, არ გვინდა კონკრეტული რამდენიმე შეხვედრის გახსენება, რომელშიც დობეში, რბილად რომ ვთქვათ, ბავშვურ შეცდომებს უშვებდა. ისეთი მატჩებიც ყოფილა, „დინამოს" ძვირფასი ქულები... სწორედ დობეშის გამო რომ დაუკარგავს. აი, სწორედ მაშინ გაჩნდა კიდეც კითხვები დუშან უჰრინთან, რომელიც მაინც ენდობოდა თანამემამულე ფეხბურთელს. არადა, ერთი-ორჯერ ისე ითამაშა, „ლელოს" სიმბოლურ ნაკრებშიც მოხვდა; განსაკუთრებით კი პირველი წრის ბოლო მატჩში, როცა „შემოდგომის ჩემპიონის" ვინაობა უნდა გარკვეულიყო; „დინამო"-„ზესტაფონის" იმ შეხვედრაში რამდენიმე თანაგუნდელთან ერთად დობეში მოედანზე ერთ-ერთი საუკეთესო იყო! თავის ფლანგზე მეტოქის ყველა შეტევა ხომ მოიგერია, ამასთან მთელი მატჩის განმავლობაში საკუთარი გუნდის იერიშებშიც აქტიურად მონაწილეობდა. მაგრამ, დაიწყო მეორე წრე და ერთ-ერთი აშკარად „ჩავარდნილი" მატჩის მერე უჰრინსაც აევსო მოთმინების ფიალა და დობეში სათადარიგოთა სკამზე დასვა. მით უმეტეს, რომ ტრავმამოშუშებულმა **ოლეგ გველესიანმა** მარცხენა მცველის პოზიციაზე კონკურენციაში იგი აშკარად დაჯაბნა. ასე გაგრძელდა სეზონის ბოლომდე და ყველასთვის ცხადი იყო, რომ ახალ კონტრაქტს „დინამო" აღარ გაუფორმებდა. 16 შეხვედრა (აქედან - 15 ძირითადში) სეზონის განმავლობაში და... საქართველოს ჩემპიონატის ოქროს მედალი - აი, ასეთი გახლდათ დობეშის აქაური მონაგარი.

ახალი სეზონი დაიწყო და დობეშის ასავალ-დასავალი არც არავინ იცოდა; უფრო ზუსტად, ალბათ, არც არავინ ინტერესდებოდა. და აი, ამას წინათ, შემთხვევით აღმოვაჩინეთ, რომ დობეში სამშობლოში დაბრუნებულა და პრაღის „ბოჰემიანსში" ჩარიცხულა. ჩეხეთში ამ სახელწოდებით ორი კლუბი არსებობს: „ჩვენიანის" - იქაურ უმაღლეს ლიგაშია, ხოლო ბევრად ტიტულოვანი და პოპულარული „ბოჰემიანსი-1905" - პირველში. საერთოდაც, დობეშის ახალი კლუბი წელს ალზევდა გამბრინუს ლიგაში, ეგ კი არა, სულაც ოთხი წლის წინ არის დაარსებული. ახალგაზრდა გუნდს საკუთარი სტადიონიც არ გააჩნია და საშინაო მატჩებს „ჟიჟკოვის" 5000-იან არენაზე ატარებს. სხვათა შორის, დებიუტანტის კვალობაზე „ბოჰემიანსი" ურიგოდ არ ასპარეზობს: 16-გუნდიან ჩემპიონატში XV ტურის მერე მეცამეტე ადგილზეა. ორი კვირის წინ კი ახალი სეზონის ყველაზე ხმაურიანი სენსაციის ავტორადაც მოგვევლინა, როცა ჩეხეთის ყველაზე ტიტულოვან კლუბს, პრაღის „სპარტას" 4:3 მოუგო. „ბოჰემიანსს" ხუთი ლეგიონერი ჰყავს: ორი სლოვაკი, ნიგერიელი, განელი და ბელარუსი, რომელთა გვარებიც ბევრს არაფერს გვეუბნება. სამაგიეროდ, გუნდში არიან ჩეხური ფეხბურთის დამსახურებული ვეტერანები - **მარეკ კინცლი** და **მარტინ ზბონჩაკი**, რომელთაც თავის დროზე თავიანთი ქვეყნის ნაკრებშიც უთამაშიათ. „ბოჰემიანსი" გამბრინუს ლიგის ერთ-ერთი ყველაზე ხანდაზმული გუნდია და 30 წლის დობეშთან ერთად 35 წელს (!) გადაცილებული ექვსი ფეხბურთელი თამაშობს. სხვათა შორის, საწყისმა ტურებმა დობეშის გარეშე ჩაიარა და პირველად მხოლოდ მეხუთე ტურში „ბრნოსთან" მატჩში გამოჩნდა. უკვე მომდევნო შეხვედრაში კი გოლიც გაიტანა, როცა დედაქალაქურ დერბიში შეცვლაზე შემოსულმა „ჟიჟკოვთან" თავი ისახელა. აქვე ისიც უნდა ვთქვათ, რომ „დინამოსგან" განსხვავებით დობეში „ბოჰემიანსში" სხვა პოზიციაზე ასპარეზობს - ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე. თუმცა, ამის მიუხედავად, მაინც გასაკვირი არის ჩვენი ძველი ნაცნობის შედეგიანობა - ამ სეზონში უკვე სამი გოლი გაიტანა! თანაც, XII ტურში, თავის ყოფილი კლუბის „ზლინის" დამარცხებაში ლომის წილი დაიდო - სწორედ დობეშმა გაიტანა მატჩის ერთადერთი გოლი. უფრო საინტერესო იყო XI ტურის შეხვედრა - როცა „ბოჰემიანსი" „პლზენს" ხვდებოდა. დობეში იმ მატჩში შეცვლაზე შემოვიდა, ხოლო მეტოქეთა გუნდში შეხვედრის მიწურულს მოედანზე... **დიმიტრი ტატანაშვილი** გამოჩნდა. ანუ, „დინამოს" ყოფილი მცველისა და „ამერის" ყოფილი ფორვარდის დაპირისპირება, მცირე ხნით, მაგრამ მაინც შედგა (ისე, „ამერთან" მატჩი დობეშის აქტივში ნამდვილად არ ჩაითვლება).



რომან დობეში

მოკლედ, ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, აქ ვერაფრით გამორჩეული, 30 წლის რომან დობეში სამშობლოშია და ნელ-ნელა გუნდის წამყვან ფეხბურთალადაც ყალიბდება. და მთავარიც: „ბოჰემიანსის" მთავარი მწვრთნელის, **ლუბოშ ურბანის** კონსულტანტი... ასევე ჩვენი ძველი, ოღონდ „კარგი" ნაცნობი **დუშან უჰრინი** გახლავთ!

**გია ტუხაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეალი

# რეკორდული ბიუჯეტი

## თანხის სოლიდური ნაწილი ახალი ფეხბურთელების შესაძენად დაიხარჯება



მსოფლიო ფინანსური კრიზისი მადრიდის „რეალს" არ შეხებია. პირიქით, მაშინ, როცა მსოფლიოს უდიდესი ოლიგარქები მილიარდებს კარგავდნენ, სამეფო კლუბმა ისტორიულ მაჩვენებელს მიაღწია. **რამონ კალდერონი** 7 დეკემბრისთვის გამალებით ემზადება. ამ დღეს ესპანური გიგანტის პრეზიდენტს ასამბლეის წინაშე მოუწევს გამოსვლა. მან სამეფო კლუბის საზოგადოებას ანგარიში უნდა ჩააბაროს. ძალიან დიდი მნიშვნელობა ექნება იმას, თუ როგორი ეკონომიკური პაკეტით წარდგება კალდერონი ამ საზოგადოების წინაშე. როგორც ირკვევა, ბატონ პრეზიდენტს ამ თვალსაზრისით სანერვიულო არაფერი აქვს. მოგეხსენებათ, მადრიდული გრანდი გასულ წელს მსოფლიოს უმდიდრეს კლუბად აღიარეს. დღეს უკვე თამამად შეიძლება ითქვას, რომ „რეალი" ამ საპატიო წოდებას წელსაც შეინარჩუნებს. აღსანიშნავია, რომ პირენეელებმა მომავალი წლის ბიუჯეტი უკვე დაგეგმეს. როგორ ფიქრობთ, რა თანხა ჩაიწერა ფინანსურ დოკუმენტში? არც მეტი არც ნაკლები 400 200 000 ევრო. დიახ, არ გვეშლება, 400 მილიონ 200 ათასი ევრო. მადრიდელთა შარშანდელი ბიუჯეტი 400 მილიონი გახლდათ, ამხელა გუნდისთვის დამატებით 200 ათასი ბევრს არაფერს ნიშნავს, მაგრამ მთავარი ტენდენციაა. ეს ტენდენცია კი მატების გამომსახველია. მიმომხილველები ფიქრობენ, რომ გაზრდილი ბიუჯეტი რამონ კალდერონს ოპონენტების წინაშე თავის მართლების საშუალებას მისცემს. პრეზიდენტმა წინასწარ იცის, რომ „რეალის" ბოლოდროინდელი უსახური თამაშის გამო მოწინააღმდეგეებისგან მძიმე სიტყვების მოსმენა მოუწევს, მაგრამ ის ყველაფრისთვის მზად არის და ფიქრობს, რომ დიდი ბიუჯეტით ყველას გააჩუმებს.

**პრედრაგ მიატოვიჩი** შემოსავლების გაზრდას დიდ წარმატებად მიიჩნევს და აცხადებს: *„ის, რომ ჩვენი ბიუჯეტი გაიზარდა ამ ხელმძღვანელობის გამართული მუშაობის შედეგია. ჩვენ ძალიან ბევრი მოწინააღმდეგე გვყავს, ისინი ყოველი ნაბისჯისთვის გვაკრიტიკებენ, მაგრამ ეს ის შემთხვევაა, როცა „რეალის" ხელისუფლების წინააღმდეგ ვერავინ ვერაფერს იტყვის. გამართული მარკეტინგისა და მენეჯმენტის წყალობით ძალიან დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. უნდა მოგახსენოთ, რომ მსოფლიოს ყველაზე მზარდ ბაზრებზე საკმაოდ დიდი სეგმენტი დავიკავეთ. წინა ხელისუფლება ამაყობდა, რომ ჩინეთსა და იაპონიაში შეაღწიეს. დიახ, ეს გზა მათ გაკვალეს, მაგრამ ჩვენ კიდევ უფრო დიდ წარმატებებს მივაღწიეთ და სიხარულით უნდა აღვნიშნო, რომ აზიურ ბაზარზე „რეალი" ყველაზე კომერციულ გუნდად იქცა. კლუბის ატრიბუტიკით ვაჭრობის თვალსაზრისით, მსოფლიოს ყველა გრანდი დავჩრდილეთ. გარდა ამისა, ჩრდილოამერიკულ ბაზარზეც საკმაოდ დიდ წარმატებებს მივაღწიეთ. ამერიკაში ევროპული ფეხბურთი პოპულარობით პირველ ადგილზე ნამდვილად არ დგას, მაგრამ თეთრი მაისურა ძალიან ბევრ ადამიანს იზიდავს. თუ არ ვცდები, მარტო ნიუ იორკში გასულ თვეში 123 540 მაისურა გაიყიდა. მოკლედ, მარკეტინგის სამსახური ძალიან სწორად მუშაობს. მათ გაყიდვების დეპარტამენტის ბიჭებიც არ ჩამორჩებიან. მადლობის მეტი არაფერი გვეთქმის. ეს ახალგაზრდა ხალხი დილიდან საღამომდე მუშაობს, მათ ფართო საზოგადოება არ იცნობს, თუმცა უნდა დაგარწმუნოთ, რომ სამეფო კლუბის კეთილდღეობა დიდ წილად ამ ბიჭებზეა დამოიდებული".*

ისევ ბიუჯეტს დავუბრუნდებით და მოგახსენებთ, რომ ხელმძღვანელობას წელს ახალი ფეხბურთელების შესაძენად გაცილებით დიდი თანხა აქვს გათვალისწინებული. კალდერონი ხვდება, რომ თავდასხმაში სასწრაფო ცვლილებებია განსახორციელებელი. **რუუდ ვან ნისტელროი** კიდევ შვიდი თვე ვერ ითამაშებს, ამიტომ მისი შემცვლელი იანვარშივე უნდა გადაიბირონ. კალდერონსა და მიატოვიჩს კი ახალი ბიუჯეტიდან ფულის ხარჯვის უფლება სწორედ 2009 წლის 1 იანვრიდან მიეცემათ. ბევრი რომ არ გავაგრძელოთ, მადრიდელები სიამაყოთ აცხადებენ, რომ ფული თავზესაყრელად აქვთ და შემადგენლობის გასაძლიერებლად სერიოზულ თანხას გაიღებენ.

როგორც მოგახსენეთ, კალდერონი ბიუჯეტის გაზრდაზე აპელირებით ოპონენტების გაჩუმებას გეგმავს, თუმცა წუხელ გვიან ღამით მისი დაუძინებელი მტრის სენიონ **მირის** განცხადება გამოქვეყნდა. სამეფო კლუბის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატი პრეზიდენტს პირდაპირ ეუბნება: *„შენ კოკა-კოლის ან რომელიმე დიდი კომპანიის პრეზიდენტი არ ხარ, რომ მხოლოდ შემოსავლების ზრდით მოიწონო თავი. კოკა-კოლა რაც უფრო მეტ პროდუქტს ყიდის, მით უფრო ბედნიერია. „რეალი" კი პირველ რიგში საფეხბურთო გუნდია, რომელმაც ლამაზი ფეხბურთით ხალხს სიამოვნება უნდა მიანიჭოს. მაპატიეთ, მაგრამ გულშემატკივრებს რუტინული კომერციულ-მარკეტინგული ლოჯისტიკა ნაკლებად აინტერესებთ. მთავარი საინახაობაა, ეს კი კალდერონმა და მისმა შუსტერმა ვერა და ვერ გვაღირსეს."*

კალდერონი ასამბლეას არ დაელოდა და მირის ბრალდებას სატელევიზიო გადაცემაში უპასუხა. სენიორ რამონის თქმით მისი ოპონენტი ტოტალურად ხელმოცარული კაცია და განწყობის გაუმჯობესებას მხოლოდ ბოლმის გადმონთხევით ახერხებს.

მოსალოდნელი ტრანსფერი

# რამოსს დარჩენა უნდა, მაგრამ... მილანი?

## გალიანი სერხიოს ზღაპრულ გასამრჯელოს ჰპირდება



**სერხიო რამოსზე** „მილანმა" ღია ნადირობა გამოაცხადა. არაერთხელ გვითქვამს, რომ იტალიური გრანდის მესვეურები ესპანელ მცველს **პაოლო მალდინის** იდეალურ შემცვლელად მოიაზრებენ და მის გადასაბირებლად უშელავათო ბრძოლის დასაწყებად ემზადებიან. გუშეინდელ ნომერში ვწერდით, რომ „როსონერისა" და სამეფო კლუბს შორის შესაძლოა, გაცვლითი ხელშეკრულება გაფორმდეს. მადრიდელებს „მილანის' ახალგაზრდა ფორვარდის **პატოს** შეძენა აქვთ გადაწყვეტილი. იოლი შესაძლებელია, ურთიერთ დაინტერესებამ ტრანსფერი გაადვილოს, თუმცა თავად სერხიო რამოსის თანხმობის გარეშე კონტრაქტი რა თქმა უნდა, ვერ გაფორმდება. „დიარიო მარკას" კორესპონდენტი **მანუ დელ მორალი** დედაქალაქელთა მცველს შეხვდა და პირდაპირი კითხვა დაუსვა, საქმე საქმეზე რომ მიდგეს, „სან სიროზე" თუ გადახვალო. სერხიო რამოსმა ჟურნალისტს ასე უპასუხა:

*„პირადად ჩემთვის მადრიდის „რეალზე" დიდი კლუბი არ არსებობს, ამიტომ, „სანტიაგო ბერნაბეუდან" წასვლა არ მინდა... თუმცა იმასაც ვაცნობიერებ, რომ მხოლოდ ჩემი სურვილი არ კმარა. ძველ უთანხმოებაზე საუბარი არ მსურს, მგონი ისედაც ყველამ ყველაფერი იცის. მხოლოდ იმას დავამატებ, რომ ჩემი მოთხოვნების დაკმაყოფილების იმედი არ დამიკარგავს. თუ ხელმძღვანელობა ამ გზას დაადგება, „რეალიდან" რა თქმა უნდა, არ წავალ, მაგრამ მოვლენათა სხვაგვარი სცენარით განვითარების შემთხვევაში არაფერს გამოვრიცხავ".*

სერხიო რამოსმა ძველი უთანხმოების გახსენება არ ისურვა, მაგრამ ჩვენ ვალდებული ვართ კიდევ ერთხელ გითხრათ, რომ ეს უთანხმოება დირექტორატის ინერტულობით გახლავთ განპირობებული. რამოსმა კონტრაქტის პირობების გაუმჯობესება რამდენჯერმე ითხოვა, მაგრამ ის ახლა ისევ პირველად გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას იღებს. არადა, სერხიო მაშინ სულ რაღაც 19 წლის ყმაწვილი იყო და ბუნებრივია, ვარსკვლავისთვის შესაფერის კონტრაქტს არავინ გაუფორმებდა. წლების გასვლის შემდეგ მთელმა მსოფლიომ დაინახა, რომ სერხიო რამოსი უძლიერესი მცველია. ამის გათვალისწინებით, ლოგიკური იქნება, ფეხბურთელს კონტრაქტი გაუუმჯობესონ. სრულიად გაუგებარი მიზეზების გამო სამეფო კლუბის ხელმძღვანელობა დღემდე ფეხს ითრევს...

სამაგიეროდ, **ადრიანო გალიანი** ძალიან აქტიურობს და რამოსს „ოქროს კოშკებს" ჰპირდება: *„არ მინდა, სხვის საქმეებში ჩავერიო, მაგრამ „რეალის" მესვეურთა გაჯიუტება ჩემთვის სრულიად გაუგებარია. ვერ ვხვდები, ასეთ ძლიერ მცველს პირობების გაუმჯობესებაზე უარს რატომ ეუბნებიან. რამოსს ამ პრობლემის მოგვარების საშუალება რამდენიმე საათში გაუჩნდება, თუმცა ამისათვის მან „მილანის" მაისურა უნდა ჩაიცვას. იმ შემთხვევაში, თუ ესპანელის შეძენას შევძლებთ, მას არაჩვეულებრივ გასამრჯელოს გადავუხდით. ბუნებრივია, თანხის რაოდენობას ვერ დავაკონკრეტებ, მაგრამ იმის პირობას კი დავდებ, რომ სერხიო რამოსი „მილანში" გაცილებით უფრო დიდ ფულს იშოვის."*

დასკვნების გამოტანა თქვენთვის მოგვინდვია. ახლა საკითხავი მხოლოდ ის არის, გალიანის ინიციატივას მადრიდელები რითი უპასუხებენ. თუ უახლოეს მომავალში კონტრაქტის გაუმჯობესებაზე არ დაიწყება ლაპარაკი, ამით საბოლოოდ დამტკიცდება, რომ სამეჰო კლუბს სერხიო რამოსის დატოვება არ სურს.

ბარსელონა

# ვიცე-პრეზიდენტმა ცოდვა აღიარა

## კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობა გულშემატკივრებს ორი წლის განმავლობაში ატყუებდა

„ბარსელონის" ვიცე პრეზიდენტმა **მარკ ინგლამ** დიდ საიდუმლოს ახადა ფარდა. ყველას გვახსოვს, კატალონიური გრანდის ხელმძღვანელობა **ჟოზე მოურინიოსთან** მოლაპარაკებას ყოველმხრივ უარყოფდა. ჟურნალისტებმა ისიც კი გაიგეს, რომ **ჩიკი ბეგირისტაინი** განაში გაემგზავრა. ეს აფრიკული ქვეყანა კონტინენტის პირველობას მასპინძლობდა. სხვა ცნობილ ევროპელ სპეციალისტებთან ერთად ჟოზე მოურინიოც განაში იმყოფებოდა. ესპანელ კორესპონდნეტებს მაშინვე ეჭვი გაუჩნდათ ბეგირისტაინი მოურინიოსთან შესახვედრად ხომ არ წავიდაო. გენერალურმა დირექტორმა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ განაცხადა, პორტუგალიელი მხოლოდ რამდენიმე წუთით შემხვდა, ერთმანეთს სასტუმროში გადავეყარეთ და რომ არ მივსალმებოდი, უზრდელობა იქნებოდაო. ბეგირისტაინმა მასთან მოლაპარაკების ფაქტი კატეგორიულად უარყო...

ახლა კი ირკვევა, რომ სენიორ ჩიკი განას სწორედ მოურინიოსთან შესახვედრად და მასთან მოსალაპარაკებლად გაემგზავრა. საქმეში უკეთ გარკვევის მიზნით მარკ ინგლას განცხადებას შემოგთავაზებთ: *„ძალიან მეშინია, გულშემატკივრებმა ცუდად არ გამიგონ, მაგრამ სხეული მთხოვს, რომ საზოგადოებას სიმართლე გავუმხილო. „ბარსელონა" გასული ორი წლის განმავლობაში ჟოზე მოურინიოსთან გამალებულ მოლაპარაკებებს აწარმოებდა. რა არ შევთავაზეთ, მაგრამ მისი დათანხმება ვერა და ვერ მოვახერხეთ. მახსოვს, 2007 წლის ნოემბერში ჩემს კაბინეტში მე და ბეგირისტაინი შევხვდით. ბევრი ვილაპარაკეთ და დავასკვენით, რომ „ბარსას" ახალი მწვრთნელი სჭირდებოდა. მოურინიოს საკითხი კიდევ ერთხელ ამოტივტივდა. ჩიკიმ მასთან მოლაპარაკებების წარმოება საკუთარ თავზე აიღო. მომდევნო ოთხი თვის განმავლობაში ისინი რამდენჯერმე შეხვდნენ ერთმანეთს, მაგრამ კვლავ უშედეგოდ. მოურინიოს უარი არ უთქვამს, მაგრამ ისეთი მოთხოვნები წამოაყენა ლაბირინთში აღმოვჩნდით. საბოლოოდ გადავწყვიტეთ, პეპ გვარდიოლაზე გაგვეკეთებინა*



*არჩევანი. თუმცა ახლა ეს არ არის მთავარი. მაშინ „ბარსელონის" ხელმძღვანელებმა გულშემატკივრები მოვატყუეთ და ამისვის ბოდიშის მოხდა მინდა. იმედია, ინჩასები ყველაფერს კარგად გაგვიგებენ და კრიჭაში არ ჩაგვიდგებიან. მოლაპარაკებების გასაიდუმლოება თავად პორტუგალიელმა ითხოვა. ერთი სიტყვით, საზოგადოებას კიდევ ერთხელ მოვუხდი ბოდიშს. მართალია, ინფორმაციის გასაიდუმლოება, ჩვენი საქმის ნაწილია, მაგრამ ახლა მაინც ძალიან უხერხულად ვგრძნობ თავს."*

გვერდი მოამზადა
**ილია ნიკოლაიშვილმა**

ინტერვიუ

მატიო ფლამინი

# ჯერ სკუდეტო და უეფა, მერე ლიგას

მატიო ფლამინი ამ ზაფხულს „მილანში" გადაბარგდა და იტალიურ კარიერას დაუდო სათავე. მიმდინარე სეზონს ფრანგი ნახევარმცველი წარმატებით ატარებს და გუნდისთვის დიდი სარგებელი მოაქვს. მატიო ყოველთვის ვერ ხვდება სასტარტო შემადგენლობაში, თუმცა კარლო ანჩელოტის კომპლიმენტებს მაინც იმსახურებს. გუშინ „გაძეტა დელო სპორტის" ჟურნალისტი ფლამინის სახლში ესტუმრა და საინტერესო ინტერვიუ ჩამოართვა, რომელსაც აქვე გთავაზობთ...

**- როგორ გრძნობთ თავს „მილანში"?**

- იმაზე უკეთესად, ვიდრე წარმომედგინა. მილანში წამოსვლისას ყველაზე მეტად ადაპტაციის პერიოდი მაფიქრებდა. ახალი გარემო, ამდენი ვარსკვლავი ერთად, რომელთაც შესაძლოა რთული ხასიათი ჰქონოდათ და ენობრივი ბარიერი. ერთი სიტყვით, პირველად „მილანელოზე" ცოტა დაძაბული მივედი და თურმე სულ ტყუილად, აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაცია დამხვდა. „მილანი" ერთი დიდი ოჯახია, სადაც უპრობლემოდ მიმიღეს და გვერდში დამიდგნენ. გუნდში შესანიშნავი ადამიანები არიან თავმოყრილნი. ამასთან, „მილანში" ყველა მიმართულებით პროფესიონალები მუშაობენ და მათთან ურთიერთობა ერთ რამედ ღირს.

**- ენობრივ ბარიერს რა მოუხერხეთ?**

- თურმე ახალი მეგობრების შესაძენად ენის ცოდნა არ ყოფილა საჭირო. მთავარი პიროვნული თვისებებია, დანარჩენს კი მოევლება. ბუნებრივია, იტალიურის ცოდნის გარეშე ცოტა მიჭირს და ვცდილობ ენა დაჩქარებული ტემპებით ვისწავლო. სხვათა შორის, რონალდინიო ბრწყინვალედ ფლობს ფრანგულს და შესაბამისად, ყველაზე ახლო ურთიერთობა სწორედ მასთან მაქვს. თანაც, ისიც ახალი გადმოსულია „მილანში" და ჩვენი დამეგობრება თავისთავად მოხდა.

**- ერთი სიტყვით, მილანში ძირითადად გაუჩოსთან ერთად გიწევთ ყოფნა?**

- დიახ, ასეა. ბრაზილიელები გასართობად ძირითადად ერთად დადიან და ხშირად მეც მათთან მიწევს ხოლმე ყოფნა. ისე, რონისთან ერთად მილანის ქუჩებში სიარული მეტად რთულია, ყოველ ფეხის ნაბიჯზე აჩერებენ და სიყვარულს უხსნიან. როდესაც მის გვერდით ვარ, მე ვერავინ მამჩნევს.

**- პრემიერლიგაში უფრო რთულია თამაში თუ სერია A-ში?**

- ჩემი აზრით, ეს ჩემპიონატები მსოფლიოში საუკეთესოა. ინგლისის პირველობას თავისი პლუსები აქვს, იტალიისას თავისი. სერია A-ში დიდი ტაქტიკური დუელები იმართება, აქ მწვრთნელები ძალიან ბევრს ფიქრობენ სქემებზე და ბუნებრივია, ეს მხოლოდ დადებითად ადგება იტალიურ ფეხბურთს. ინგლისში ტემპი ძალიან მაღალია, სანახაობრივ მხარეს მეტი ყურადღება ეთმობა, რაც გულშემატკივრებს ძალიან მოსწონთ. ბედნიერი ვარ, რომ ინგლისში ჩემი შესაძლებლობები გამოვავლინე და ახლა ამის შესაძლებლობა იტალიაში მომეცა.

**- ტიფოზებზე რას იტყვით?**

- ძალიან ემოციურები არიან და ეს ყველაზე მეტად მომწონს. „სან სიროზე" თამაში დიდი ბედნიერებაა, ამ სტადიონზე ყოველთვის ფანტასტიკური ატმოსფეროა. ტიფოზებისთვის ფეხბურთი ყველაფერია, ცხოვრების წესია და ამით ისინი განსხვავდებიან ინგლისელი ფანებისგან. სამუშაო დღეს ლონდონში რომ გახვალ, ყურადღებას არავინ მოგაქცევს, ყველა თავის საქმეშია ჩაფლული. მილანში კი სულ სხვა ვითარებაა, ქალაქში გამოსვლა ფოტოების გადაღებით, ავტოგრაფების დარიგებით და ტიფოზებთან საუბრით სრულდება. ეს ძალიან სასიამოვნო პროცესია, ასე რომ, არ გეგონოთ ვწუწუნებდე.

**- ქალაქი მოგწონთ?**

- ძალიან. ლონდონზე ბევრად პატარაა და ამასთან, ძალიან დატვირთული. ყველა ქუჩაზე სიცოცხლე დუღს და დროის გასატარებლად დიდი არჩევანია. მილანი ფანტასტიკური ქალაქია, სხვა სიტყვას ვერ ვპოულობ. მიხარია, რომ ამ ქალაქში და ამ გუნდში მოვხვდი.

**- ფეხბურთს დავუბრუნდეთ, სკუდეტოსთვის „ინტერთან" მოგიწევთ ჭიდაობა?**

- არა მხოლოდ „ინტერთან". ჩემი აზრით, „ნერაძურის" „იუვენტუსი" არაფრით ჩამოუვარდება. ტურინელები საჩემპიონო მარათონში არიან ჩაბმულნი და დარწმუნებული ვარ, პირველობის ბოლომდე ასე იქნება. ამის თქმის საფუძველს „ბიანკონერის" ბრწყინვალე თამაში მაძლევს, თანაც გუნდი ოპტიმალურ ფორმაში ჯერ კიდევ არაა და პროგრესს აგრძელებს. თუ ჩემი აზრი გაინტერესებთ, წინა ტურში „იუვეს" „ინტერთან" არ უნდა წაეგო, კლაუდიო რანიერის შეგირდები მინიმუმ ფრეს იმსახურებდნენ.

**- ბოლო მატჩებში „მილანი" არცთუ დამაჯერებელია, რაშია საქმე?**


ეროვნული ბიბლიოთეკა


- ბოლო ორ გასვლით შეხვედრაში ოთხი ქულა დავკარგეთ და ეს ლიდერობის დათმობად დაგვიჯდა. ამით ბევრი არაფერი იცვლება, „ინტერს" მხოლოდ სამი ქულით ჩამოვრჩებით და სკუდეტოსთვის ბრძოლას ვაგრძელებთ. დაკარგული ქულების მიზეზებზე ბევრს ნამდვილად ვერ ვისაუბრებ, კონცენტრაცია დავკარგეთ და გამარჯვებები ხელიდან გავუშვით. ვეცდებით, მომავალში მსგავსი რამ აღარ განმეორდეს.

**- ჩემპიონთა ლიგის მიღმა ხართ, უსიამოვნო შეგრძნებაა?**

- არაფერი მსგავსი. მიმდინარე სეზონში იტალიის ჩემპიონატს და უეფას თასს მოვიგებთ, მომავალ წელს კი ჩემპიონთა თასის მოპოვებასაც შევეცდებით. ამასთან, კარგად გვესმის, რომ შემდეგი ჯოჯოხეთური შრომის ფასად მოვა და ჩვენ ამისთვის მზად ვართ. ერთხელ მკითხეს, ჩემპიონთა ლიგის გარეშე მოტივაციის პრობლემა ხომ არ გაქვთო. პაოლო მალდინის მხარდამხარ მიწევს თამაში, მას ყველაფერი აქვს მოგებული და მაინც უდიდესი ენთუზიაზმით ვარჯიშობს. მისი შემხედვარე სირცხვილიც იქნება რომ ამ მხრივ პრობლემა შემექმნას.

**ლაშა წიკლაური**



საქველმოქმედო აქცია

# კასილიასმა და ნადალმა ფსონი დადეს

## 125 ათასი ევრო ბარსელონასთან რეალის გამარჯვებაზე

ესპანეთი აფრიკასთან საკმაოდ ახლოსაა და ამ ქვეყანაში შავი კონტინენტის პრობლემებს საკმაოდ კარგად იცნობენ. ამიტომ, ესპანელები ყოველთვის ცდილობენ, უკიდურეს სილარიბეში მყოფ აფრიკელებს დაეხმარონ. აქციები სხვადასხვა ორგანიზაციისა თუ კერძო პირების მიერ იმართება. შიგადაშიგ საქველმოქმედო ღონისძიებებში სპორტსმენებიც მონაწილეობენ. ამჯერად, **იკერ კასილიასმა** და **რაფაელ ნადალმა** აფრიკაში მალარიასთან ბრძოლის ფონდის შესავსებად კომერციული ღონისძიება მოაწყვეს. ფეხბურთისა და ჩოგბურთის ვარსკვლავების გამოჩენამ ტელევიზიების დიდი დაინტერესება გამოიწვია. სარეკლამო დრო უჩვეულოდ დიდ თანხად გაიყიდა. ფულის ნაწილი სწორედ მალარიასთან ბრძოლას მოხმარდება. ჩვენთვის იკერისა და რაფას ერთობლივი აქცია კიდევ ერთი გარემოების გამო გახდა საგულისხმო. „რეალის" მეკარემ საზოგადოებას ფრიად საინტერესო ფაქტი გაუმხილა. აი, რა განაცხადა იკერ კასილიასმა: *„მოგეხსენებათ, სუპერკლასიკო ახლოვდება. აჟიოტაჟი დღითიდღე გაიზრდება. ჩვენ მგონი ყველას დავასწარით და ერთ-ერთ ტოტალიზატორში ფსონი დავდეთ. მე და რაფამ ერთობლივი ძალებით, 125 ათასი ევრო დავდეთ. რა თქმა უნდა, „რეალის" მოგებაზე. ორივე ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ „ბარსელონას" „კამპ ნოუზე" დავამარცხებთ. ამიტომ გადავწყვიტეთ, ფინანსური სარგებელიც ვნახოთ."*

ცნობილი სპორტსმენების ამ ქმედებასა და განცხადებას „ბარსელონის" მთავარი მწვრთნელი **პეპ გვარდიოლა** გამოეხმაურა: *„ძალიან ვწუხვარ, რომ კასილიასმა და ნადალმა დიდი თანხის ბედი სასწორზე შეაგდეს. მე მათსავით კატეგორიული ვერ ვიქნები და ვერ ვიტყვი, რომ აუცილებლად გავიმარჯვებთ, თუმცა იმის თქმა კი ნამდვილად შემიძლია, რომ კასილიასს იოლი გამარჯვების ტყუილად სჯერა. მომიტევეთ, მაგრამ ეს ყველაფერი ბავშვურ თამაშს მაგონებს. მდიდარი მშობლების შვილები ათასგვარი უჩვეულო ხერხით ირთობენ თავს. 125 ათასი ევრო ესპანეთის მოქალაქეების დიდი ნაწილისთვის 10 წლის ხელფასია. მე არავის განვიკითხავ, უბრალოდ გაკვირვებას გამოვხატავ. რატომ გონიათ, რომ „ბარსელონის" საკუთარ სტადიონზე დამარცხება ასე იოლია."*

**ილია ნიკოლაიშვილი**

სავარაუდო ტრანსფერი

# სარატე რეალში?

მიმდინარე სეზონის ერთ-ერთი მთავარი აღმოჩენა „ლაციოს" თავდამსხმელი **მარიო სარატეა**. არგენტინელი ფეხბურთელი სერია A-ში სადებიუტო სეზონს ბრწყინვალედ ატარებს და ბომბარდირთა შორის იმყოფება. სამხრეთამერიკელი ფეხბურთელის ასეთი წარმატებული თამაში ევროპულ გრანდებს არ გამოჰპარვიათ, რაც იმის თქმის საფუძველს გვაძლევს, რომ მარიო „ბიანკოჩელესტეში" დიდხანს არ დარჩება. მით უფრო, რომ სარატე ყატარული „ალ საადის" საკუთრებაა და „ლაციოში" იჯარის წესით იმყოფება. თუ რომაელებს ფეხბურთელის გადაფორმება სურთ, ყატარელებს 15 მილიონი ევრო უნდა ჩაუთვალონ. „ლაციომ" შესაძლოა ეს თანხა გადაიხადოს კიდეც, მაგრამ მხოლოდ ერთი მიზნით - რომ ფეხბურთელი კიდევ უფრო ძვირად გაასხვისოს.

იტალიური პრესის ცნობით, სარატეს გადაბირება ყველაზე მეტად მადრიდის „რეალს" სურს, რომელიც მზადაა, ფეხბურთელში დიდძალი თანხაც გადაიხადოს. აპენინელი ჟურნალისტების მტკიცებით, „ლაციოს" პრეზიდენტი **კლაუდიო ლოტიტო** უკვე აწარმოებს მოლაპარაკებებს „რეალის" მესვეურებთან და ფეხბურთელის დათმობის სანაცვლოდ 25 მილიონ ევროს ითხოვს. თავად კლაუდიომ ამ საკითხზე შემდეგი კომენტარი გააკეთა:

*„მარიო სარატე საკმაოდ კარგად ასპარეზობს და გუნდის წარმატების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედია. ტიფოზებმა ის ძალიან შეიყვარეს, გვთხოვენ, არგენტინელი საბოლოოდ გამოვისყიდოთ და ჩვენც ამ მიმართულებით აქტიურად ვმუშაობთ. ყატარელები მის სანაცვლოდ 15 მილიონ ევროს ითხოვენ, რაც ძალიან ბევრია, ვცდილობთ, შეთანხმებას მივაღწიოთ და ოპტიმალურ თანხაზე შევჩერდეთ. რა იქნება იმ შემთხვევაში, თუ არაბები დათმობაზე არ წამოვიდნენ? - დღეს ძნელია ამაზე ლაპარაკი და საინტერესოს ვერაფერს გეტყვით. რაც შეეხება რამონ კალდერონთან დაწყებულ მოლაპარაკებებს, ჭორია და მეტი არაფერი. ძალიან მწყინს, როდესაც ასეთ რამეს ვკითხულობ. თავი შეურაცხყოფილად ვიგრძენი და კომენტარსაც ვერ გავაკეთებ".*

**ლაშა წიკლაური**



ეროვნული ბიბლიოთეკა

არსენალი

# ვენგერს ძლიერი ფორვარდი უნდა

## ბენდტნერს სპარტაკი ღიმილს ჰგვრის

"დეილი ტელეგრაფის" ცნობით, "არსენალის" თავკაცი **არსენ ვენგერი** მომავალი სეზონისთვის მსოფლიო კლასის თავდამსხმელს ეძებს. მის სიაში მართლა უმაღლესი კალიბრის ფეხბურთელები მოხვდნენ: **მიროსლავ კლოზე, ლუკას პოდოლსკი** (ბაიერნი), **ვინჩენცო იაკვინტა** (იუვენტუსი) და **მამადუ ნიანგი** (მარსელი).

კლოზეს შეძენა ალბათ ყველაზე რთული იქნება, რადგან ბუნდესბომბარდირი წელს ბრწყინვალედ თამაშობს. მის ანგარიშზე ბუნდესლიგაში 5 გოლი და ამდენივე საგოლე გადაცემაა. წარმოუდგენელია, "ბებერი ქალბატონი" შარშან "უდინეზედან" ნაყიდ იაკვინტას შეელიოს, რადგან "იუვეში" 29 წლის ფორვარდი რეგულარულად თამაშობს. სენეგალელი ნიანგის გასხვისებას "მარსელი" ძნელად დათანხმდება. გუნდი საჩემპიონო ამბიციებით არის აღტყინებული, ასეთ დროს კი, ლიდერებს არავინ ყიდის. დარჩა 23 წლის ამბიციური პოდოლსკი, ვინც სწორედ რამდენიმე დღის წინ გამოაცხადა, რომ სეზონის ბოლოს გუნდიდან აუცილებლად წავა.

კვირას, 30 ნოემბერს, "მეთოფეებს" "სტემფორდ ბრიჯზე" უპრინციპულესი ლონდონური დერბი ელის. სასიამოვნოა, რომ ვენგერის განკარგულებაში ძირითადი შემადგენლობის სამი წევრი ბრუნდება: **სამირ ნასრი, ემანუელ ადებაიორი** და **ბაკარი სანია.** გუშინ სამივემ სრული დატვირთვით ივარჯიშა. ვენგერის თქმით, ახალგამოჯანმრთელებული ფეხბურთელების ერთდროულად მინდორზე გასვლის შანსი 50/50-ზეა.

"დეილი სტარის" ინფორმაციით, "არსენალი" და "ტოტენჰემი" "ვულვერჰემპტონის" კარის დარაჯის, 21 წლის უელსელი **უეინ ჰენესის** შეძენით არიან დაინტერესებული. ვენგერი მას **მანუელ ალმუნიას** შემცვლელად განიხილავს, ხოლო **ჰარი რედნაპი** მიიჩნევს, რომ პერსპექტიულ ფეხბურთელს უკვე იანვრიდან შეეძლება პრემიერლიგის ბატალიებში ღირსეულად ჩართვა. ათასგზის ნათქვამს გავიმეორებთ, რომ "მამლების" ხელმძღვანელობა **ეურელიო გომეშის** თამაშით უკმაყოფილოა და მას პირადი მწვრთნელიც კი დაუქირავა.

ლონდონელებს, გარდა ცენტრალური თავდამსხმელისა, ძლიერი ცენტრალური მცველის შეძენაც სურთ.



განიხილება რამდენიმე კანდიდატურა: "რეალიდან" **კრისტოფ მეტცელდერი** და "სევილიიდან" **ფედერიკო ფასიო.** ხსენებულ ფეხბურთელებს ის საერთო აქვთ, რომ ორივე მათგანი ძალზე მაღალი და მოძრავია. გერმანელი 1.93 სმ-ია, ხოლო არგენტინელი - 1.95. მეტცელდერი, ბუნდესნაკრების "მეხანძრე", როგორც მას ფანებმა შეარქვეს, გავრცელებულ ხმებზე კომენტარს არ აკეთებს. საერთოდაც, გერმანელი პრესასთან ლაპარაკს ყოველთვის გაურბის. ფასიოს თქმით კი ის ანდალუსიის დატოვებას არ ფიქრობს. *"არსენალის" ინტერესის თაობაზე მეც მსმენია, მაგრამ ამ ეტაპზე კონცენტრაციას მხოლოდ "სევილიაზე" ვცდილობ. გუნდთან ხელშეკრულება სულ ახლახან 2014 წლამდე გავაგრძელე. ეს იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელები მენდობიან"*, - განაცხადა არგენტინელმა

"მირორის" ცნობით, **ნიკლას ბენდტნერით** მოსკოვის "სპარტაკია" დაინტერესებული. რუსები მზად არიან, ფეხბურთელში 5 მილიონი გირვანქა გადაიხადონ. როგორც ამბობენ, დანიელ ფეხბურთელს ინგლისურიდან რუსულ პრემიერლიგაში გადაბარგების პერსპექტივამ სახეზე ცინიკური ღიმილი მოჰგვარა. მისი პოზიცია გასაგებია. პატივმოყვარე ფეხბურთელი ასეც უნდა იქცეოდეს.

**შალვა ბიბილაშვილი**

მოსალოდნელი ტრანსფერი

# ევერტონი ბრძოლაში ჩაება

## ეყოფა თუ არა მეგობრობა საქმის მოგვარებას



კიევის "დინამოს" ყოფილი ლიდერის **კლებერ დე სოუზა ფრეიტასისთვის** ბრძოლაში მრავალი კლუბია ჩართული. მართალია, ის "პალმეირასში" თამაშობს, მაგრამ კონტრაქტით დღემდე უკრაინელებს ეკუთვნის. შესაბამისად, დაინტერესებულმა კლუბებმა სწორედ მათ უნდა მიმართონ. ფეხბურთელის ახლანდელი კლუბის გარდა, კლებერის გადაბირება "კორინთიანსის" პრეზიდენტმა **ანდრეს სანჩესმა** გადაწყვიტა. მას იმედი აქვს, რომ **იგორ სურკისთან** თბილი ურთიერთობა საქმის მოკვარახჭინებაში დიდად წაადგება. შეგახსენებთ, რომ თავის დროზე სანჩესმა "დინამოდან" **დიეგო რინკონის** არენდით წაყვანაც მოახერხა. ერთადერთი დაბრკოლება, რაც ყველაზე მდიდარ ბრაზილიურ კლუბს წინ ელობება, ეს "დინამოსა" და "პალმეირასს" შორის დადებული საიჯარო შეთანხმებაა (ვადა მიმდინარე წლის 31 დეკემბერს იწურება). საქმე ისაა, რომ ამ უკანასკნელს კლებერის უპირატესი შესყიდვის უფლება აქვს მინიჭებული.

"დეილი ტელეგრაფის" ცნობით, "პალმეირასი"-"პლეიტინგას" ამასწინანდელ შეხვედრას "ევერტონის" წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ინგლისელები ნანახით აღფრთოვანებული დარჩნენ, რადგან თავდამსხმელმა ბრწყინვალედ ითამაშა. საინტერესოა, რომ თავად კლებერი არასოდეს მალავდა, კარიერის გაგრძელება ბებერ კონტინენტზე რომ ურჩევნია. მას დიდი ხანია, შეტანილი აქვს საბუთები იტალიის მოქალაქეობის მისაღებად. კლებერი დღე-დღეზე დადებით პასუხს ელის. რასაკვირველია, ევროკავშირის მოქალაქეობა ევროპაში დამკვიდრებაში ხელს შეუწყობს. სურკისისა და თავდამსხმელის აგენტ **პეპინიოს** შეხვედრა კიევში ამ დღეებში უნდა შედგეს.

**შალვა ბიბილაშვილი**

ვარსკვლავი

# ვიალი ბუფონს დაფიქრებისკენ მოუწოდებს

ბოლო დღეებში, ძალიან ბევრი იწერება **ჯანლუიჯი ბუფონის** და მისი „იუვენტუსიდან" შესაძლო წასვლის შესახებ. ამაში დამნაშავე თავად ჯიჯია, ვინაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ „ბიანკონერის" იმ შემთხვევაში დატოვებდა, თუ რომელიმე გუნდი მასში 50 მილიონ ევროზე მეტს გადაიხდიდა. შემდეგ გამოჩნდა „მანჩესტერ სიტი" და 75-მილიონიანი სუპერწინადადება ტურინელებს შესთავაზა. ამ ამბავმა საფეხბურთო ევროპა შოკში ჩააგდო და ბევრმა ივარაუდა კიდეც, რომ იტალიელი კიპერი კარიერას ნისლიან ალბიონზე გააგრძელებს. აღნიშნულ საკითხზე საკუთარი მოსაზრება გამოთქვა წარსულში ცნობილმა ფეხბურთელმა **ჯანლუკა ვიალიმ**, ვინაც ერთი ხანობა პრემიერლიგაშიც იბურთავა. აი, რა განაცხადა „იუვენტუსის" და „ჩელსის" ყოფილმა თავდამსხმელმა: „არ გამოვრიცხავ, *რომ მომავალი სეზონიდან ბუფონი ინგლისში გადაბარგდეს. წინადადება მართლაც ფანტასტიკურია და მაცდუნებელი. მანჩესტერული კლუბის არაბ მეპატრონეებს სერიოზული ზრახვები აქვთ და სულ მალე ძალიან ძლიერ გუნდს ჩამოაყალიბებენ. ჯიჯის ადგილზე „სიტიში" გადასვლაზე აუცილებლად დავფიქრდებოდი, რადგან 15 მილიონი ევრო ქუჩაში ნამდვილად არ ყრია. თანაც, ახალი გარემო, ახალი ჩემპიონატი და ახალი ტიტულები, ნესით, მისთვის დამატებითი მოტივაცია უნდა იყოს, ბუფონის ადგილას ინგლისურ ვარიანტზე სერიოზულად ვიფიქრებდი. გაყიდიან თუ არა ბუფონს „იუვეს" მესვეურები? - 75 მილიონი ევრო „ვეკია სენიორას" დიდად წაადგება, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ გუნდისთვის ჯიჯი ფუნდამენტური ფეხბურთელია. მისი შემცვლელის მოძებნა ურთულესი იქნება და ალბათ, ტურინელები ნომერი პირველი კიპერის გასხვისებას იოლად არ დათანხმდებიან. აქ მთავარი სიტყვა თავად ბუფონმა უნდა თქვას და გადაწყვეტილება მიიღოს*".

**ლაშა წიკლაური**



ამ[illegible]

# ბილეთები თებერვლიდან

მიუხედავად იმისა, რომ 2010 წელს სამხრეთ აფრიკაში ჩასატარებელი მსოფლიოს ჩემპიონატის ორგანიზატორები ინფრასტრუქტურულ საკითხებთან დაკავშირებით სერიოზულ პრობლემებს განიცდიან, იმედიან ტონს მაინც ინარჩუნებენ და აცხადებენ, რომ არც ერთი ობიექტის მშენებლობას ფიფას მიერ დაწესებულ კონკრეტულ თარიღს არ გადააცილებენ. მოკლედ, აღდგომა და ხვალეო...

ამასთან, ორგანიზატორებმა გულშემატკივრებს უკვე აუწყეს, რომ თამაშებზე დასასწრები ბილეთების გაყიდვა 2009 წლის 20 თებერვლიდან დაიწყება. მისი შეძენა ნებისმიერ გულშემატკივარს ფიფას ოფიციალური საიტის მეშვეობით შეეძლება. საინტერესოა, რომ კორპორატიულ კლიენტებზე ბილეთები უკვე დიდი რაოდენობით გაიყიდა. საორგანიზაციო კომიტეტის პრესმდივნის **ჯერმეინ კრეიგის** განცხადებით, რიგმა ორგანიზაციებმა 115 მილიონი დოლარის საერთო ღირებულების 50 ათას ბილეთზე მეტი უკვე შეიძინეს.

# კაჭკაჭებს რიისე სურთ

"ნიუკასლის" თავკაცი **ჯო კინეირი** უკვე რამდენიმე თვეა, რაც "კაჭკაჭების" დროებითი დამრიგებლის სტატუსით სარგებლობს. როგორც ჩანს, ის სავარძელში თავს იმდენად მყარად გრძნობს, რომ გუნდის სამომავლო გეგმებს აწყობს და მოთამაშეთა შეძენას აპირებს. მისი განცხადებით, ის დიდად მოხარული იქნება, თუკი კლუბის ბოსი **მაიკ ეშლი** გუნდში "რომას" ნორვეგიელ მცველ **იონ არნე რიისეს** შეიძენს. *"მერე რა, რომ ხანდახან იონ არნე ახლანდელი გუნდის ძირითადში ვერ ხვდება? ჩვენ მისი შესაძლებლობები ზეპირად ვიცით. რომაელებს უკვე დავუკავშირდით და არენდის თაობაზე სიტყვა დავასველეთ. ალბათ ეს საკითხი საჩვენოდ გადაწყდება"*.

ნორვეგიელის სატრანსფერო ღირებულება 10 მილიონი ევროა.

# ლუჩესკუ, ბილიჩი, რაიკაარდი...

გუშინ და გუშინწინ თურქული პრესა ამტკიცებდა, რომ **მირჩა ლუჩესკუმ** "გალათასარაისთან" ხელშეკრულება უკვე გააფორმა. იმის დასადასტურებლად, რომ გავრცელებული ხმები მხოლოდ ჭორია და მეტი არაფერი, "ლომების" ხელმძღვანელობამ იმ სპეციალისტთა სია გამოაქვეყნა, ვისთანაც მას ურთიერთობა დღემდე აქვს. იანვარში გერმანელი **მიხაელ სკიბე** ცუდი შედეგების გამო თანამდებობას დაკარგავს. "გალას" 12 ტურის შემდეგ 21 ქულა აქვს და მხოლოდ მე-5 ადგილზეა. გარდა რუმინელისა სიაში არიან ხორვატი **სლავენ ბილიჩი**, ჰოლანდიელი **ფრანკ რაიკაარდი** და "შტუტგარტის" ექსთავკაცი **არმინ ფეე.**

ჩემპიონატისგან განსხვავებით, გუნდი უეფას თასზე შესანიშნავად თამაშობს – 4 შეხვედრაში ამდენივე გამარჯვება. ეტყობა, ევროთასებზე წარმატებული ასპარეზობა შიდა წარუმატებლობების დასაბალანსებლად საკმარისი არ არის.

# დეფოს ოპერაცია არ დასჭირდება

"პორტსმუთის" ფორვარდ **ჯერმეინ დეფოს**, ვინც ფეხის ტრავმა ინგლისი-გერმანიის ამხანაგურ შეხვედრაში მიიღო, ოპერაცია არ დასჭირდება, - წერს "მირორი". მეტიც, დასივებული კიდური იმდენად მალე დაცხრა, რომ თავდამსხმელმა ვარჯიში უკვე დაიწყო. არ არის გამორიცხული, "პომპების" თავკაცმა **ტონი ადამსმა** გუნდის ლიდერი კვირას "ბლექბერნთან" პრემიერლიგურ დაპირისპირებაში ათამაშოს კიდეც. ოღონდ ჯერმეინს ძირითადში მოხვედრის შანსი ნაკლებად აქვს. შეცვლაზე თამაშს კი ნამდვილად შეძლებს.

**შალვა ბიბილაშვილი**

## უცხოური ფეხბურთი

ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რომაული რეიტუზები

## ფული კარშიც ველარ ურტყამს

**ლონდონის „ჩელსის“ პრობლემები შეექმნა, მაგრამ მერვედფინალში ალბათ მაინც გავა, რადგან ბოლო ტურში არისტოკრატები „კლუჟს“ მასპინძლობენ. მართალია, ამ მატჩში „ჩელსის“ დისკვალიფიცირებული ფრენკ ლემპარდი არ ეყოლება, მაგრამ მაინც... „ბარსელონამ“ ლეო მესისთან ერთად ლისაბონში იფრინა... „ინტერმა“ კი „პანათინაიკოსთან“ თავი შეირცხვინა, მაგრამ ჟოზე მოურინიოს გუნდი მერვედფინალში მაინც გავიდა. დონეცკის „შახტარმა“ „ბაზელს“ არსებობის სურვილი გაუქრო, „ლივერპული“ კი პლეი ოფში სტივენ ჯერარდის წყალობით გავიდა...**



ფრანჩესკო ტოტი რეიტუზებითა და ხელთათმანებით. რომაელებს რუმინულმა სიცივემ ხელი ვერ შეუშალა

### A ჯგუფი

**ბორდო–ჩელსი 1:1**

**ბორდო:** ვალვერდე, შალმე, პლანუსი, დიავარა, ჟურიეტი, ფერნანდო, ა. დიარა, გუფრანი (67. კავენაგი), გურკუფი, ვენდელი (65. ობერტანი), შამახი.

**ჩელსი:** ჩეხი, ბოსინგვა, ტერი, ივანოვიჩი, ე. კოული, ობი მიკელი, ბალაკი, ლემპარდი, მალუდა, ჯ. კოული (85. პაულო ფერეირა), ანელკა (63. დროგბა).

**გოლები:** 0:1 ანელკა (60), 1:1 დიარა (83)

**გაძევება:** ლემპარდი (86. ჩელსი)

**არბიტრი:** ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)

**მაყურებელი:** 32 000

**კლუჟი–რომა 1:3**

**კლუჟი:** სტანჩიოუ, პანინი, კადუ, გალიასი, ალვარო პერეირა, დანი (73. პერალტა), მურეშანი, დუბარბიერი (70. ე. კონე), ტრიკა (84. დეაკი), კულიო, ი. კონე.

**რომა:** დონი, კასეტი, ჟუანი, მექსე, ტონეტო (86. რიისე), დე როსი, ტადეო, ბრიგი, პეროტა (90. პისარო), ტოტი (81. ვუჩინიჩი), ჟულიო ბაპტიშტა.

**გოლები:** 0:1 ბრიგი (11), 0:2 ტოტი (23), 1:2 ი. კონე (30), 1:3 ბრიგი (64)

**არბიტრი:** კარდოსო ბაპტიშტა (პორტუგალია)

**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| რომა | 5 | 3 | 0 | 2 | 10-6 | 9 |
| ჩელსი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-4 | 8 |
| ბორდო | 5 | 2 | 1 | 2 | 5-9 | 7 |
| კლუჟი | 5 | 1 | 1 | 3 | 4-7 | 4 |

**ბოლო ტური**

**9 დეკემბერი**

ჩელსი-კლუჟი
რომა-ბორდო

### B ჯგუფი

**ინტერი–პანათინაიკოსი 0:1**

**ინტერი:** ჟულიო სეზარი, მაიკონი, მატერაცი, კორდობა, მაქსველი (75. კრუსი), კამბიასო, ფიგუ, მუნტარი (46. კუარეშმა), ხ. ძანეტი (73. ბალოტელი), ადრიანო, იბრაჰიმოვიჩი.

**პანათინაიკოსი:** გალინოვიჩი, მ. ნილსონი, ვინტრა, სარიეგი, სპიროპულოსი, გუმასი, სიმაო, ჟილბერტო სილვა, გარბიელი (84. ციოლისი), კარაგუნისი (63. სალპინგიდისი), მანციოსი (90. რუკავინა).

**გოლი:** 0:1 სარიეგი (69)

**არბიტრი:** ტომ ჰენინგ ოვრებო (ნორვეგია)

**მაყურებელი:** 32 000

**ანორთოსისი–ვერდერი 2:2**

**ანორთოსისი:** ნადი, ა. კონსტანტინუ, კაცავაკისი, დელასი, ლეივაკაბესი, სკოპელიტისი (46. ნიკოლაუ), დობრაშინოვიჩი, ლაბანი, ოკოკოლიჩი (56. ფრუსოსი), სავიო (71. პანაგი), ტაჰერი.

**ვერდერი:** ფანდერი, ფრიტცი (76. ბიონიში), მერტეზაკერი, ნალდო, ტოშიჩი, ბაუმანი (59. ჰუნტი), ფრინგსი, ოზილი, დიეგო, პისარო (76. როზენბერგი), უგო ალმეიდა.

**გოლები:** 1:0 ნიკოლაუ (62), 2:0 სავიო (68), 2:1 დიეგო (72-პენ), 2:2 უგო ალმეიდა (87)

**არბიტრი:** მეხუტო გონსალესი (ესპანეთი)

**მაყურებელი:** 18 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ინტერი | 5 | 2 | 2 | 1 | 7-5 | 8 |
| 2. პანათინაიკოსი | 5 | 2 | 1 | 2 | 7-7 | 7 |
| 3. ანორთოსისი | 5 | 1 | 3 | 1 | 8-7 | 6 |
| 4. ვერდერი | 5 | 0 | 4 | 1 | 5-8 | 4 |

**ბოლო ტური**

**9 დეკემბერი**

პანათინაიკოსი-ანორთოსისი
ვერდერი-ინტერი

**შახტარი–ბაზელი 5:0**

**შახტარი:** პიატოვი, სრნა (77 იეზერსკი), კუჩერი, იშჩენკო, რატი, ჟადსონი, ჰუბშმანი, გაი, ვილიანი, ფერნანდინიო (74. დულიაი), ლუიშ ადრიანო (46. სელეზნიოვი).

**ბაზელი:** კოსტანსო, ზანი, აბრაჰამი, მარკე, საფარი, ჰუგელი, კარლიტოსი (69. ფრაი), ერგიჩი, ედუარდო (65. მუსტაფი), შტოკერი, დერდიოკი.

**გოლები:** 1:0 ჟადსონი (32), 2:0 ვილიანი (50), 3:0 ჟადსონი (65), 4:0 ჟადსონი (72), 5:0 სელეზნიოვი (75)

**არბიტრი:** კრისტინ იაკობსონი (ისლანდია)

**მაყურებელი:** 20 000

**სპორტინგი–ბარსელონა 2:5**

**სპორტინგი:** რუი პატრისიო, კანეირა, დანიელ კარიკო, ანდერსონ პოლგა, გრიმი, მიგელ ველოზო, პერეირინია, ჟოაო მუტინიო, რომანიოლი (46. დერლეი), იანიკი (72. ტიაგო), ლიედსონი (79. ელდერ პოშტიგა).

**ბარსელონა:** ვიქტორ ვალდესი, დანიელ ალვეში, მარკესი, პიკე, კასერესი, ბუსკეტსი, ჩავი (74. ს. კეიტა), გუდიონსენი, მესი (57. პედრო), გლები, ანრი (46. კრკიჩი).

**გოლები:** 0:1 ანრი (14), 0:2 პიკე (17), 0:3 მესი (50), 1:3 მიგელ ველოზო (65), 2:3 ლიედსონი (66). 2:4 კანეირა (67-საკ. კარში), 2:5 კრკიჩი (73-პენ)

**გაძევება:** რუი პატრისიო (71. სპორტინგი)

**არბიტრი:** მატეო ტრეფოლონი (იტალია)

**მაყურებელი:** 30 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ბარსელონა | 5 | 4 | 1 | 0 | 16-5 | 13 |
| 2. სპორტინგი | 5 | 3 | 0 | 2 | 7-8 | 9 |
| 3. შახტარი | 5 | 2 | 0 | 3 | 8-5 | 6 |
| 4. ბაზელი | 5 | 0 | 1 | 4 | 2-15 | 1 |

**ბოლო ტური**

**9 დეკემბერი**

ბარსელონა-შახტარი
ბაზელი-სპორტინგი

### D ჯგუფი

**ატლეტიკო–ეინდჰოვენი 2:1**

**ატლეტიკო:** კუპე, სეიტარიდისი, უიფალუში, ჰეიტინგა (51. პაბლო), პერნია, რაულ გარსია (80. პაულო ასუნსაო), მანიშე, სიმაო, მაქსი როდრიგესი, ფორლანი, აგუერო (66. სინამა-პონგოლე).

**ეინდჰოვენი:** ისაქსონი, სალსიდო, ბრეშე, როდრიგესი, პიეტერსი (46. კულინა), დჟუდჩაკი, სიმონსი, მენდესი (86. ნიილანდი), აფელეი (28. ბაკალი), ლაზოვიჩი, კოვერმანსი.

**გოლები:** 1:0 სიმაო (14), 2:0 მაქსი როდრიგესი (28), 2:1 კოვერმანსი (46)

**არბიტრი:** მასიმო ბეკასა (შვეიცარია)

**მაყურებელი:** 0

**ლივერპული–მარსელი 1:0**

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, კარაგერი, აგერი, ფაბიო აურელიო (46. დოსენა), ჩაბი ალონსო, მასკერანო, კუიტი, (84. ჯერარდი, რიერა (63. ბენაიუნი), ფერნანდო ტორესი.

**მარსელი:** მანდანდა, ბონარი (89. სამასა), ზუბარი, ჰილტონი, ტაივო, კანა, ზიანი, ბენ. შეირუ, ბ. კონე (78. ვალბუენა), ბენ არფა, ნიანგი.

**გოლი:** 1:0 ჯერარდი (23)

**არბიტრი:** ოლეგარიუ ბენკერენსა (პორტუგალია)

**მაყურებელი:** 42 010

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ატლეტიკო | 5 | 3 | 2 | 0 | 9-4 | 11 |
| 2. ლივერპული | 5 | 3 | 2 | 0 | 8-4 | 11 |
| 3. მარსელი | 5 | 1 | 0 | 4 | 5-7 | 3 |
| 4. ეინდჰოვენი | 5 | 1 | 0 | 4 | 4-11 | 3 |

**ბოლო ტური**

**9 დეკემბერი**

მარსელი-ატლეტიკო
ეინდჰოვენი-ლივერპული

### C ჯგუფი

ფულს რომ გოლები არ გააქვს, ეს ისედაც ყველამ ვიცოდით. ახლა კი ისიც გავიგეთ, რომ ზოგჯერ ბევრ ფულს კარში დარტყმაც არ შეუძლია. ოთხშაბათს ამაში „ბორდოს“ გულშემატკივრებიც დარწმუნდნენ და ყველა ის მაყურებელიც, ვინც „ბორდოსა“ და „ჩელსის“ მატჩი იხილა. დაახლოებით 60 წუთის განმავლობაში „არისტოკრატებს“ შეტევაში არაფერი გაუკეთებიათ! მოდით, გადავხედოთ პირველი ტაიმის შემდეგ დაფიქსირებულ სტატისტიკურ მაჩვენებლებს: 45 წუთის შემდეგ, „ჩელსის“ მეკარე **პეტრ ჩეხს** ბურთთან უფრო მეტი კონტაქტი ჰქონდა, ვიდრე **ჯო კოულს** და **ნიკოლა ანელკას** ერთად! თუ ვინმე ფიქრობს, რომ ეს „ბორდოს“ ფეხბურთელების უკანმოუხედავი და თავზე ხელაღებული შეტევების დამსახურება იყო, ძალიან ცდება. არა, ჩეხს ბურთი უმეტესად თანაგუნდელებისგან მისდიოდა. სტარტიდან ერთი საათის შემდეგ კი, ლემპარდს უცებ თავში შესანიშნავი იდეა მოუვიდა და ანელკა სამოგზაუროდ გაუშვა. და რაკი ეს უკანასკნელი საკმაოდ კარგ ფორმაშია, ამ მოგზაურობიდან მაქსიმალური სიამოვნება მიიღო, ფრანგების მეკარე **ვალვერდეს** ცოტათი ეცელქა კიდეც და მასთან პირისპირ გასულმა, მოხდენილად გაიტანა. საფინალო სასტვენამდე 8 წუთით ადრე, **ალუ დიარამ** წონასწორობა აღადგინა და სრულიად დამსახურებულად. ამრიგად, „ჩელსის“ ჯერ არაფერი აქვს განაღდებული, მაგრამ ბოლო ტურში „კლუჟისგან“ ბევრს რას უნდა ველოდეთ? და მერე რა, რომ ლონდონელებს ლემპარდი არ ეყოლებათ...

რომაელებს რუმინეთში ძალიან სციოდათ. სათადარიგოთა სკამზე პლედებით შემოსილები ისხდნენ და ერთ ადგილზე მაინც ვერ ჩერდებოდნენ. მოედანზე გასული ფეხბურთელების უმეტესობას კი რეიტუზები ეცვა. აბა, ყინვაში სირბილი ვის დაეზარება და რომაელებმაც მაგრად ირბინეს, შესაბამისად, გოლებიც გაიტანეს - განსხვავებით წინა მატჩისგან, რომელიც რომში შედგა და რომელიც „კლუჟმა“ მოიგო. ორი დარტყმა, ორი გოლი, აქედან ერთი **ფრანჩესკო ტოტის** გენიალური ჯარიმით 25 მეტრიდან - 20 წუთის შემდეგ, **ლუჩანო სპალეტის** გუნდი უკვე 2:0-ს იგებდა. როგორც ჩანს, ამ ხნის განმავლობაში, რომაელები უკვე კარგად ჩათბნენ და ოდნავ მოეშვნენ, რითაც რუმინელებმა ისარგებლეს და სხვაობა შეამცირეს, მაგრამ მეორე ტაიმში იტალიურმა კლუბმა ისევ სოლიდურად განაგრძო ასპარეზობა და 64-ე წუთზე საყრდენმა ნახევარმცველმა **მატეო ბრიგიმ** „კლუჟს“ მესამე გოლიც გაუტანა. მართალია, „რომა“ ჯგუფის ლიდერია, მაგრამ სპალეტის გუნდს მერვედფინალში თამაში ჯერ კიდევ არ აქვს განაღდებული. ბოლო ტურში „რომა“ „ბორდოს“ უმასპინძლებს.

სამშაბათს, ბრემენის „ვერდერის“ გენერალურმა მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** გაზეთ „ბილდისთვის“ მიცემულ ინტერვიუში აღიარა, ჩვენ (ალ)არ ვართ სუპერგუნდიო. ოთხშაბათს, მის განცხადებას ბრემენელმა ფეხბურთელებმა ხელი მოაწერეს და ბეჭედი დაუსვეს: „ვერდერმა“ „ანორთოსისთან“ 2:2 ითამაშა და ჩემპიონთა ლიგიდან გავარდა. „მუსიკოსებმა“ მეხუთე თამაშში მეოთხე ფრე ითამაშეს (ერთი წაგება აქვთ) და ამრიგად, პლეი ოფში გასვლის შანსი აღარ შერჩათ. **თემურ ქეცბაიას** „ანორთოსისი“ მეტოქეს მეტწილად სტანდარტული მდგომარეობებითა და კონტრშეტევებით აწუხებდა. 6 წუთში გატანილი ორი გოლის შემდეგ, კვიპროსელებს თავი უკვე მერვედფინალში ეგონათ, მაგრამ „ვერდერმა“ გერმანული სულისკვეთება გამოავლინა და **დიეგოსა** (პენალტით) და **უგო ალმეიდას** გოლებით გაათანაბრა. ისე, პორტუგალიელ თავდამსხმელს მატჩის მინურულს მესამე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ „ანორთოსისი“ მეკარე **ნადიმ** გადაარჩინა.

რატომ ითამაშა „ინტერმა“ „პანათინაიკოსთან“ ასე ცუდად, ეს მინიმუმ **ჟოზე მოურინიომ** იცის, სავარაუდოდ **მასიმო მორატიმაც** და მაქსიმუმ მხოლოდ საფეხბურთო ღმერთმა, თუკი ის არსებობს, რა თქმა უნდა. ყოველ შემთხვევაში, თუკი „ინტერის“ შესაძლებლობებს გავითვალისწინებთ და მის შემადგენლობას გადავხედავთ, თამამად შეგვეძლება იმის თქმა, რომ როგორც „ინტერმა“ „სან სიროზე“ „პანათინაიკოსთან“ ითამაშა, ეს უდიდესი უნამუსობა იყო. არანაირი კრეატიულობა, არანაირი ბრძოლა, არანაირი იდეები, არც საგოლე მომენტები - მოურინიოს ბიჭებს ან ეძინათ, ან რაღაცაზე ოცნებობდნენ. მართალია, „ინტერი“ მაინც მერვედფინალშია და ამ წაგებით ცხვირი არ წაუმტვრევია, მაგრამ დიდი შანსია, პირველ ადგილზე ვერ გავიდეს და ეს დავრდომა მერვედფინალში დაუხვდეს წინ.

C ჯგუფის ორ თამაშში 12 გოლი გავიდა, აქედან, ორმა გუნდმა 5-5-ჯერ იხეირა: „ბარსელონამ“ და „შახტარმა“ (!). კატალონიელებმა ლისაბონში იფრინეს. ჯერ **ანრი მესის** პასით, მერე **პიკე** და მერე მესი: „ბარსა“ 3:0-ს იგებდა. **ველოსომ** და **ლიედსონმა** თითქოს ინტრიგა დააბრუნეს, როცა ანგარიში 2:3 გახდა, მაგრამ კატალონიურმა გრანდმა მეექვსე სიჩქარე ჩართო და ჯერ **კანეირამ** გაიტანა საკუთარ კარში, საბოლოო წერტილი კი **კრკიჩმა** დასვა. მაგრამ პორტუგალიელებს ამის გამო ყურები არ ჩამოუყრიათ. არც უნდა ჩამოეყარათ, რადგან როგორც მოსალოდნელი იყო, „ბარსელონა“ ჯგუფიდან პირველადგილოსანის რანგში გავიდა, „სპორტინგი“ კი მეორეადგილოსნის რანგში მიჰყვა. შესაბამისად, ბოლო ტური ამ ჯგუფში ფორმალობაა.

„ბაზელი“ და „შახტარი“ ჩემპიონთა ლიგას ემშვიდობებიან, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ უკრაინელებმა კარის გაჯახუნება ფაქტობრივად უკვე მოახერხეს და უეფას თასზე ამაყად გადავლენ, შვეიცარიულ კლუბს კი თავი აღარსად გამოეყოფა. მატჩის მთავარი გმირი **ვილიანი** გახლდათ. ტანდაბალი, 20 წლის ბრაზილიელი „შახტარის“ თითქმის ყველა შეტევის ორგანიზატორი გახლდათ. შესანიშნავი დღე ჰქონდა მის თანამემამულე **ჟადსონსაც**, რომელმაც სამი გოლი გაიტანა. ერთი სიტყვით, ამ ჯგუფში ყველაფერი გარკვეულია, ყველა ადგილი განაწილებულია.

მადრიდის „ატლეტიკო“ აბსოლუტურად დამსახურებულად გავიდა მერვედფინალში. ესპანელებმა მეხუთე ტურში „ეინდჰოვენის“ დამარცხებაც შეძლეს, თანაც, ცარიელ ტრიბუნებზე, რადგან „ვისენტე კალდერონზე“ მაყურებლები არ დაიშვებოდნენ. თუმცა „ატლეტიკოს“ ბოსებმა საკმაოდ კარგი რამ მოიფიქრეს: **სიმაოსა** და **მაქსი როდრიგესის** გოლების დროს, სტადიონზე მადრიდელთა ფანების ოვაციები ისმოდა - რა თქმა უნდა, დინამიკებიდან - ხოლო ტაბლო კი „ატლეტიკოს“ გახარებულ ფანებს უჩვენებდა. **დანი კოვერმანსის** გოლის დროს კი ეს არ მომხდარა, არადა, ამ უკანასკნელმაც დაიმსახურა აპლოდისმენტები - **ჰუუბ სტევენსის** „ეინდჰოვენმა“ ხუთ მატჩში ოთხი გოლის გატანა შეძლო და ოთხივე 30 წლის კოვერმანსის ანგარიშზეა.

„ატლეტიკოს“ დარად, „ლივერპულსაც“ 11 ქულა აქვს და მერსისაიდელებიც მერვედფინალში არიან. თუმცა რაფა ბენიტესის ბიჭებს მოსალოდნელზე მეტად გაუჭირდათ მარსელის „ოლიმპიკის“ დამარცხება. ფრანგები განსაკუთრებით მეორე ტაიმში აქტიურობდნენ და სჯობდნენ „ლივერპულს“, მაგრამ **ერიკ გერეტსის** გუნდმა უპირატესობა ვერაფერში ასახა. **სტივენ ჯერარდმა** კი კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ „ლივერპულის“ სული და გულია. 28 წლის ნახევარმცველმა ჩემპიონთა ლიგის მიმდინარე გათამაშებაში რიგით მეხუთე გოლი გაიტანა და ლიონელ მესისთან ერთად, ბომბარდირთა დავას სათავეში უდგას. მარსელელ **ჰატემ ბენ არფას** ზუსტად ისეთივე ვარდისფერი ბუცები ეცვა, როგორც სამშაბათს ბაიერნელ **ფრანკ რიბერის**, „სტიაუასთან“ მატჩში, მაგრამ, მისგან განსხვავებით, ვერ იხეირა. დასკვნა: ვარდისფერი თეთრ-წითელ ფერებთან უფრო კარგად „მიდის“, ვიდრე ოქროსფერთან და შავთან...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსალოდნელი ტრანსფერი

# პოდოლსკის წასვლა გადაიდო

## ბეკენბაუერი: ლუკასი კარგი თავდამსხმელია, მაგრამ ჩვენს სქემაში ვერ ჯდება! კაიზერი პოლდის სანაცვლოდ 15 მილიონს ითხოვს

„კიოლნს" **ლუკას პოდოლსკის** დაბრუნება ძალიან უნდა და „თხების" ხელმძღვანელებმა საქმე ადგილიდან დაძრეს, მაგრამ როგორც ირკვევა, ტრანსფერის ზამთარში განხორციელება ფაქტობრივად გამორიცხულია, რადგან „ბაიერნის" ბოსებს ასე სურთ. ასე რომ, პოდოლსკის გადაბირება „კიოლნს" მხოლოდ სეზონის დასრულების შემდეგ შეეძლება.

*„ზამთარში მის გაშვებას არ გეგმავენ. „ბაიერნის" ბოსებს ეს მყარად აქვთ გადაწყვეტილი,"* - აცხადებს „კიოლნის" გენერალური მენეჯერი **მიხაელ მაიერი.** მისი თქმით, „ბაიერნის" მენეჯერ **ული ჰიონესთან** კონკრეტული მოლაპარაკებები ჯერ არ გამართულა, მაგრამ შედგა რამდენიმე საუბარი, სადაც მაიერს განუმარტეს, რომ ზამთარში პოდოლსკის ტრანსფერის განხორციელება შეუძლებელია.

რაინელებს უკვე გამზადებული აქვთ წინადადება, რომლითაც რეკორდმაისტერს უნდა მიმართონ, რათა თავიანთი დაკარგული შვილი დაიბრუნონ. *„ჩვენ „ბაიერნისთვის" კონკრეტული წინადადებით ჯერ არ მიგვიმართავს, მაგრამ როგორც კი ნიშანს მოგვცემენ, მაშინვე გამოვეხმაურებით. ამისათვის უკვე მზად ვართ,"* - ეს „კიოლნის" პრეზიდენტ **ვოლფგანგ ოვერატის** სიტყვებია, - *„ჩვენ ყველაფერს, მართლაც ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ ლუკასი სახლში დავაბრუნოთ."*

23 წლის პოდოლსკი „კიოლნიდან" „ბაიერნში" 2006 წელს გადავიდა და მაშინ ბავარიელებმა მის სანაცვლოდ 10 მილიონი ევრო გადაიხადეს. პოლდის რეკორდმაისტერთან კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს და მთავარი მწვრთნელის, **იურგენ კლინსმანის** მოთხოვნით, სეზონის ბოლომდე მიუნხენში უნდა დარჩეს.

ამასობაში, პოდოლსკისთან დაკავშირებით თავისი მოსაზრება გამოთქვა „ბაიერნის" პრეზიდენტმა **ფრანც ბეკენბაუერმა.** კაიზერი: *„სიმართლე ითქვას, შეუძლებელია გუნდში ისეთი ფეხბურთელის გაჩერება, რომელიც მუდმივად უკმაყოფილოა და სათადარიგოთა სკამს ხეხავს. სამწუხაროდ, პოლდი ჩვენს სქემაში ვერ ჩაჯდა და ალბათ ველარც ჩაჯდება. ის შესანიშნავი თავდამსხმელია, რასაც გერმანიის ნაკრებში ყოველთვის ამტკიცებს, მაგრამ პოდოლსკი მხოლოდ მაშინაა შედეგიანი, როცა სივრცე ექმნება. ასეთ დროს ის სისწრაფის ხარჯზე ახერხებს გოლების გატანას. „ბაიერნის" მეტოქეები კი ჩვენ წინააღმდეგ თითქმის ყოველთვის დაცვით ფეხბურთს თამაშობენ, რის გამოც, ზოგადად, ჩვენს გუნდს უფრო საჯარიმოს ფორვარდები ადგებიან ხოლმე. - მაგალითად, ლუკა ტონი და მიროსლავ კლოზე. სწორედ ამიტომ ვერ ახერხებს პოდოლსკი „ბაიერნში" თავისი ადგილის დამკვიდრებას, თორემ მის შესაძლებლობებში აქ ეჭვი არავის ეპარება. ასე რომ, მის გასხვისებაზე ვფიქრობთ. მაგრამ ყველაფერს აქვს თავისი ფასი. თუკი „კიოლნს" მისი დაბრუნება უნდა, ოვერატმა ჯიბეზე გვარიანად უნდა გაიკრას ხელი. ორწლინახევრის წინ პოდოლსკიში 10 მილიონი გადავიხადეთ. ასე რომ, „კიოლნს" ათ მილიონზე მეტის, მინიმუმ 15 მილიონის გადახდა მოუწევს."*

„ბაიერნის" ვიცე-პრეზიდენტი **კარლ ჰაინც რუმენიგე:** *„ჩვენ „კიოლნის" ხელმძღვანელებს განვუმარტეთ, რომ ზამთარში ლუკასს ვერ შეიძენენ. „კიოლნერ დომში" ყველა სანთელი რომ აანთონ, ამას მაინც ვერ მოახერხებენ. ზაფხულში კი შეიძლება."*



კიოლნელი ფანის მოთხოვნა: დააბრუნეთ პრინცი პოლდი სახლში

**გოტფრიდ ლენცი**

გლადბახი

# თავში ხომ არ აგივარდა, პატარა ბიჭი?

## მაიერმა მარინს შემოულაწუნა

**მარკო მარინი** გერმანული ფეხბურთის ამომავალ ვარსკვლავად მიიჩნევა. მან უკვე დააგემოვნა გერმანიის ეროვნული ნაკრებიც და თამამად შეიძლება ითქვას, რომ მთელი საფეხბურთო გერმანიის ყურადღების ცენტრშია მოქცეული. 19 წლის ფლეიმეიქერი, რომელსაც მიონხენგლადბახის „ბორუსიასთან" კონტრაქტი 2010 წლამდე აკავშირებს, ბოლო დროს ხშირად იმეორებს, რომ რომელიმე ევროპულ გრანდში სურს გადასვლა. მისი მრჩეველი კი სულ უფრო და უფრო ხშირად ამბობს, რომ მარინს არაერთი მომხიბლავი წინადადება აქვს. ბრემენის „ვერდერის" გენერალურმა მენეჯერმა **კლაუს ალოფსმა** უკვე ოფიციალურად დაადასტურა, რომ მარინი მისი ინტერესის სფეროშია მოხვედრილი, მაგრამ ფეხბურთელის აგენტის თქმით, მარკოს „ვერდერზე" გაცილებით ძლიერი ევროპული კლუბები ეპატიჟებიან. ამ საკითხთან დაკავშირებით „ბორუსიის" მთავარმა მწვრთნელმა **ჰანს მაიერმა** ისაუბრა.

*„პირადად ჩემთვის წარმოუდგენელია ის, რომ რომელიმე გრანდმა ასეთ 19 წლის ფეხბურთელში მილიონები გაილოს. არა მგონია, რომ „რეალი", მილანი ან „მანჩესტერი" ამ დონეზე გასულელდნენ. მე რომ „რეალის" მენეჯერი ვიყო, ნამდვილად არ მომივიდოდა თავში ისეთი იდეა, რომ „გლადბახის" ფეხბურთელში მილიონები გამეფლანგა. მარინის მრჩეველი, ბატონი სტევიჩი ამბობს, რომ ასეთი წინადადებები არსებობს. თუკი ეს სიმართლეა, რაშიც მე ეჭვი სერიოზულად მეპარება, ძალიანაც კარგი: ამ მილიონებს „გლადბახი" შესანიშნავად გამოიყენებს. მაგრამ ვეჭვობ, რომ მარკოს წარმატებები უკვე თავში აუვარდა, რაზეც მისი ბოლოდროინდელი შედეგები მეტყველებს. მან უკვე დაკარგა რეალობის შეგრძნება. იმედი მაქვს, რომ ის იმ ადამიანებს მოუსმენს, ვისაც მასზე გული შესტკივა. მე მარკოსგან მხოლოდ იმას ველი, რომ ბევრი იშრომოს. მოლოდინს მხოლოდ ასე თუ გაამართლებს,"* - განაცხადა „რკინის ჰანსმა".

**გოტფრიდ ლენცი**



მარკო მარინი და ჰანს მაიერი

ჩელსი



# 34 მილიონი და ადრიანო

## სკოლარი ჰომოსექსუალისტი არ არის

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ "ინტერი" **დიდიე დროგბათი** გახლავთ დაინტერესებული. იტალიური მასმედია ასახელებდა კონკრეტულ თანხას, რომელსაც ლონდონური კლუბი ფეხბურთელის სანაცვლოდ ითხოვდა. "არისტოკრატები" მზად არიან, განიხილონ წინადადება, მაგრამ განსაკუთრებული პირობებით: კოტდივუარელის შესაძენად საჭიროა 34 მილიონი გირვანქა და **ადრიანო,** - გვამცნობს სააგენტო "სპორტსმედიასეტი". რამდენად დიდია აფრიკელი სუპერფორვარდისადმი **ჟოზე მოურინიოს** დაინტერესება და რამდენად მზადაა **მასიმო მორატი** ფეხბურთელში კოლოსალური თანხა გადაიხადოს, ახლა გამოჩნდება. "ინტერმა" ტრანსფერს კბილი ჯერ კიდევ ზაფხულში მოუსინჯა, მაგრამ...

ვრცელდება ინფორმაცია, რომ დროგბა და მისი აგენტი, კომპანია "მონდიალ პრომოუშენის" (ფირმა, რომელიც ბევრი ცნობილი ფეხბურთელის ინტერესს იცავს, მაგალითად **ვილიამ გალასი, ბაკარი კონე, ჯიმი ტრაორე, მურად მეგნი, უსმან დაბო**) წარმომადგენელი "ნერაძურის" გენდირექტორ **მარკო ბრანკას** ლონდონში, ფულჰემის რაიონის ერთ-ერთ პრესტიჟულ რესტორანში შეხვდნენ და მომავალი საქმიანობის დეტალები განიხილეს. დიდიეს ლონდონურ ხელშეკრულებას ვადა 2010 წლის ივნისში გასდის, შესაბამისად, მას კლუბის ნებართვის გარეშე მოლაპარაკებაზე დასწრების უფლება არ ჰქონდა.

"ბორდოსთან" ჩემპიონთა ლიგაში გუშინწინდელი შეხვედრა დროგბამ სათადარიგოთა სკამზე დაიწყო. სწორედ ასეთი იყო **ლუიშ ფელიპე სკოლარის** რეაქცია, როდესაც გაიგო, რომ მისი ფორვარდი ბრანკას შეხვდა. მასმედიელებმა "დიდი ფილი" სწორედ აღნიშნულ საკითხზე შეკითხვებით შეალონეს, რაზეც გალიზიანებულმა ბრაზილიელმა უპასუხა: *"ვერ გეტყვით, როდის და ვის შეხვდა დროგბა კობემის ბაზის გარეთ. მე არ ვარ პედერასტი და მასთან არ ვწევარ, არც მისი გულის მესაიდუმლე გახლავართ".*

"სქაი სპორტსის" კორესპონდენტთან შეხვედრისას დროგბა ლამის ატირდა. ფეხბურთელი გამოტყდა, რომ ცხოვრების ბოლო ექვსი თვე მისთვის ყველაზე კოშმარული ყოფილა კარიერაში. ამ დროის განმავლობაში მას გულშემატკივართა არნახული ზეწოლის გადატანა მოუხდა "მანჩესტერთან" ჩემპიონთა ლიგის ფინალში გაძევების გამო. ფანებმა ჯოხის გადატეხა, რატომღაც, მასზე მოინდომეს. შემდეგ იყო ტრავმა, რომლის გამოც მას დიდი დრო გაუცდა. იყო დისკვალიფიკაცია "ბარნლისთან" სათასო შეხვედრაში ჩადენილი უსაქციელობის გამო... *"ცხოვრებაში რთული მომენტები ვის არ ჰქონია? ადრეც ვყოფილვარ მსგავს სიტუაციაში, ასე რომ, შესანიშნავად ვიცი, როგორ დავაღწიო თავი ამ ჩიხს. რა სისაძაგლეები არ ილაპარაკეს ჩემზე ბოლო კვირების განმავლობაში... გახსენებაც არ მინდა. გამოგიტყდებით, რომ მონეტის სროლა ჩემი მხრიდან დასაგმობი იყო. აი, დანარჩენ შემთხვევებში კი, ჯობს, საერთოდ გავჩუმდე. ახლა ერთადერთი მიზანი მაქვს: რაც შეიძლება სწრაფად ავკრიბო ფორმა და ვაკეთო ის საქმე, რაც ცხოვრებაში ყველაზე უკეთ მეხერხება – ვითამაშო ფეხბურთი.*

*ერთი რამის დამატებაც მინდა: ჩემი მისამართით ბრალდებათა ნიაღვარი წამოვიდა... მესმის, რომ საჯარო პერსონა ვარ და ყველას აქვს უფლება, მაკრიტიკოს, მაგრამ სამართლიანობის დაცვაც საჭიროა. ადვილია ჩემი დადანაშაულება ლიგის ფინალში წაგების გამო, იმის მაგივრად, რომ უბრალოდ ვაღიაროთ, სასტიკად არ გაგვიმართლა და მორჩა. მითხრეს, რომ ყველა ღონე უნდა მეხმარა, რათა წითელი ბარათი თავიდან ამეცილებინა, მერე მეხუთე პენალტი დამერტყა და ფინალი მომეგო. კი მაგრამ, ხომ შეიძლება, ტერის მაგივრად დარტყმა მე გამეფუჭებინა. ცხოვრებაში თითოეული ასეთი სიტუაცია ჭკუის სასწავლებელია. სწავლა, სწორედ ეს არის ცხოვრების აზრი",* - ამბობს ფეხბურთელი.

"არისტოკრატთა" ფორვარდმა **ნიკოლა ანელკამ** "ჰერალდ ტრიბუნთან" ინტერვიუსას სასტიკად გააპროტესტა ჟურნალისტის ფორმულირება, რომ ს ფელიპაოს საყვარელი ფეხბურთელია. ფრანგმა პრემიერლიგაში 14 შეხვედრიდან 13-ჯერ სასტარტოში დაიწყო, მაგრამ აქ მწვრთნელის სუბიექტური დამოკიდებულება არაფერ შუაშია – 12 გატანილი გოლით ის პრემიერლიგის ბომბარდირთა დავას სათავეში უდგას. ნიკოლას განცხადებით: *"ვერ გეტყვით, რამდენად ვარ გუნდის მთავარი თავდამსხმელი. ამას მნიშვნელობა არ აქვს. ჩემი გადასაწყვეტი არ არის, რა როლს ვითამაშებ "ჩელსის" სათამაშო სქემაში. როცა ვთამაშობ, ვცდილობ, რომ თავი საუკეთესო კუთხით წარმოვაჩინო".*

**შალვა ბიბილაშვილი**

ინტერვიუ

რიო ფერდინანდი

# რა სჯობია იმას, თასს ნელსონ მანდელა რომ გადმოგცემს...

## ფერდინანდს იაპონია ყველაზე კარგად გაახსენდება


ეროვნული ბიბლიოთეკა

ნოემბრის დასაწყისში რიო ფერდინანდმა დაბადების დღეზე ფანტასტიკური საჩუქარი მიილო, როცა არგენტინის ნაკრების ახალი მწვრთნელი, ლეგენდარული დიეგო მარადონა კარინგტონში, „მანჩესტერ იუნაიტედის“ სანვრთნელ ცენტრში, კარლოს ტევესთან სასაუბროდ და მისი ვარჯიშის სანახავად ჩავიდა. 30-ე დაბადების დღესთან დაკავშირებით, მარადონამ ინგლისის ნაკრების მცველს აჩუქა ავტოგრაფიანი მაისურა, რომელსაც ფერდინანდმა განსაკუთრებული ადგილი საკუთარი სახლის კუთხეში მიუჩინა, სადაც უამრავი ჯილდოა მოთავსებული.

2008 წელს ფერდინანდმა „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ერთად ორი ყველაზე პრესტიჟული ტურნირი მოიგო: ინგლისის პრემიერლიგა და უეფას ჩემპიონთა ლიგა. ახლა, ლონდონელ სპორტსმენს იმედი აქვს, რომ წლის ბოლომდე ჯილდოების გალერეას ფიფას საკლუბო მსოფლიო თასითაც გაამდიდრებს. ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტთან საუბრისას, ფერდინანდმა გაიხსენა მოსკოვური სალამო, როცა „იუნაიტედმა“ იაპონიაში გასამგზავრებელი „ბილეთი“ მიიღო, ილაპარაკა პროფესიული დონის ამაღლებასა და იმაზე, თუ რატომ არიან როჯერ ფედერერი და ნელსონ მანდელა მისთვის სათაყვანებელი გმირები...

**- რიო, შეგიძლია, გაიხსენო მომენტი, როცა სერ ალექს ფერგიუსონმა გთხოვა, რომ ჩემპიონთა ლიგის ფინალში „მანჩესტერ იუნაიტედის“ კაპიტანი ყოფილიყავი?**

- განსაკუთრებული არაფერი მომხდარა. მან დაასახელა შემადგენლობა და ვინაიდან გარი ნევილი და რაიან გიგზი ვერ ითამაშებდნენ, კაპიტნობა მე დამავალეს. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო, თუმცა სასიხარულოც. ჩემპიონთა თასის ალმართვაზე არც ვფიქრობდი, სანამ მატჩი არ მოვიგეთ და ვიღაცამ არ მითხრა - ახლა გუნდს მაღლა, კიბეზე უნდა გაუძღვეო. აი, მაშინ კი დადგა განსაკუთრებული, ემოციური მომენტი... ამის მსგავსიც კი არაფერი ყოფილა ჩემს კარიერაში.

**- კაპიტნობამ თქვენი თამაშის სტილი შეცვალა?**

- არა. ამ დროს უფრო მეტი პასუხისმგებლობა გეკისრება, მაგრამ თუ კაპიტნად დაგნიშნეს და ამ დროს თამაშის იმ სტილს შეცვლი, რომელმაც კაპიტნობა მოგაპოვებინა, საკუთარ სახეს უმალ დაკარგავ. კაპიტნის სამკლავური თუ ჩაგაბარეს, ეს იმას ნიშნავს, რომ მწვრთნელი გენდობა, როგორც გუნდის ლიდერს, ამიტომ, ჯობია, ძველებურად გააგრძელო თამაში...

**- „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და ინგლისის ნაკრებში თამაში ადვილი უნდა იყოს, რადგან იმ გუნდში ხარ, სადაც ბევრი ლიდერია...**

- მართალია, რადგან ჩემს პარტნიორებს გამარჯვება სწყურიათ. „იუნაიტედზე“ ახლა ბევრს ლაპარაკობენ, ისევე, როგორც ინგლისის ნაკრებზე. ორივე გუნდში არაჩვეულებრივი ურთიერთობები იგრძნობა და ეს ძალზე მნიშვნელოვანია გამარჯვებებისთვის.

**- თასი თქვენ გიგზთან ერთად აღმართეთ. მან გამარჯვების პენალტი გაიტანა. ვინ იყო მომდევნო?**

- მე ვიყავი! მთელი დღის განმავლობაში ვფიქრობდი, როგორ გამეტანა გოლი და გონებაში მომავალი მატჩის სცენარს ვათამაშებდი. თუმცა სცენარი სხვანაირად წარიმართა, ისე არა, როგორც მე ვფიქრობდი. ძალიან ვნერვიულობდი და ბოლო დარტყმის მოგერიებისთვის ვან დერ სარის მადლობელი ვარ...

**- დიდი მატჩების წინ ყოველთვის ნერვიულობ?**

- ბოლოს, 2002 წლის მუნდიალის დროს, ბრაზილია-ინგლისის მატჩის წინ ვინერვიულე, რადგან ვიცოდი, რომ ჩემგან მთელი შესაძლებლობების დემონსტრირებას ელოდნენ. თუ ვარჯიში ნორმალურად მიდის და გუნდშიც კარგად „ვჯდები“, სანერვიულო არაფერი მაქვს.

**- იაპონური მუნდიალი ახსენე. მალე იქ კვლავ გაემგზავრები, ფიფას მსოფლიო საკლუბო თასისთვის საბრძოლველად. რა გახსენდება ამასთან დაკავშირებით?**

- მიყვარს იაპონია. ეს არის ფანტასტიკური ქვეყანაა, რომელიც სავსეა ფეხბურთის ენთუზიასტებით. სტადიონებიც გენიალურია, არაჩვეულებრივი ინფრასტრუქტურით. 2002 წელს იქ ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში კარგად ვითამაშე და ამიტომაც მივიღე ადგილი „მანჩესტერ იუნაიტედში“. დარწმუნებული ვარ, როცა განვლილ კარიერას გადავხედავ, იაპონია ყველაზე კარგად გამახსენდება. არაჩვეულებრივი იქნება, თუ პრემიერლიგისა და ჩემპიონთა ლიგის მოგებას, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონობაც დაემატება.

**- რა დაგამახსოვრდა უფრო მეტად 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატიდან?**

- ალბათ, დანიასთან მერვედფინალურ მატჩში გატანილი გოლი. ამ თამაშში განსაკუთრებით კარგად ვითამაშეთ, ჩემთვის კი მსოფლიო თასზე გატანილი გოლი უდიდესი სიამოვნება იყო.

**- 2008 წლის სეზონი საუკეთესო იყო შენთვის, როგორც პროფესიონალი ფეხბურთელისთვის?**

- წარმატებების მხრივ, შეიძლება ასეც ითქვას.

**- რა იცი ტურნირის სხვა მონაწილეების შესახებ?**

- თითქმის არაფერი. ამ მხრივ მწვრთნელები მუშაობენ. იქ გამგზავრებამდე კარგად მოვემზადებით.

**- როგორ ფიქრობ, გაუმჯობესდა შენი თამაშის სტილი „მანჩესტერ იუნაიტედში“ ყოფნის პერიოდში?**

- სიმართლე გითხრათ, გაუმჯობესება ეტყობა, მაგრამ არ ვგრძნობ თავს გუნდისთვის ძალზე მნიშვნელოვან ფიგურად. ყველა მატჩი ვითამაშე და პასუხისმგებლობას მუდამ სხვებთან ერთად ვინაწილებდი. საკუთარ თავს პროგრესს ყოველთვის ვამჩნევ.

**- კარიერა ნახევარმცველობით დაიწყე. რამდენად ძნელი იყო დაცვაში გადასვლა?**

- ვფიქრობ, ამპლუის შეცვლა არც ისე ცუდად გამოვიდა. 14-15 წლის რომ ვიყავი, ერთხელ მწვრთნელმა მთხოვა, ცენტრალური ნახევარმცველის ადგილზე მეთამაშა. ვითამაშე და ამით ყველაფერი დასრულდა. უფრო ადრე თავდასხმაშიც კი მითამაშია, მაგრამ ახლა საქმე სხვაგვარადაა.

**- ახლა უფრო მეტი გოლი გაგაქვს. რა მოხდა?**

- ადრე, როცა შეტევაში ჩავერთვებოდი, ვფიქრობდი - „მოდი, ვნახოთ, რა მოხდება“, მაგრამ ახლა უფრო ყურადღებით ვთამაშობ. ზუსტად ვიცი, სად და რომელ პოზიციაზე უნდა ვიყო და სად უფრო სახიფათოდ შემიძლია თამაში.

**- თავდამსხმელი, ნახევარმცველი და მცველი... მაგრამ მახსოვს, ერთხელ კარში ჩადგომამაც მოგიწია, როცა ტომაშ კუშჩაკი გააძევეს, იანვარში, ასოციაციის თასის მატჩში. გახსოვს, ალბათ?**

- მეკარე აღარასოდეს ვიქნები. ეს ყველაზე განმარტოებული ადგილია მოედანზე. არ ვიცი, როგორ ეჩვევიან მეკარეები ამას. დგახარ მარტო, გარშემო არავინაა და დიდი ხნის განმავლობაში ბურთთან შეხება არ გაქვს. თუმცა, რთული ბურთის მოგერიებით, მეკარემ შეიძლება უცებ შეცვალოს თამაშის სურათი. საშინელებაა...

**- ვინაა შენთვის გმირი სპორტში და მის გარეთაც?**

- სპორტში როჯერ ფედერერი, იმის გამო, რომ ჩოგბურთში სპორტის ამ სახეობისადმი თავისებური მიდგომით დომინირებს, დაკვირვებით და თამაშის საკუთარი სტილით. როჯერი მართლაც პატივისცემის ღირსია, რადგან როგორც სპორტსმენი, ვიცი, რაოდენ ძნელია მიზნის მიღწევა. სპორტის გარეთ კი ნელსონ მანდელას ვცემ უდიდეს პატივს, იმის გამო, რასაც მიაღწია. მან ხომ მთელი ცხოვრება საკუთარ ერს მიუძღვნა...

**- მსოფლიოს მომავალი ჩემპიონატი სწორედ მანდელას ქვეყანაში გაიმართება. რას ფიქრობ ამის თაობაზე?**

- საუცხოო იქნება, თუ მსოფლიო თასს თავად ნელსონ მანდელა გადმოგვცემს. მსოფლიოში არ მეგულება სხვა ადამიანი, ამხელა პატივს რომ იმსახურებდეს. მანამდე, ყველას დიდი გზა გვაქვს გასავლელი.

ინტერვიუ

ჯონ ბარნსი

# ჩვენ ძლიერი საბრძოლო სულისკვეთება გვაკლია



„ლივერპულისა“ და ინგლისის ნაკრების ლეგენდარულ ფეხბურთელ ჯონ ბარნსს ცხოვრება ახალი გზით მიჰყავს. დღეს ის იამაიკის ნაკრების მთავარი მწვრთნელია. „რეგის ბიჭებს“ (იამაიკის ნაკრების მეტსახელი, რომელიც იქაური მუსიკალური მიმდინარეობიდანაა აღებული) ის სექტემბრის შუა რიცხვებში ჩაუდგა სათავეში, 19 ნოემბერს კი კანადასთან 3:0 მოაგებინა და ჩრდილო-ცენტრალური ამერიკისა და კარიბის ზონის (კონკაკაფ) დასკვნით რაუნდში გაიყვანა. აქედან კი გზა სამხეთაფრიკული მუნდიალისკენ მიდის. ინგლისის ნაკრების შემადგენლობაში მსოფლიო თასის ორგზის მონაწილეს, „ენფილდ როულის“ გმირს, ფიფას ოფიციალური ვებგვერდის კორესპონდენტი ესაუბრა. ინტერვიუს თემა იყო ბოლოდროინდელი სამწვრთნელო ნაბიჯები, სამომავლო გეგმები და კაცი, რომელმაც ფეხბურთის პრაგმატული ფილოსოფია გააცნო...

**- როგორც ფეხბურთელი, თქვენ ასოცირდებით „ენფილდ როუდთან“, „ოლდ ტრეფორდთან“, „უემბლისთან“... ამის ფონზე, როგორ მოჩანს სალვადორის „კასკატლანი“, ან თუნდაც ტრინიდადის „ჰეიზლი კროუფორდი“?**

- მე ვეუბნები ჩემს ფეხბურთელებს, რომ ყოველთვის ბოლომდე უნდა დაიხარჯონ და არა აქვს მნიშვნელობა, რომელ სტადიონზე ითამაშებენ - სალვადორის, ნიკარაგუის, იამაიკის, ტრინიდადის თუ აქვე, კინგსტონის მოედანზე. ეს იგივეა, რაც თამაში „ენფილდზე“, „უემბლიზე“ ან სადმე სხვაგან. ყოველთვის უნდა ითამაშო ისე, თითქოს უდიდესი მნიშვნელობის მატჩის მონაწილე ხარ, ვთქვათ, მსოფლიოს თასის ფინალში. ჯერ მონდომება და თავდადება უნდა იყოს და მერე, დიდ სტადიონებზეც მოხვდები.

**- დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ მენეჯმენტის ფილოსოფიაზე. 1999 წელს „სელტიკში“ მუშაობის დაწყებით დიდი გამოწვევა მიიღეთ. როგორია ამჟამად თქვენი ფილოსოფიური მიდგომა?**

- ფილოსოფიისა რა მოგახსენოთ, მაგრამ მაქვს ჩემი სტრატეგიული გეგმები. მივყვები ფორმულას, გნებავთ სისტემას, რომელიც უპირატესობას ანიჭებს ინდივიდუალიზმს, რაც ჯერჯერობით აკლია ჩვენს გუნდს. საერთაშორისო ფეხბურთის ბუნება ასეთია, ზოგჯერ არ იცი, ვის მიიწვევ გუნდში. ასე რომ, მსურს, ჩემი ფორმულა გაძლიერდეს, რათა შეიძლებოდეს ფეხბურთელების როტაცია ისე, რომ ამით გუნდს არაფერი დაეტყოს, არ დაიშალოს. სტრუქტურა უმთავრესია ჩემს საფეხბურთო გუნდში.

**- რა რჩევებს აძლევთ ფეხბურთელებს?**

- ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შეიძლება ვუთხრა ფეხბურთელებს, არის ამგვარი ფრაზა - იყავით უფრო მეტად პროფესიონალები. ყოველთვის ერთსა და იმავე დონეზე ითამაშეთ! ისინი მთლიანად უნდა დაიხარჯონ მოედანზე და არ აქვს მნიშვნელობა, ვინ იქნება მოწინააღმდეგე. შესაძლებლობის 50 პროცენტის დემონსტრირება არ კმარა. ასე თუ მოხდა, მერე უკვე ძნელია, მოითხოვო მათგან სრული კონცენტრაცია. ეს კარგი ფეხბურთელის დამახასიათებელი ნიშანი არ არის. მე უნდა დავრწმუნდე, რომ ფეხბურთელები მენდობიან და ითვისებენ იმას, რაც მსურს.

**- როცა იამაიკის ფეხბურთის ფედერაციასთან ხელშეკრულება გააფორმეთ, „რეგის ბიჭებს“ თითქოს პრობლემები ჰქონდათ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატზე გამოსვლასთან დაკავშირებით. მაგრამ ახლა უკეთაა საქმე...**

- ჰონდურასსა და მექსიკასთან ერთნაირი ანგარიშით (1:0) გამარჯვების შემდეგ გამოჩნდა, რომ ბიჭებმა გადაჭრეს გარკვეული პრობლემები. ახლა უფრო მეტად ვაკონტროლებთ სიტუაციას. კანადასთან საშინაო მატჩს მთელი ენერგია მოვახმარეთ და გავიმარჯვეთ, ვითამაშეთ ისე, როგორც წინა ორ მატჩში და მეტიც - გავაუმჯობესეთ თამაშის ხარისხი. როგორც კი მოედანზე ფეხს დადგამ, ყოველთვის უნდა ეცადო, ითამაშო უკეთ, ვიდრე წინა შეხვედრაში. საბედნიეროდ, კანადასთან ეს გამოგვივიდა. ჩვენ საკუთარ თავს უნდა მივხედოთ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ საქმე კიდევ უფრო კარგად წავა. უპირველეს ყოვლისა, შედეგი გვჭირდება, რის შემდეგაც საკუთარი თავის პატრონები თავადვე ვიქნებით.

**- იამაიკის ნაკრების ხელმძღვანელებისთვის ყოველთვის ძნელი იყო ვარსკვლავებსა და ახალგაზრდებს შორის ურთიერთგაგების დარეგულირება. ბოლტონელი რიკარდო გარდნერი და სტოკსიტელი რიკარდო ფულერი ხშირად საერთო ენას ვერ პოულობენ ახალბედებთან. ეს თქვენთვისაც პრობლემაა?**

- გარდნერის და ფულერის მსგავსი ვარსკვლავები ამჟამად ჩვენი გუნდის საყრდენ ძალას წარმოადგენენ, ამას ვერ გაექცევი, ვერაფერს შეცვლი... მაგრამ მათ გარდა, კიდევ ბევრი ნიჭიერი იამაიკელი ბიჭი ირჯება ბრიტანეთში, სკანდინავიასა თუ სხვა ქვეყნებში. ახლა, ფეხბურთელების 99 პროცენტი საზღვარგარეთ თამაშობს და არ მგონია, სიტუაცია შეიცვალოს. 22 ვარსკვლავი რომ მყავდეს, რა თქმა უნდა, უკეთესი იქნებოდა, მაგრამ მჯერა, ამასაც მივაღწევთ. თუმცა ახალგაზრდებიც არ უნდა გამოგვრჩნენ მხედველობიდან. აქ სწორი ბალანსის დაცვაა საჭირო.

**- თქვენ ინგლისში დიდ გუნდებში გითამაშიათ, ახლა კი მწვრთნელი ხართ. რომელია თქვენთვის სამაგალითო მენეჯერი?**

- ცალკე რომელიმეს ვერ დავასახელებ, რადგან უდიდეს მწვრთნელებთან მიმუშავია. ასეთი იყო ბობი რობსონი ინგლისის ნაკრებში და კენი დალგლიში „ლივერპულში“, თუმცა ჩემს პირველ გუნდში, „უოტფორდში“, მართლაც ერთ-ერთი უდიდესი მწვრთნელი მყავდა გრემ ტეილორის სახით. მისი ხელმძღვანელობით, ის ფეხბურთელები, რომლებიც ინდივიდუალურად არც ისე ძლიერები იყვნენ, საუკეთესო მოთამაშეებად იქცნენ და მან ეს მოახერხა იმ სისტემის შემუშავებასთან ერთად, რომელიც დღითი დღე უმჯობესდებოდა. იმედი მაქვს, ტეილორთან ერთად მუშაობისას მიღებული გამოცდილება გამომადგება და იამაიკის ნაკრები ყველასთვის ანგარიშგასაწევი მეტოქე გახდება. დღესდღეობით კი „რეგის ბიჭებს“ „უოტფორდისეული“ ძლიერი საბრძოლო სულისკვეთება აკლიათ.

გვერდი მოამზადა
**დავით ჩუბინიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭადრაკი

# შეხვედრა სასახლეში გაგრძელდა





მაია ჩიბურდანიძე თბილისის აეროპორტში

გიორგი ქანიშვილის ფოტო

ქართული დელეგაცია გუშინ გამთენიისას დაბრუნდა საქართველოში. აეროპორტში ქართული სპორტის ხელმძღვანელობა სრულად დახვდა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაში გამარჯვებულებს, რაც, რა თქმა უნდა, სასიხარულო ჟესტია და იმედის მომცემიც... აეროპორტში ტელეჟურნალისტებიც მრავლად იყვნენ და გვირგვინოსნებისგან კომენტარებიც მიიღეს; უპირველესი ყურადღების ღირსი, ცხადია, **მაია ჩიბურდანიძე** იყო – მისი ფენომენალური თამაში ყველასთვის დიდი სიხარულია... მილოცვების შემდეგ სახლებს მივაშურეთ, თუმცა მოსასვენებლად დრო მცირე მოგვეცა: საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის ხელმძღვანელობამ თხუთმეტ საათზე პრესკონფერენციაზე მიიწვია მასმედია. სამწუხაროდ, ოლიმპიური გუნდიდან მხოლოდ **მაია ლომინეიშვილმა** და **ნანა ძაგნიძემ** შეძლეს მოსვლა; მაია ჩიბურდანიძემ დაღლილობა მოიმიზეზა, **ლელა ჯავახიშვილი** და **სოფიკო ხუხაშვილი** კი თბილისში არც ჩამოსულან, - დრეზდენიდანვე ხორვატიას მიაშურეს, სადაც საერთაშორისო ტურნირში ითამაშებენ.

მიუხედავად ამისა, მასმედიის ყურადღება პრესკონფერენციას არ მოჰკლებია. სათქმელი მოკლედ ითქვა, მილოცვები კიდევ ერთხელ მოისმინეს მოჭადრაკეებმა და შემდეგ ტკბილეულითა და შამპანურით დაილოცა უმაღლესი საჭადრაკო ჯილდო. ფედერაციის პრეზიდენტმა **გია გიორგაძემ** აღნიშნა, რომ რახან ოლიმპიური ოქრო დავიბრუნეთ, მომავალში მსოფლიო ჩემპიონის ტიტულსაც დავიბრუნებთო. ვაჟთა წარმატებასაც გაესვა ხაზი: მეხუთე – მეთერთმეტე ადგილის გაყოფა არ არის ხუმრობა საქმე და აშკარად მეტის მიღწევაც შეიძლება, - ქართველ ვაჟებს ამის პოტენციალი ნამდვილად აქვთ.

ჩემპიონები ყველამ დავლოცეთ და საკმაოდ ორიგინალურადაც: ოლიმპიური ჩემპიონობის აღმნიშვნელი თასიდან მოვსვით ქართული შამპანური... ეს თასი ტრადიციული გარდამავალი ჯილდოა, რომელიც ჩემპიონ გუნდს გადაეცემა ორი წლის ვადით შესაბამისი წარწერით. საქართველოს ნაკრების გამარჯვება მეოთხედ აღინიშნა თასზე. შეგახსენებთ, რაც საქართველო დამოუკიდებელი ქვეყნის სახელით ასპარეზობს, ქალთა ნაკრებმა აქამდე სამჯერ შეძლო საჭადრაკო ოლიმპიადების მოგება; წლევანდელი წარმატება მეოთხეა.

იმედია, ჯეროვნად დაფასდება ჩვენი ქალბატონების გმირობა. ამის წინაპირობა უკვე გამოჩნდა: დღეს ჩემპიონებს და ქართული ჭადრაკის რჩეულ სახეებს საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი** შეხვდება.

**ზვიად შათირიშვილი**

რაგბი

# ფინალის საგზურისთვის

23 წლის **ლადო ჩიხლაძე** სანტო დომინგოს (დომინიკის რესპუბლიკა) საერთაშორისო ტურნირის (10 ათასი $) ერთეულთა ბადიდან გამოვარდა, თუმცა იგი წყვილებში აგრძელებს თამაშს. ლადო სანტო დომინგოში გერმანელ ჩოგბურთელს, **დავიდ კლირს** (887) შეუწყვილდა. პირველ წრეში ქართულ-გერმანულმა დუეტმა მე-2 ნომრად განთესილი ვენესუელური წყვილი გააგდო გათამაშებიდან. მეორე წრეში კი მათი მეტოქეები ბელგიელი **ჟერმენ ჟიგუნონი** (766) და ფრანგი **რომენ ჰარდი** (1070) იყვნენ. ძალიან დაძაბული ორთაბრძოლა ლადოს და დავიდის გამარჯვებით დასრულდა – 6:7 (3), 6:3, 10:7. ჩიხლაძე წყვილთა თანრიგის ნახევარფინალშია გასული. დღეს ჩიხლაძე და კლირი ამერიკელებს (**ედამ ელ მიჰდავი** (743) და **დენის ჟივკოვიჩი** (1163) შეხვდებიან ფინალის საგზურისთვის საბრძოლველად. შეგახსენებთ, რომ ლადო კიდევ ერთ ტურნირში ითამაშებს სანტო დომინგოში, რომლის ძირითადი ბადე ორშაბათს იწყება და შემდეგ სეზონს დაასრულებს (ქართველთაგან ყველაზე გვიან).

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პროფესიული კრივი

# ორი მარცხი ლონდონის რინგზე

ლონდონის პროფესიულ რინგზე ორმა ქართველმა მოკრივემ სცადა ბედი, სამწუხაროდ, ორივემ წარუმატებლად – 26 ნოემბერს, ბრიტანეთის დედაქალაქში, „კაფე როიალში" რამდენიმე სარეიტინგო ბრძოლა გაიმართა. მუშტი მოიქნიეს **ნუგზარ მარგველაშვილმა** (62 კგ) და **ვეფხია ჭილაიამ** (75 კგ). ბრძოლების პრომოუთერი „მეიფერ სპორტინგ ქლაბი" იყო. ვეფხია ჭილაია ინგლისელ **სემ ჰორტონს** შეხვდა. ექვსრაუნდიანი ბრძოლა მასპინძელმა მხოლოდ ქულებით მოიგო – 54:60. ჰორტონმა მე-11 გამარჯვება მოიპოვა ამდენივე პროფესიულ ორთაბრძოლაში. 21 წლის ჭილაიამ მე-8 მატჩი დათმო კარიერაში (9 გამარჯვება).

უფრო დიდ ინტერესს დანიელი **კიმ პოულსენისა** და ნუგზარ მარგველაშვილის ჩხუბი იწვევდა. პოულსენმა ჩვენებურს ექვსრაუნდიან მატჩში 58:55 მოუგო. დანიელს 11 მატჩიდან 10 მოგება და 1 მარცხი აქვს. 23 წლის მარგველაშვილი 21-ე ბრძოლაში მე-5-დ დამარცხდა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ხელბურთი

# წარუმატებელი სტარტი

პოლონეთში მყოფმა საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა ოთხთა ტურნირის პირველი მატჩი მასპინძელთა მეორე გუნდთან წააგო. პოლონელებმა 34:30 გაიმარჯვეს. არადა, საკმაო დროის განმავლობაში ჩვენი გუნდი წინ იყო. ქართველებმა პირველი ტაიმი 19:14 მოიგეს. შეხვედრის დასკვნითი ნაწილი პოლონელებმა უკეთ ჩაატარეს, თუმცა ქართული მხარე მსაჯობით დარჩა უკმაყოფილო.

ტურნირზე ჩვენი მეტოქეები ასევე არიან ნორვეგიისა და გერმანიის მეორე ნაკრებები. 29 ნოემბერს კი საქართველო პოლონური ხელბურთის 90-წლოვანი იუბილის აღსანიშნავად მასპინძელთა ეროვნულ ნაკრებს ამხანაგურად შეხვდება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ჭიდაობა

# გზად ეროვნული ჩემპიონატისკენ



კობა კაკალაძე

განჯაში (აზერბაიჯანი) ისაკ ჯაფაროვის სახელობის საერთაშორისო ტურნირში თავისუფალ ჭიდაობაში პირველობისთვის 5 ქვეყნის 150-ზე მეტი ფალავანი იბრძოდა, მათ შორის იყვნენ საქართველოს წარგზავნილებიც დამსახურებული მწვრთნელის - **მარლენ ოსიყმაშვილის** ხელმძღვანელობით. ჩვენებმა ამ შეჯიბრებაზე ორი ოქროს, სამი ვერცხლისა და ერთი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს.

66 კილოგრამ წონით კატეგორიაში კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდა წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის ვერცხლის მედალოსანი **კობა კაკალაძე**, რომელმაც ფინალში „მაზანდარელი ვეფხვის" (ირანი) - **ჰაბიბის** თანამემამულე **სასიდ მადაშფოკი** ხალიჩას ბეჭებით გააკრა. ჩვენს დელეგაციას მეორე ოქროს მედალი საქართველოს ჩემპიონმა **არჩილ ქიტიაშვილმა** (84 კგ) შესძინა: გადამწყვეტ პაექრობაში მან ოს **ტამერლან თაგზიევს** აჯობა. ამავე წონაში მესამე ადგილზე გავიდა **თორნიკე სვანიძე**.

ქართველ ფალავნებს კიდევ სამ წონაში შეეძლოთ ჩემპიონობა, მაგრამ ფინალური ორთაბრძოლები მასპინძლებთან დათმეს. 60 კილოში **მალხაზ ქურდიანმა** აზერბაიჯანელ **ხაუბულა საალოვთან** წააგო, მძიმე წონაში **ზურაბ ნიკურაძე ალი ისაევთან** დამარცხდა, ხოლო **ბელდუხ აბდუშელიშვილმა** ნახევარფინალში მიღებული ტრავმის გამო ფინალში საერთოდ ვერ იჭიდავა. ამიტომ მის მეტოქეს - **გამალადინ მაჰამადოვს** უბრძოლველად ხვდა „ოქრო". ორი ოლიმპიური თამაშების მონაწილე **გელა სალირაშვილი** მეხუთე ადგილით დაკმაყოფილდა.

- ჩვენი ბიჭების ჭიდაობით კმაყოფილი ვარ, - მითხრა ბატონმა მარლენმა, - ძალა და ენერგია არ დაუზოგავთ, ექვსი მედალიც ამის დასტურია. ახლა ისინი ეროვნული ჩემპიონატისთვის მოემზადებიან, რომელიც გაისად იანვრის მეორე ნახევარში გაიმართება. სწორედ ეს შეჯიბრება დაასახელებს იმ კანდიდატებს, რომლებიც საქართველოს ნაკრებს დააკომპლექტებენ საერთაშორისო ტურნირებზე საასპარეზოდ.

**ვაჟა დანელია**

კრივი

# ახალგაზრდა დირექტორს პროფესიულ რინგზეც ვიხილავთ

ბოლო წლებში მძიმე წონაში საქართველოს ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოკრივე, გორელი ბექა ლობჟანიძე რამდენიმე თვის წინ შეეშვა აქტიურ სამოყვარულო კრივს და მალევე გორის კრივის სკოლის დირექტორად დაინიშნა. ჩვენს ქვეყანაში მუდამ გამორჩეული აქაური კრივი, რომელსაც საფუძველი ცნობილმა სპეციალისტებმა გიორგი კარელიძემ და ავთანდილ შოშიაშვილმა ჩაუყარეს, დღესაც ანგარიშგასაწევი ძალაა. სკოლის ახალგაზრდა დირექტორი წინამორბედების საქმის ღირსეულად გაგრძელებას ცდილობს. ამიტომაც ბატონმა ავთანდილმა, გიორგი კანდელაკი, რომლის მისი პირადი მწვრთნელიც იყო, გვერდით ჩაიყენა და კვლავ განაგრძობს სამწვრთნელო მოღვაწეობას. გიორგი კარელიძის ხსოვნის ტურნირი კი, შარშან პირველად ვარიანში რომ ჩატარდა, სწორედ ბექა ლობჟანიძის ინიციატივით გორში გადმოიტანეს და ამიერიდან მისი მშობლიური ქალაქი უმასპინძლებს. ინტერვიუ ბექა ლობჟანიძესთან სწორედ ამ ტურნირით დავიწყეთ.

— მასშტაბებითაც არ ჰგავდა წლევანდელი ტურნირი უწინდელს. გორში 1993-94 და 1994-95 წწ დაბადებულმა ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოკრივეებმა მოიყარეს თავი. დამეთანხმებით, ოთხდღიანი ტურნირის მაღალ დონეზე მასპინძლობა რეგიონში სულაც არაა იოლი, თუმცა ნამდვილად კარგად წარვდექით სტუმართა წინაშე. სამომავლოდ კავკასიის ქვეყნების და თურქეთის ჩართვით ვეცდებით, ტურნირი საერთაშორისო შეჯიბრებადაც ვაქციოთ, - ამბობს ჩვენი რესპონდენტი.

**— ბექა, კარგია, როცა წარმოაჩენ თავს როგორც ორგანიზატორი, მაგრამ როგორც მოკრივემ, ასე მალე რატომ დატოვე რინგი, 27 წლის ასაკში უკვე ამოწურე შესაძლებლობები?**

— ვერ ვიტყვი, რომ ამოვწურე, მაგრამ გაზაფხულზე პესკარაში გამართული ტურნირის შემდეგ სამოყვარულო კრივს შევეშვი. ჩემი სურვილი ოლიმპიადაზე გამოსვლა იყო და ვინაიდან პეკინის ლიცენზია ვერ მოვიპოვე, ხოლო ლონდონი 2012-სთვის უკვე ასაკი არ შემიწყობდა ხელს, გადავწყვიტე ნაკრებში ადგილი სხვებისთვის დამეთმო და თავად პროფესიონალთა შორის მომესინჯა ძალა. ახლა ერთ-ერთ გერმანულ კლუბ „ზავერლანდთან" ვარ კონტრაქტით დაკავშირებული (რომელშიც, სხვათა შორის, ვალუევი და აბრაჰამი ასპარეზობენ). ზაფხულში ერთი ბრძოლაც ჩავატარე ბერლინში და ჩეხ მოკრივეს ვძლიე ნოკაუტით.

**— პროფესიული კრივი და სკოლის დირექტორობა ერთად შეთავსებადია?**

— ვერ ვიტყვი, რომ იოლი საქმეა, მაგრამ, სადაც ენთუზიაზმია, ყველაფერი მოგვარდება. ენთუზიაზმის ნაკლებობას კი ამ დარბაზში ნამდვილად არ ვუჩივით. უნდა ითქვას, რომ ჩვენი გარჯით სპორტის ამ სახეობაში მომეცადინეთა რაოდენობამაც იმატა გორში. ბავშვებისთვის გადასახადი გავაუქმეთ, პირობები უკეთესია - გავარემონტეთ დარბაზი, გვაქვს ცხელი წყალი, გათბობა...

**— 2006 წელს საქართველოს ოთხი ჩემპიონი გორელი იყო, შარშან - ორი, წლეულსაც ორი ჩემპიონი გახდა ქართლიდან, მაგრამ ორივე ვარიანის სკოლის აღსაზრდელები (გოგიაშვილი, ქარელიშვილი) იყვნენ. ჩანს, შედეგი თანდათან კლებულობს...**

— გეთანხმებით, ერთგვარი უკუსვლა მართლაც არის, მაგრამ აქვე ვიტყვი, რომ ვარიანელი მოკრივეებიც ხშირად ჩვენთან იწრთობიან. იგივე რევაზ ქარელიშვილი ევროპის ჩემპიონატისათვის გორში მოემზადა. აქვე გადმოვიყვანეთ ჩვენს ქალაქში მოქმედი მეორე კრივის სკოლის მწვრთნელ-შეგირდები, ვინაიდან სპორტული ბაზა საომარი ვითარებისას დაზარალებულ ოჯახებს დაუთმეს.

**— ამჟამად რომელი შეჯიბრებისათვის ემზადებით?**

— 25 დეკემბერს თბილისის ღია პირველობა იმართება, სადაც ჩვენი ხუთი მოკრივე გამოვა. გაისად საქართველოს ჩემპიონატში ვიასპარეზებთ, ხოლო გაზაფხულზე ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი გველოდება. მინდა დაგარწმუნოთ, რომ ამ შეჯიბრებაზე მინიმუმ ორი ჭაბუკი მაინც გვეყოლება გორელებს საქართველოს ნაკრებში.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი



ტაირონ ელისი

● ევროჩელენჯი

# ტაირონ ელისის საუკეთესო მატჩი

საქართველოს ნაკრების უკანახაზელი **ტაირონ ელისი** ევროჩელენჯზე, **ცინცაძე-სანიკიძე-მარკოიშვილთან** შედარებით გვიან ჩაერთო. მისმა "კახასოლმა" პოლონურ "ენერგას" უმასპინძლა, პირველივე პერიოდში მცირე უპირატესობა (30:18) მოიპოვა და საბოლოო წარმატებასაც მიაღწია – 89:75.

ტაირონ ელისი ამ გამარჯვების ერთ-ერთი მთავარი შემოქმედი იყო. მან სეზონის საუკეთესო მატჩი ჩაატარა და მატჩის სნაიპერობაც არავის დაუთმო. ტაირონმა 28 წუთში 5-დან 4 ორქულიანი, 7-დან 5 სამიანი გამოიყენა და 23 ქულას გამორჩა, რასაც თითო მოხსნა-პასი და 2 ჩაჭრა მიამატა. საქართველოს ნაკრების გამთამაშებელმა სევილიის დარბაზში შეკრებილ გულშემატკივარს თავი ბოლო წამებზე ეფექტური ზემოდან გდებით დაამახსოვრა.

მან მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზეც ხალისით ისაუბრა:

*„ეს გამარჯვება, პირველ რიგში, ფსიქოლოგიური თვალსაზრისითაა მნიშვნელოვანი, რადგან ესპანეთის ჩემპიონატში არცთუ დამაჯერებლად გამოვიყურებით. ვერ ვიტყვი, რომ დაცვაში თამაშით კმაყოფილი ვარ, რადგან უკეთესი იქნებოდა, მეტოქეს ნაკლები ქულა მოეგროვებინა, მაგრამ მთავარია, რომ გუნდური თამაში ვუჩვენეთ. ადრეც ვამბობდი, რომ სწორი მიმართულებით მივდივართ და ნაბიჯ-ნაბიჯ წინსვლა უნდა განვაგრძოთ. ახლა, "ენერგასთან" მატჩის დავიწყება გვმართებს. უნდა მოვემზადოთ "გრან კანარიასთან" სათამაშოდ. ესპანეთის ჩემპიონატშიც ასეთი კარგი თამაში თუ გამოგვივიდა, სატურნირო ცხრილში მდგომარეობას მნიშვნელოვნად გავაუმჯობესებთ".*

"კახასოლი" "გრან კანარიას" კვირას, 30 ნოემბერს დაუპირისპირდება, ევროჩელენჯზე მორიგ მატჩს კი 2 დეკემბერს გამართავს. მისი მეტოქე ბელგიური "ლიეჟი" იქნება. მატჩი სევილიაში შედგება.

● ვალერი ალთაბაევის გახსენება

# საკალათბურთო ფსიქოლოგი



**ზუსტად** წელიწადი გავიდა, რაც გარდაიცვალა ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი **ვალერი ალთაბაევი**. იგი კალათბურთში მერვე კლასიდან ჩაერთო და სიცოცხლის ბოლომდე დადიოდა საქართველოს სხვადასხვა ასაკობრივი ჩემპიონატისა თუ სუპერლიგის მატჩზე. ერთ დღეს, ვერის ბაღში წიგნი მაჩუქა – "თუ გინდა იყო თავის უფალი". ეს გახლავთ ვალერი ალთაბაევის ნაშრომი, რომელშიც დიდი ყურადღება ექცევა საკალათბურთო ფსიქოლოგიას. ჩემი აზრით, **გორდონ ჰერბერტის** დროს საქართველოს ნაკრების ფინეთში ნაგების ყველაზე კარგი ახსნა სწორედ ვალერი ალთაბაევმა გააკეთა. მან მიგვანიშნა, რომ ჩრდილოეთში კალათბურთელებს მონდომება კი ჰქონდათ, მაგრამ საჭირო იყო აფეთქება, რათა ემოციები მოედანზე გადასულიყო. მაგალითად, მაკედონიასთან ეს აფეთქება გულშემატკივრის გამოცოცხლებამ და **ვლადიმერ ბოისას** ორმა ეფექტურმა გარღვევამ გამოიწვია. ფინეთში კი მსგავსი არაფერი მომხდარა.

ბატონ ვალერის ფსიქოლოგიურად მატჩისათვის განწყობა ნამდვილად არ შეეშლებოდა, ის ხომ იმ სამი კალათბურთელიდან ერთ-ერთი იყო, რომელმაც 1959 წელს, სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაზე ხუთი ლატვიელი დაამარცხა.

*"ხუთის წინააღმდეგ სამნი რომ დავრჩით, სწორედ მაშინ გაგვეხსნა მეორე სუნთქვა, ყველგან ვასწრებდით, ლატვიელებს არაფერს ვუთმობდით. მატჩის ბოლოს ჩემი ტყორცნა ზუსტი აღმოჩნდა, მეტოქემ კი ააცილა და საფინალო სასტვენმა სწორედ მაშინ მოგვისწრო, როცა ფარიდან ასხლეტილ ბურთს გურამ აბაშიძე დაეუფლა. ის შეხვედრა 88:86 მოვიგეთ"*, - იხსენებდა ვალერი ალთაბაევი.

იგი თბილისის "დინამოში" 1958 წელს ჩაირიცხა, 1968 წელს სსრ კავშირის პირველობა მოიგო, ხოლო 1969 წელს – თასი. ვალერი ალთაბაევის მთავარი მიღწევა ევროპის ჩემპიონთა თასის დაუფლებაა – 1962 წელს "დინამომ" ჟენევაში მადრიდის "რეალს" აჯობა. 1969 წელს სხვა დინამოელებთან ერთად ევროპის თასების მფლობელთა თასზე ვერცხლის მედალი მოიგო...

● ლეგიონერები

● ქართველი NBA-ში

# ზაზა ფაჩულიამ მილუოკი გაისწენა

გუშინ, **ზაზა ფაჩულია** ყოფილ კლუბ "მილუოკი ბაქსს" დაუპირისპირდა და 102:96 დაამარცხა. თუ სხვა შემთხვევებში ზაზას მატჩის ბედზე დიდი ზეგავლენა მოუხდენია, ახლა მოგების ქართველზე მიწერა ცოტა გადამეტებული იქნება.

მწვრთნელმა, **მაიკ ვუდსონმა**, ფაჩულია სასტარტო შემადგენლობაში დააყენა და მოედნიდან პირველი პერიოდის ბოლოს გაიყვანა. მატჩის დასაწყისში ზაზამ 2-2 მოხსნა-ქულა მიითვალა. ვუდსონმა ქართველი ცენტრი მესამე თორმეტწუთეულის ხუთეულშიც დააყენა, მაგრამ ფაჩულიამ ზედიზედ ორი ჯარიმა მიიღო და მწვრთნელმა იგი მესამე ფოლის მიღებისთანავე შეცვალა და მოედანზე აღარ გამოუყვანია.

სამაგიეროდ, თავი გამოიდო მძიმე ფორვარდად ქცეულმა **ელ ჰორფორდმა**, რომელმაც ყველაზე მეტი ქულა (21) და მოხსნა (9) მოაგროვა. მან ბოლო წუთებზეც იყოჩაღა და საჯარიმოიანი ორქულიანის შემდეგ თანაგუნდელებს 5-ქულიანი უპირატესობა მოუტანა. საბოლოოდ - 102:96 "ატლანტა ჰოქსის" სასარგებლოდ.

სადღეისოდ ჯორჯიელებს 9 მოგება და 5 წაგება აქვთ. ისინი 2 მოგებით ჩამორჩებიან სამხრეთ-აღმოსავლეთის დივიზიონის ლიდერ, ზაზას ყოფილ გუნდ "ორლანდო მეჯიქს".

მორიგ მატჩს "ატლანტა" კანადაში გამართავს. 28 ნოემბერს მისი მეტოქე "ტორონტო რეპტორსი" იქნება. ამის შემდეგ "ჰოქსს" მორიგი გასვლითი შეხვედრა ელის – "ვაშინგტონთან". სწორედ დედაქალაქელებთან უნდა ველოდეთ ზაზას მორიგ გამონათებას. იგი ხომ ყოველგვარ რეკორდს "ვაშინგტონთან" ამყარებს. ერთი კვირის უკან სწორედ "ვიზარდსს" მოუხსნა 18-ჯერ, ხოლო ქულათა მაქსიმალური რაოდენობა ასევე დედაქალაქელებთან აქვს მოგროვილი – 27.

მკითხველისთვის საინტერესო უნდა იყოს ზაზა ფაჩულიას მოსაზრება "ატლანტის" წარმატებულ სტარტსა და მისსავე თამაშზე.

*"სეზონი დიდებულად დავიწყეთ – საწყისი ექვსი მატჩის მოგებას ნამდვილად არავინ მოელოდა. სამწუხაროდ, მომდევნო ოთხ შეხვედრაში დავმარცხდით, მაგრამ, ვფიქრობ, ამ წარუმატებელი სერიის შემდეგ რეაბილიტირება და გამარჯვების გზაზე დადგომა მოვახერხეთ. რაც მთავარია, მიღწეულით არ ვკმაყოფილდებით და მუშაობას ვაგრძელებთ.*

*საწყის საშინაო შეხვედრებში ეფექტური თამაშის მიზეზი შეიძლება ისიც იყო, რომ ქომაგს კარგად ახსოვდა გასულ სეზონში ჩვენი პლეი ოფში გამოსვლა და ისევე მხურვალედ გვგულშემატკივრობდა, როგორც გაზაფხულზე, "ბოსტონთან" დაპირისპირებებისას. ასეთი მხარდაჭერის ფონზე ჩვენც ისეთი შეგრძნება გვქონდა, თითქოს პლეი ოფის მატჩებს ვატარებდით, რაც ენერგიას ერთიორად გვმატებდა.*

*ჩემი თამაშითაც კმაყოფილი ვიყავი. ვაკეთებდი იმას, რასაც მწვრთნელი მავალებდა და რაც გუნდს სჭირდებოდა...*

*"ბოსტონთან" გასვლით მატჩში მხარი დავიზიანე, რაც სერიოზულ დაბრკოლებად მექცა. დაკარგული ბურთისთვის ბრძოლაში რონდოს შევეჯახე და მხარი ისე ვიტკინე, რომ მატჩის გაგრძელება ველარ შევძელი. ისიც კარგად მესმის, რომ სპორტსმენი ტრავმებისგან დაზღვეული არ არის. ასეთია ჩვენი პროფესია. ვიმედოვნებ, რომ მომდევნო კვირებში მხარი დამიცხრება, თუმცა ვარჯიშს მაინც განვაგრძობ და ვცდილობ, გუნდს ბოლომდე გვერდში ვედგე.*

*ჩვენი ჩავარდნა ერთბაშად სამი კალათბურთელის დამტვრევამ განაპირობა: ჩემ გარდა ტრავმები მიიღეს ჯოშ სმიტმა და ელ ჰორფორდმა. ჯოში ჯერაც მკურნალობს..."*

| ფაჩულიას მონაგარი | |
|---|---|
| 10 წუთი: 2 ქულა, 2 მოხსნა, 1 შეცდომა, 3 ფოლი | |
| **I პერიოდი** | |
| 10:45 | მოხსნა: შეტ-0, დაც-1 |
| 10:42 | შეცდომა: 1 |
| 10:38 | ფოლი: 1 |
| 10:23 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 09:48 | ორქულიანი: არაზუსტი |
| 07:31 | მოხსნა: შეტ-1, დაც-1 |
| 07:29 | ორქულიანი: 2ქ (5:8) |
| 05:38 | ზაზა ჯონსმა შეცვალა |
| **III პერიოდი** | |
| 11:28 | ფოლი: 2 |
| 08:17 | ფოლი: 3 |
| 08:17 | ზაზა მიურეიმ შეცვალა |



ფაჩულია ჯეფერსონს უფარებს

გვერდი მოამზადა ვაჟა სიმონიშვილმა



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ჭიდაობა — ფედერაციის რიგგარეშე ყრილობა

# ეროვნულ საუნჯეს უშანგი ყურაშვილი უდარაჯებს

*- პაპა, სად მიდიხარ?*
*- თბილისში.*
*- დღეს ქართულ ჭიდაობაში შეჯიბრება მაქვს, არ დაესწრები?*
*- ჰო, შვილო, დავესწრები, აბა, რას ვიზამ?!*

***შვიდი წლის შვილიშვილთან ამგვარი დიალოგის გახსენებით დაიწყო გუშინ ქართული ჭიდაობის ფედერაციის რიგგარეშე ყრილობაზე თავისი გამოსვლა პროფესორმა დურმიშხან ჩიტაშვილმა, რომელიც წლების განმავლობაში საქართველოს სპორტის აკადემიას ხელმძღვანელობდა.***

რიგგარეშე ყრილობის მიზეზი კი ის გახდა, რომ ფედერაციის პრეზიდენტმა **გიორგი ჯიქიამ** სამუშაოდ უცხოეთში გამგზავრებასთან დაკავშირებით ფედერაციის პრეზიდიუმს წერილობით მიმართა გადადგომის შესახებ.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტის სააქტო დარბაზში მრავლად შეიკრიბნენ სახელოვანი ფალავნები, მათ შორის - ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონები და პრიზიორები, ეროვნული საუნჯის ქომაგები. ყველამ გულთან ახლოს მიიტანა ქართული ჭიდაობის სატკივარი. მოხსენებით გამოვიდა ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი **გიორგი ბიწკინაშვილი,** რომელმაც გულისტკივილით აღნიშნა, რომ წლეულს ქართული ჭიდაობის ფედერაციას ბიუჯეტიდან მხოლოდ 23 ათასი ლარი გამოეყო, ხოლო კომპანია „კასტელმა" წყალდიდობისგან მიყენებული ზარალის გამო დაფინანსებაზე უარი თქვა, ამიტომაც ბევრი შეჯიბრება ვერ ჩატარდა. საფრთხე დაემუქრა ფალავნობის გამართვასაც, მაგრამ ფედერაციას გვერდით დაუდგა სპორტის დეპარტამენტი და ეს ასპარეზობა ჩაშლას გადაურჩა.

ცუდი მდგომარეობაა ბაზების მხრივაც. არ სრულდება ქვეყნის პრეზიდენტის განკარგულება ყოველ სოფელსა და რაიონში ნახერხმოყრილი სარბიელის მოწყობის თაობაზე. მეტიც, წყნეთის ცენტრში იქაურმა ხელმძღვანელობამ ფალავნებს ღია საჭიდაო წაართვა, რის შესახებაც ქვეყანას უკვე აუწყა გაზეთმა „ლელომ". სამწუხაროდ, კრიტიკას არავინ გამოხმაურებია.

**ომზარ შოშიტაშვილი,** ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის გენერალური მდივანი: 40 წელიწადია, მესმის, რომ ქართული ჭიდაობა ყველა ჭიდაობის თავი და თავია და ამ დროს, ფედერაციას ერთი ოთახიც კი არ აქვს. მისი მესვეურები შეჯიბრებების გასამართავად ხან ხალიჩას ითხოვენ, ხან - სასწორს, რომ აღარაფერი ვთქვათ სახსრებზე. ამგვარი მდგომარეობა სასწრაფოდ უნდა გამოსწორდეს.

**ოლეგ იაძე,** საქართველოს სამბოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი: უზბეკური ჭიდაობა კურაშის ფედერაციას ყოველწლიურ ანგარიშზე 6 მილიონი დოლარი აქვს, ამიტომაც მართავს მსოფლიოს ჩემპიონატებს. თუ გვინდა, ჩვენი ეროვნული საუნჯის პრესტიჟი ამაღლდეს, სახელმწიფომ მას მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს. მახსოვს, ზვიად გამსახურდიას პრეზიდენტობისას ფალავნობას მთავრობის წევრებიც ესწრებოდნენ, ამას წინათ გამართულ მსგავს შეჯიბრებაზე კი გულშემატკივართა ხალვათობა იყო, რომელ პრესტიჟის ამაღლებაზე შეიძლება ლაპარაკი.

**სოსო ჯაჭვლიანი,** მკლავჭიდის ფედერაციის პრეზიდენტი: რატომ არის სუმო და ძიუდო იაპონიაში ასე პოპულარული? იმიტომ რომ ეროვნულ საუნჯეს განსაკუთრებული სიყვარულით ეპყრობიან. უნდა გვახსოვდეს, რომ ყველაფერი ოლიმპიზმით არ იწყება და არც მთავრდება. მეტი ყურადღება გვმართებს ეროვნული სახეობების მიმართ. ჩვენი ფედერაცია მდიდარი არ არის, მაგრამ ქართული ჭიდაობისთვის ვდებთ ათას ლარს. იმედია, სხვებიც მოგვბაძავენ. მთავრობაც უფრო დაინტერესდება ქართული ჭიდაობით.

**დავით ნამგალაური,** სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარე: მეც დიდი ხანია მესმის ქართული ჭიდაობის გასაჭირის შესახებ. სასურველია, უახლოეს მომავალში პრობლემები აღმოიფხვრას. გპირდებით, რომ დავაფინანსებთ ქართულ ჭიდაობაში ყველა მასშტაბურ ღონისძიებას - ზონალურ პირველობებს, ეროვნულ ჩემპიონატს, ფალავნობას. ბაზების კეთილმოწყობაშიც დაგეხმარებით. მთავარია, იყოს ენთუზიაზმი, მეტი მოზარდი ჩავრთოთ სექციებში. მე გავეცანი პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატის - უშანგი ყურაშვილის პროგრამას. ვეთანხმები მას და თქვენთან ერთად ყველაფერს გავაკეთებთ, რათა ქართული ჭიდაობა საერთაშორისო სარბიელზე გავიტანოთ.

**გურამ სალარაძე,** ორგზის მსოფლიოს ჩემპიონი: ხშირად ვესწრები შეჯიბრებებს, განსაკუთრებით თავისუფალ ჭიდაობაში და, მართალი გითხრათ, ამ ტურნირებზე მენატრება ქართული ფანდების ხილვა, რაც უშრეტი წყაროა ჩვენი ფალავნებისთვის. ფედერაციის პრეზიდენტად მოდის პიროვნება, უზომოდ შეყვარებული ეროვნულ საუნჯეზე, რომელმაც იცის ქართული ჭიდაობის ყადრი, არის ქველმოქმედი და, მჯერა, რომ მისი ხელი ამ ფედერაციის მუშაობასაც დაეტყობა.

ყრილობის დელეგატებმა მართლაც ერთხმად აირჩიეს პრეზიდენტად სპორტული მაღაზიების ქსელის - „ჩემპიონისა" და „ტრენაჟორების სახლის" გენერალური დირექტორი უშანგი ყურაშვილი, რომელსაც, ვინ მოთვლის, დღემდე რამდენი სიკეთე გაუკეთებია როგორც ვეტერანი, ისე მოქმედი სპორტსმენებისთვის.

ფედერაციის ახალმა თავკაცმა მადლობა გადაუხადა დამსწრეთ ნდობისთვის და საზოგადოებას დაჰპირდა, რომ ქმედით ნაბიჯებს გადადგამს ქართული ჭიდაობის ასაღორძინებლად უპირველესად იმ სოფლებსა და რაიონებში, სადაც უწინ იგი დიდ პატივში იყო. პოპულარიზაციის მიზნით კი ყველაფერს გააკეთებს უცხოეთში მის გასატანად...

გუშინ ერთ სულ და ერთ ხორც შეიკრა ქართული ჭიდაობის სამყარო. ეროვნული საუნჯის ასაღორძინებლად უამრავი მოსაზრება გამოითქვა. როგორ აპირებს მათ განხორციელებას ფედერაციის ახალი პრეზიდენტი, უახლოეს დღეებში ჩვენი გაზეთიდან, უშანგი ყურაშვილის ინტერვიუდან შეიტყობთ.

ვაჟა დანელია




უშანგი ყურაშვილი

გიორგი ჭანიშვილის ფოტო


გაეცანით სამყაროს «ლელოსთან» ერთად!

„მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" საჩუქრად!

გამოიწერეთ 1 წლით გაზეთი „ლელო" და მედია სახლის კიდევ მინიმუმ ერთი გამოცემა და მიიღეთ საჩუქრად „მსოფლიოს დიდი ილუსტრირებული ატლასი" ან აირჩიეთ გამომცემლობა „პალიტრა L-ის" ამ სამი ბესტსელერიდან ერთ-ერთი:

„ვეფხისტყაოსანი"

„დიდი საბავშვო ენციკლოპედია"

„დიდი წიგნი ხელოვნებაზე"







მედია სახლი „პალიტრას" გამოცემები:

| დასახელება | 1 ეგზ. ფასი | ეგზ. რაოდენობა 1 წლის მანძილზე | ფასი 1 წლით |
|---|---|---|---|
| კვირის პალიტრა | 1.00 | 52 | 52.00 |
| სიტყვა და საქმე | 1.00 | 260 | 260.00 |
| ყველა სიახლე | 0.80 | 52 | 41.60 |
| გზა | 0.80 | 52 | 41.60 |
| რეიტინგი | 1.00 | 52 | 52.00 |
| არსენალი | 1.50 | 26 | 39.00 |
| კარიბჭე | 1.00 | 26 | 26.00 |
| ოჯახის მკურნალი | 1.00 | 26 | 26.00 |
| კარუსელი | 0.50 | 52 | 26.00 |
| საბავშვო კარუსელი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ბომონდი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ლელო | 0.50 | 312 | 156.00 |
| ათიანი | 5.00 | 12 | 60.00 |
| ოსკარი | 1.00 | 52 | 52.00 |
| ლიტერატურული პალიტრა | 2.00 | 12 | 24.00 |
| Georgian Journal | 2.00 | 52 | 104.00 |

დაგვიკავშირდით: პრესისა და წიგნების გავრცელების სააგენტო „ელვა.ჯი"
www.elva.ge
T: 38 26 73; 38 26 74
elva@kvirispalitra.com

მისამართზე მიტანა შესაძლებელია თბილისის ფარგლებში.
რაიონულ ცენტრებში, წიგნისა და გამოწერილი გამოცემების მიღება შეგიძლიათ „ელვა.ჯი"-ს საბითუმო გაჭრობის წერტილებში. აღნიშნული წერტილების მდებარეობა დააზუსტეთ ოპერატორთან.

თითოეული წიგნის ფასია 29 ლარი
თქვენ კი მას უფასოდ მიიღებთ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

**ატლანტა-მილუოკი 102:96**

28:24, 20:24, 23:19, 31:29

ა: ჰორფორდი (21+9 მოხსნა+3 დაფარება), ბიბი (18), მ. უილიამსი (18), მიურეი (16+3 ჩაჭრა), ჯონსონი (15+9 პასი).

მ: ჯეფერსონი (25+6 მოხსნა), სეშენსი (21+7 მოხსნა+8 პასი), ვილანუევა (19).

**კლივლენდი-ოკლაჰომა 117:82**

33:14, 33:18, 26:20, 25:30

კ: ილგაუსკასი (17+7 მოხსნა), გიბსონი (15), ლ. ჯეიმსი (14+3 დაფარება), ჰიქსონი (14+4 დაფარება), შჩერბიაკი (13), კინსი (11), დ. უესტი (8+10 პასი).

ო: უილკოქსი (14+5 მოხსნა), დურანტი (13), უესტბრუკი (13+5 პასი+5 ჩაჭრა).

**ტორონტო-შარლოტი 93:86**

24:25, 27:21, 24:22, 18:18

ტ: ბოში (39+11 მოხსნა), გრემი (17), ბარნიანი (11+9 მოხსნა+3 დაფარება), კალდერონი (10+9 პასი).

შ: ჯ. უოლასი (23+8 მოხსნა), ოკაფორი (16+14 მოხსნა), ოგუსტინი (13), დადლი (13).

**ბოსტონი-გ. სტეიტი 119:111**

35:28, 19:39, 32:16, 33:28

ბ: რ. ალენი (25), რონდო (22+8 მოხსნა+7 პასი), გარნეტი (21+13 მოხსნა+4 დაფარება), პირსი (21).

გ-ს: მაგეტი (32), ს. ჯექსონი (30+6 პასი+3 ჩაჭრა), კროუფორდი (18+6 პასი), უოტსონი (10), ბიედრინსი (8+9 მოხსნა).

**ფილადელფია-ორლანდო 94:96**

19:26, 26:27, 27:18, 22:25

ფ: ბრენდი (21+6 მოხსნა), იგუოდალა (17+7 პასი+6 მოხსნა), ტ. იანგი (13), ლ. უილიამსი (13), სპეიტსი (12).

ო: ჰოვარდი (21+14 მოხსნა), ბეტი (20), ლუისი (19), თურქოგლუ (12+7 პასი).

**დეტროიტი-ნიუ იორკი 110:96**

29:20, 30:23, 27:25, 24:28

დ: ჰემილტონი (17), აივერსონი (16+5 პასი), პრინსი (15+5 პასი), სტაკი (13+11 პასი), აფლალო (13), რ. უოლასი (12), ა. ჯონსონი (12+13 მოხსნა+3 დაფარება), მაქსიელი (10).

ნ-ჯ: ჰარინგტონი (25+7 მოხსნა), დ. ლი (17+15 მოხსნა), ჩენდლერი (15+8 მოხსნა), დუჰონი (13+9 პასი), ტ. ტომასი (12).

**მინესოტა-ფინიქსი 102:110**

23:28, 20:31, 29:21, 30:30

მ: ჯეფერსონი (28+17 მოხსნა), ფოი (17), გომესი (16), მაკენტსი (12), მ. მილერი (7+9 მოხსნა+6 პასი).

ფ: ნეში (20+6 პასი), შ. ო'ნილი (18+10 მოხსნა+3 დაფარება), სტაუდმაიერი (16+3 დაფარება), რ. ბელი (15), ბარნსი (12).

**ჰიუსტონი-ინდიანა 90:91**

25:18, 19:29, 30:17, 16:27

ჰ: იაო მინი (19+10 მოხსნა), არტესტი (19), სკოლა (15+18 მოხსნა), ლენდრი (15+10 მოხსნა), ელსტონი (9+7 მოხსნა+7 პასი).

ი: მერფი (21+14 მოხსნა), გრეინჯერი (16+6 მოხსნა+6 დაფარება+5 პასი), ბ. რაში (11), ფორდი (10+5 მოხსნა), ჯეკი (10).

**სან ანტონიო-ჩიკაგო 98:88**

23:24, 22:21, 31:26, 22:17

ს-ა: დანკანი (21+8 მოხსნა), ჰილი (19+11 მოხსნა), ჯინობილი (15), კ. ტომასი (8+9 მოხსნა).

ჩ: გორდონი (23), გუდენი (20+12 მოხსნა), ლ. ჰიუზი (10+6 პასი), დენგი (10).

**იუტა-მემფისი 117:100**

33:19, 26:27, 36:25, 22:29

ი: მილსეპი (24+16 მოხსნა), ოქური (21+10 მოხსნა), ბრიუერი (21), კირილენკო (17), მაილზი (13), დ. უილიამსი (11+15 პასი).

მ: გეი (27+7 მოხსნა), მაიო (22), მ. გასოლი (12+8 მოხსნა).

**პორტლენდი-მაიამი 106:68**

37:17, 20:23, 19:17, 30:11

პ: ფრაი (17), ოლდრიჯი (16+7 მოხსნა+3 დაფარება), ბატუმი (15), აუტლო (15), ფერნანდესი (13), ოდენი (10+10 მოხსნა), როი (8+7 მოხსნა+6 პასი), პრჟიბილა (4+9 მოხსნა+4 დაფარება), როდრიგესი (0+11 პასი).

მ: ბიზლი (14), უეიდი (12+6 პასი+5 ჩაჭრა), ბენქსი (11).

**საკრამენტო-ნ. ჯერსი 114:116 (ო)**

23:29, 22:27, 32:26, 28:23, 9:11

ს: სალმონსი (38+7 მოხსნა), ბ. მილერი (20+13 მოხსნა+6 პასი), უდრიხი (16+10 პასი), ჰოვსი (15+9 მოხსნა+6 დაფარება), ბ. ჯექსონი (12).

ნ-ჯ: კარტერი (25), ლოპესი (20+8 მოხსნა+3 დაფარება), ჰარისი (18+7 პასი), დულინგი (17), ანდერსონი (13+8 მოხსნა).

**კლიპერსი-დენვერი 105:106**

22:32, 33:24, 16:23, 34:27

კ: გორდონი (24+4 ჩაჭრა), ბ. დევისი (18+10 პასი), კემბი (17+11 მოხსნა), ტორნტონი (14), მ. ტეილორი (12).

დ: ენტონი (30+11 მოხსნა), მარტინი (17+10 მოხსნა+3 ჩაჭრა), ნენე (17+9 მოხსნა), კლეიზა (15), ე. კარტერი (13+6 პასი+3 ჩაჭრა), ბილაპსი (7+11 პასი).

## ჰოკეი. NHL, რეგულარული ჩემპიონატი

**ბაფალო-ბოსტონი 3:2**

2:0, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 დ. რუა-5, 2:0 დ. რუა-6 (ვანეკი-5, პომინვილი-9), 2:1 ჰანვიკი-3 (კობესიუ-8, კრეისი-10), 3:1 ჰეხტი-2, 3:2 კესელი-11 (ლუჩიჩი-8, სავარი-20).

**აილენდერსი-პიტსბურგი 3:5**

2:0, 1:1, 0:4

გოლები: 1:0 უეიტი-5 (ჰანტერი-8, შტრაიტი-10), 2:0 ჰანტერი-9 (ჰილბერტი-5, ბეილი-4), 3:0 გერინი-9 (ბეილი-5, შტრაიტი-11), 3:1 ორპიკი-2 (დუპუი-2), 3:2 კროსბი-8 (მალკინი-25, ლეტანგი-10), 3:3 მალკინი-8 (კროსბი-19, ორპიკი-4), 3:4 მალკინი-9 (კროსბი-20), 3:5 მალკინი-10 (სკუდერი-3).

**ვაშინგტონი-ატლანტა 5:3**

3:1, 1:1, 1:1

გოლები: 1:0 ოვეჩკინი-10 (ლეპისტო-1, ვიქ. კოზლოვი-7), 2:0 ფერი-2 (ფლიშმანი-4, ნიულანდერი-11), 2:1 ლიტლი-10 (კოვალჩუკი-12, ტ. უაიტი-12), 3:1 ოვეჩკინი-11 (ვიქ. კოზლოვი-8, ფლიშმანი-5), 4:1 ოვეჩკინი-12 (პოტი-4, სლოუნი-3), 4:2 ვიაჩ. კოზლოვი-12 (ლიტლი-10, კოვალჩუკი-13), 5:2 ვიქ. კოზლოვი-3 (ოვეჩკინი-17), 5:3 ოისტრიკი-1 (ტ. უაიტი-13, შნაიდერი-5).

**კაროლინა-ფილადელფია 1:3**

0:1, 1:0, 0:2

გოლები: 0:1 საიმონ განიე-12 (ჯ. კარტერი-5, ჰარტნელი-7), 1:1 ლაროუზი-7 (კულენი-2, კორვო-5), 1:2 მ. კარლი-2 (საიმონ განიე-17, სბისა-7), 1:3 საიმონ განიე-13 (ქობურნი-7).

**კოლამბუსი-ფინიქსი 2:3**

1:0, 0:2, 1:1

გოლები: 1:0 ჰუსელიუსი-8 (ტიუტინი-8), 1:1 ჰეილი-1 (ტარისი-5, ჟოვანოვსკი-4), 1:2 კარჩილო-2 (იენდლი-10, ჰანჟალი-10), 2:2 ჩიმერა-6 (უმბერგერი-4), 2:3 ტიხონოვი-2 (დოუნი-9, ჟოვანოვსკი-5).

**ტამპა ბეი-რეინჯერსი 2:3 (ბ)**

0:0, 1:2, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 ნესლუნდი-8 (როჟსივალი-9, ჟერდიოვი-14), 1:1 მელოუნი-5 (ლეკავალიე-8, ემინგერი-7), 1:2 ნესლუნდი-9 (როჟსივალი-10, ჟერდიოვი-15), 2:2 რეკი-5 (სენტ ლუისი-11, მეზაროში-6).

ბულიტები გაიტანეს: ნესლუნდი (რეინჯერსი), ჟერდიოვი (რეინჯერსი).

**ფლორიდა-ნიუ ჯერსი 2:3 (ო)**

0:2, 0:0, 2:0

გოლები: 0:1 ჯონტა-7 (ოდუია-10), 0:2 ზაიაცი-4 (ლანგენბრუნერი-9, პარიზე-12), 1:2 ბოუმისტერი-1 (უეისი-8, ბუტი-2), 2:2 ბუტი-11 (უეისი-9, ბოუმისტერი-9), 2:3 ოდუია-1 (ზუბრუსი-9).

**დეტროიტი-მონრეალი 1:3**

0:0, 0:3, 1:0

გოლები: 0:1 ლაპიერი-3 (ბიგინი-1), 0:2 პლეკანეცი-5 (მარკოვი-14, კოვალიოვი-11), 0:3 ჰიგინსი-5 (ს. კოივუ-11, კოსტოპულოსი-3), 1:3 ფრანცენი-10.

**მინესოტა-დალასი 3:4**

2:1, 1:1, 0:2

გოლები: 0:1 ნილი-4 (ლ. ერიქსონი-6, ბ. რიჩარდსი-12), 1:1 ბელანჟე-5 (ბერნსი-5, მ-ა. ბერჟერონი-8), 2:1 ნოლანი-2 (მ. კოივუ-15, მიეტინენი-8), 3:1 ბრუნეტი-7 (სკოულა-1, ბელანჟე-7), 3:2 ნილი-5, 3:3 ბ. რიჩარდსი-6 (ლ. ერიქსონი-7, უილსონი-1), 3:4 ლ. ერიქსონი-10 (რობიდასი-8).

**კოლორადო-სენტ ლუისი 3:1**

1:0, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 ტიარნკვისტი-1 (დ. ჯონსი-2, ლაპერიერი-3), 1:1 ტკაჩუკი-10 (ბრიუერი-3), 2:1 რ. სმიტი-6 (ლეოპოლდი-5, სალეი-5), 3:1 ლაპერიერი-3 (არნასონი-1, ტიარნკვისტი-1).

**ედმონტონი-ლოს ანჯელესი 1:2**

1:1, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 ო'სალივანი-6 (კოპიტარი-13, დოუტი-5), 1:1 ჰემსკი-6 (პენერი-2), 1:2 კოპიტარი-5 (ო'სალივანი-5, მოლერი-5).

**სან ხოსე-ჩიკაგო 3:2 (ო)**

0:0, 1:1, 1:1, 1:0

გოლები: 1:0 რ. ბლეიკი-3 (ქლოუ-7, ბოილი-13), 1:1 ტეუვზი-3 (ბროუერი-7), 1:2 ტეუვზი-4 (ბარკერი-7, კეინი-15), 2:2 მარლო-11 (ჯ. ტორნტონი-18, სეტოგუჩი-13), 3:2 ჯ. ტორნტონი-6 (ქლოუ-8).

## ფორმულა 1

# ვინ ააწყობს ძრავებს?

ავტოსპორტის სამყაროში კარგად ნაცნობი დამოუკიდებელი ბრიტანული კომპანია Ilmor, მთავარ ფავორიტად მიიჩნევა ტენდერში, რომელმაც ფორმულა 1-ის გუნდებისთვის სტანდარტული ძრავების მწარმოებელი ფირმა უნდა გამოავლინოს.

ტენდერი ავტოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ გამოაცხადა, თუმცა მის ჩატარებასა და მით უმეტეს, გამარჯვებულის გამოვლენაზე, ჯერ ნაადრევია ლაპარაკი, რადგან ცნობილი არ არის, დაეთანხმებიან თუ არა საჯინიბოების ხელმძღვანელები ფორმულა 1-ში სტანდარტული ძრავების შემოღებას.

Ilmor-ის გარდა, ტენდერში მონაწილეობის სურვილი გამოთქვეს ძრავების მწარმოებელმა ისეთმა ისეთმა ცნობილმა კომპანიებმა, როგორებიც არიან - Cosworth, Mecachrome, Zytek და Judd.

თავის დროზე, Ilmor "მაკლარენ-მერსედესს" ამარაგებდა ძრავებით, მაგრამ 2005 წელს გერმანულმა კონცერნმა წარმოება შეისყიდა და მას შემდეგ დამოუკიდებლად აგვარებს ამ პრობლემას. დღეისთვის, Ilmor "ჰონდას" იმ ძრავების მოდერნიზაციაზე მუშაობს, რომლებსაც "ინდიაკარის" სარბოლო სერიაში იყენებენ.

ბრიტანული კომპანიის შეფი **მარიო ილიენს** მიაჩნია, რომ ფორმულა 1-სთვის იდეალური ვარიანტი V-ის ფორმის 3-ლიტრიანი და 8-ცილინდრიანი ძრავა იქნება, რომელზეც სიჩქარის მაქსიმალური ზღვარი წუთში 14000 ბრუნს შეადგენს.

*"ასეთი ძრავები 680-700 ცხენის ძალას განავითარებენ და ექვს სარბოლო უიკ-ენდს გაუძლებენ"*, - ამბობს მარიო ილიენი.

# მაკლარენის სპონსორი ფერარიში გადავიდა



ოფიციალურად გახდა ცნობილი, რომ "მაკლარენის" სპონსორი, ესპანური ბანკი "სანტანდერი" 2010 წლიდან "ფერარის" ბანაკში გადავა და იტალიურ საჯინიბოსთან დაიწყებს პარტნიორობას.

ამ გარიგების შემდეგ, ესპანურ პრესაში ისევ დაიწყო ლაპარაკი მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, ესპანელი **ფერნანდო ალონსოს** სკუდერიაში გადაბარგებასთან დაკავშირებით. მით უმეტეს, რომ "სანტანდერის" პრეზიდენტმა **ემილიო ბოტინმა** გამოაცხადა, რომ დიდი სურვილი აქვს, ალონსო 2010 წლისთვის "ფერარის" რიგებში იხილოს.

*"2010 წელს ბანკი "სანტანდერი" "ფერარის" სპონსორი იქნება და ჩვენი დიდი სურვილია, ამ გუნდში ფერნანდოსთან ვითანამშრომლოთ. ალონსო - მსოფლიოს საუკეთესო პილოტია. მასთან კონტრაქტის გაფორმება ჩვენი საქმე არ არის, მაგრამ მაინც ყველა ღონეს ვიხმართ იმისთვის, რომ ფერნანდო იტალიაში ვიხილოთ. ალონსოს კარგად ვიცნობ და არასოდეს დამიმალავს აღფრთოვანება მისი ტრასაზე გამოსვლით. ნანდომ დაამტკიცა, რომ იმსახურებს კონკურენტუნარიან ბოლიდს, მაგრამ შედარებით ნელი მანქანებითაც აგრძელებს ბრძოლას და გამარჯვებების მოპოვებას"*, - ამბობს ემილიო ბოტინი.

ასე რომ, 2009 წლის ბოლოსთვის ისევ მძაფრად დადგება დღის წესრიგში ფერნანდო ალონსოს სხვა გუნდში გადასვლის საკითხი. არადა, ცოტა ხნის წინ, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონმა ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა "რენოსთან".

2008 წლის სეზონში, ბანკი "სანტანდერი" 25-ე ადგილს იკავებდა ფორმულა 1-ის გუნდების სპონსორებს შორის დაბანდებული თანხების რაოდენობით. დღეს ესპანელი ბანკირები "მაკლარენს" წელიწადში 16 მილიონი დოლარით ამარაგებენ...

## ჩოგბურთი

# რაფა 5 იანვარს დაიწყებს

ესპანურმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია, რომელიც მსოფლიოს პირველ ჩოგან **რაფაელ ნადალს** შეეხება. ცნობილი ხდება, რომ რაფა ახალ სეზონს 5 იანვარს, კატარის დედაქალაქ დოჰას ტურნირში გამოსვლით გახსნის.

წინასწარ არის ცნობილი, რომ კატარის ღია პირველობაზე ვარსკვლავური შემადგენლობა შეიკრიბება. უკვე ცნობილია, რომ დოჰაში თამაში დაადასტურეს შვეიცარიელმა **როჯერ ფედერერმა**, ბრიტანელმა **ენდი მიურეიმ** და ამერიკელმა **ენდი როდიკმა**.

აღსანიშნავია, რომ მიურეი კატარის ღია პირველობის მოქმედი ჩემპიონია. შარშანდელ ფინალში მან შვეიცარიელი **სტანისლავ ვავრინკა** დაამარცხა.

■ ■ ■

ამასობაში, დევისის თასის წლევანდელი ფინალის მონაწილეები - ესპანეთისა და არგენტინის ნაკრებები ახალი მწვრთნელის ძიებაში არიან. როგორც ცნობილია, გასულ უიქენდზე გამართული გადამწყვეტი მატჩის შემდეგ, პოსტის დატოვების სურვილი გამოთქვეს ესპანელმა **ემილიო სანჩესმა** და არგენტინელმა **ალბერტო მანჩინიმ**.

ესპანელებმა თითქმის იპოვეს სანჩესის შემცვლელი. თითქმის არავის ეპარება ეჭვი, რომ დევისის თასის მფლობელ გუნდს **ალბერტ კოსტა** ჩაიბარებს. თავად ემილიო სანჩესმა განაცხადა, რომ სწორედ 2002 წლის როლან გაროსის გამარჯვებულს მიიჩნევს თავის ერთადერთ მემკვიდრედ. კოსტას სასარგებლოდ მისცა თავის ხმა **დავიდ ფერერმა**, ხოლო რაფაელ ნადალმა მომავალი კაპიტნის კანდიდატურას ადრე დაუჭირა მხარი.

კოსტას ერთადერთი კონკურენტი როლან გაროსის კიდევ ერთი ჩემპიონი **ალექს კორეჩა** იქნება.

უფრო გაურკვეველია სიტუაცია არგენტინის ნაკრებში. ამ გუნდის კაპიტნობაზე სამი სპეციალისტი აცხადებს პრეტენზიას: **დავიდ ნალბანდიანის** ამჟამინდელი მწვრთნელი **მარტინ ჰაიტი**, იმავე ნალბანდიანის ყოფილი დამრიგებელი **გაბრიელ მარკუსი** და **ერნან გუმი**, რომელიც თავის დროზე რუს **მარატ საფინს** ავარჯიშებდა.



## ველოსპორტი

# ოქროს ველოსიპედი კონტადორს ერგო

წლევანდელი ჯირო დ'იტალიისა და ვუელტის გამარჯვებულმა, ესპანელმა **ალბერტო კონტადორმა** "ოქროს ველოსიპედი" მიიღო. ეს არის პრიზი, რომელსაც პრესის წარმომადგენლები წლის საუკეთესო ველომრბოლს ანიჭებენ.

გამოკითხვაში მეორე და მესამე ადგილები დაიკავეს ოლიმპიურმა ჩემპიონმა, შვეიცარიელმა **ფაბიან კანჩელარამ** და ტურ დე ფრანსის ესპანელმა ტრიუმფატორმა **კარლოს სასტრემ**.

*"ჩემი აზრით, ეს არის ველოსპორტის ყველაზე პრესტიჟული პრემია, რადგან მას სპორტის ამ სახეობაში მომუშავე ჟურნალისტები აწესებენ. ჩემთვის ეს გამარჯვება დიდი მოულოდნელობა იყო, რადგან წელს, ტურ დე ფრანსში მონაწილეობა არ მიმიღია"*, - განუცხადა სააგენტო "როიტერს" კონტადორმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

# უცხოური სპორტი

## უეფას თასი

### A ჯგუფი

**შალკე-მანჩესტერ სიტი 0:2**

**შალკე:** ნოიერი, რაფინია, ვესტერმანი, ბორდონი (74. ჰოვედესი), პანდერი, ჯონსი, რაკიტიჩი (63. ასამოა), ენგელაარი, ფარფანი, ჰალილ ალთინთოფი (81. სანჩესი), კურანი.

**მანჩესტერ სიტი:** ჰარტი, რიჩარდსი, კომპანი, დანი, გარიდო (46. ბოლი), ჰამანი, ირლანდი, რაიტ-ფილიპსი, ვასელი, მვარუვარი (85. ჟო), სტარიჯი.

**გოლები:** 0:1 მვარუვარი (32), 0:2 ირლანდი (67)

**გაფრთხილება:** 0-1

**მაყურებელი:** 54 000

**პსჟ-რასინგი 2:2**

**პსჟ:** ლანდრო, არმანი, ბურილიონი, სეარა, სახო, ტრაორე, როტენი (76. ოარუ), სანხარე (65. მაკელელე), კეჟმანი, ლუინდულა, პანკრატი (71. სესენონი).

**რასინგი:** ტონიო, გარაი, მარკანო, ნავასი, კოლსა, ოსკარ სერანო, ვალერა, ლასენი (65. ლუქსენი), მუნიტისი, პერეირა როდრიგესი, ჩიტე (79. გონკალვეში).

**გოლები:** 1:0 კეჟმანი (5), 2:0 ლუინდუ ლა (32), 2:1 ტრაორე (40-საკ. კარში), 2:2 კოლსა (56)

**გაფრთხილება:** 2-4

**მაყურებელი:** 28 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მანჩესტერ სიტი | 2 | 2 | 0 | 0 | 5-2 | 6 |
| 2. შალკე | 3 | 1 | 1 | 1 | 4-4 | 4 |
| 3. ტვენტე | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 4. რასინგი | 3 | 0 | 2 | 1 | 3-4 | 2 |
| 5. პსჟ | 2 | 0 | 1 | 1 | 3-5 | 1 |

### B ჯგუფი

**გალათასარაი-მეტალისტი 0:1**

**გალათასარაი:** დე სანკტისი, სერვეთ ჩეთინი, ემრე აშიქი (56. ბარიშ ოზბეკი), ვოლქან იამანი, ფერნანდო მეირა, საბრი სარიოგლუ, აიჰან აქმანი, არდა თურანი, ლინკოლნი, კიუელი (78. აიდინ ილმაზი), ბაროში (70. უმით ქარანი).

**მეტალისტი:** გორიანოვი, განკარჩიკი, ობრადოვიჩი, მაიდანა, ბორდიანი (90. კონიუშენკო), ვალიაევი, აპარესიდა, სლისური, გეიე, დევიჩი (63. ტრიშოვიჩი), ჯექსონ კოელიუ (79. ფომინი).

**გოლი:** 0:1 აპარესიდა (81)

**გაფრთხილება:** 2-1

**მაყურებელი:** 20 000

**ოლიმპიაკოსი-ბენფიკა 5:1**

**ოლიმპიაკოსი:** ნიკოპოლიდისი, პანტოსი, ანცასი, პაპადოპულოსი, დომი, გალეტი (59. ლეტო), პაცაცოგლუ, დუდუ, პ. ჯორჯევიჩი, ბელუში (76. ოსკარ გონსალესი), დიოგო (69. დ. კოვაჩევიჩი).

**ბენფიკა:** კუიმი, რეიესი, პერეირა პაესი, რუბენ ამორიმი (59. ბალბოა), ბინია, ნუნუ გომეში (56. ურეტავისკაია), დავიდ ლუიში, ჟორჟე რიბეირუ, იებდა (76. კარლუშ მარტინსი), სიდნეი, სუასო.

**გოლები:** 1:0 გალეტი (1), 2:0 პაცაცოგლუ (18), 3:0 დიოგო (24), 3:1 დავიდ ლუიში (33), 4:1 ბელუში (44), 5:1 დიოგო (53)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 33 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. გალათასარაი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-1 | 6 |
| 2. მეტალისტი | 2 | 1 | 1 | 0 | 1-0 | 4 |
| 3. ოლიმპიაკოსი | 2 | 1 | 0 | 1 | 5-2 | 3 |
| 4. ჰერტა | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 5. ბენფიკა | 3 | 0 | 1 | 2 | 2-8 | 1 |

### C ჯგუფი

**სამპდორია-შტუტგარტი 1:1**

**სამპდორია:** კასტელაცი, ლუკინი (72. კამპანარო), გასტალდელო, აკარდი, სტანკევიჩუსი, ფრანჩესკინი, სამარკო, პიერი, ჯ. დელვეკიო, კასანო, ბონაცოლი (68. ბელუჩი).

**შტუტგარტი:** ლემანი, ოსორიო, ბულარუზი, ტაში, მანინი (12. ბოკა), პარდო, ჰიტცლშპერგერი, ჰილბერტი, ელსონი (46. ლანიგი/76. ტრაში), მარიკა, გომესი.

**გოლები:** 0:1 მარიკა (8), 1:1 სამარკო (39)

**გაფრთხილება:** 2-3

**მაყურებელი:** 19 000

**პარტიზანი-სტანდარდი 0:1**

**პარტიზანი:** ბოჟოვიჩი, სტევანოვიჩი, ნ. ჯორჯევიჩი, კნეჟევიჩი, ტოშიჩი, ფეისა (78. ოაზიჩი), იუცა, მორეირა, ლიაიჩი (46. მარკო იოვანოვიჩი), ლამინ დიარა, ბოგუნოვიჩი (69. პაუნოვიჩი).

**სტანდარდი:** არაგონ ესპინოსა, კამოცატო, ონიევუ, სარი, დანტე, ვიტსელი, დეფური, გორო (67. ნიკესი), დე კამარგო, მილან იოვანოვიჩი (79. მულემო), მბოკანი ბეზუა.

**გოლი:** 0:1 დე კამარგო (36)

**გაფრთხილება:** 6-1

**მაყურებელი:** 14 210

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტანდარდი | 2 | 2 | 0 | 0 | 2-0 | 6 |
| 2. სამპდორია | 2 | 1 | 1 | 0 | 4-3 | 4 |
| 3. შტუტგარტი | 3 | 1 | 1 | 1 | 3-3 | 4 |
| 4. სევილია | 2 | 1 | 0 | 1 | 2-1 | 3 |
| 5. პარტიზანი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-5 | 0 |

### D ჯგუფი

**ნიიმეგენი-ტოტენჰემი 0:1**

**ნიიმეგენი:** ბაბოში, დანი ფერნანდესი (81. ჩიბამბა), ვისგერჰოფი, ცომერი, ელ-აქჩაუი, სიბუმი (65. ბუაუზანი), რადომსკი (46. კივუვუ), ლ. დავიდსი, შონე, ვან ბოკერინგი, ქაბირი.

**ტოტენჰემი:** გომეში, განტერი, დოუსონი, ვუდგეიტი, ბეილი, ბენტლი (90. მეისონი), ზოკორა, ჰადლსტოუნი, ო'ჰარა, ფ. კემპბელი (83. ობიკა), ბენტი (71. ლენონი).

**გოლი:** 0:1 ო'ჰარა (14)

**გაფრთხილება:** 1-0

**მაყურებელი:** 12 500

**დინამო (ზ)-სპარტაკი 0:1**

**დინამო:** ბუტინა, ლოვრენი (69. ეტო), დრპიჩი, ბისკანი, ჰრგოვიჩი, მიკიჩი, ვრდოლიაკი, მორალესი (42. ბალაბანი), ბადელი, იბანიესი, მანძუკიჩი.

**სპარტაკი:** პლეტიკოშა, პარშივლიუკი, ჟირანეკი, როდრიგესი, ფათჰი, კოვალჩიუკი, პავლენკო, ბაყენოვი, რ. კოვაჩი, საენკო, პრუდნიკოვი (59. მალოიანი).

**გოლი:** 0:1 საენკო (75)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 12 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ტოტენჰემი | 3 | 2 | 0 | 1 | 5-2 | 6 |
| 2. უდინეზე | 2 | 2 | 0 | 0 | 4-1 | 6 |
| 3. სპარტაკი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. დინამო | 3 | 1 | 0 | 2 | 3-7 | 3 |
| 5. ნიიმეგენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-4 | 0 |

### E ჯგუფი

**პორტსმუთი-მილანი 2:2**

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, გ. ჯონსონი, ქაბული, დისტენი, ბელაჯი, ლიტლი (66. მვუემბა), დიოპი, რ. ჰიუზი, ა. ტრაორე, კრაუჩი, კანუ (81. დევისი).

**მილანი:** დიდა, ძამბროტა, ფავალი, სენდეროსი, ანტონინი, ფლამინი, ემერსონი, გატუზო (65. ზეედორფი), კაკა (74. პატო), ფ. ინძაგი, შევჩენკო (74. რონალდინიო).

**გოლები:** 1:0 ქაბული (62), 2:0 კანუ (73), 2:1 რონალდინიო (84), 2:2 ინძაგი (90+2)

**გაფრთხილება:** 1-1

**მაყურებელი:** 20 403

**ბრაგა-ვოლფსბურგი** გვიან დასრულდა

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. მილანი | 3 | 2 | 1 | 0 | 6-3 | 7 |
| 2. ვოლფსბურგი | 1 | 1 | 0 | 0 | 5-1 | 3 |
| 3. ბრაგა | 2 | 1 | 0 | 1 | 3-1 | 3 |
| 4. პორტსმუთი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-5 | 1 |
| 5. ჰერენვეენი | 2 | 0 | 0 | 2 | 2-8 | 0 |

### F ჯგუფი

**ჟილინა-სლავია 0:0**

**ჟილინა:** პერნიში, პეკარიკი, ლაიტნერი, პეჩალკა, შურეკი, ვომაჩკა, შტრბა, ვლადავიჩი, იეჟი, ადაუტო, რილკე (84. სტივარი).

**სლავია:** ვანიაკი, კრაიჩიკი, სუხი, ბრაბეცი, ჰუბაჩეკი, ლატკა, მ. იაროლიმი (71. იანდა), ბედეჟი, სვენტო (82. ვოლეშაკი), ნესიდი, ივანა (89. სენკერიკი).

**გაფრთხილება:** 1-3

**მაყურებელი:** 8 789

**ჰამბურგი-აიაქსი 0:1**

**ჰამბურგი:** ფ. როსტი, დემელი, ბ. რაინჰარდტი, მატიისენი, აოგო, ალექს სილვა, იაროლიმი, ტროხოვსკი (68. პიტროიპა), ოლიჩი, ტიაგუ ნევეში (84. ტორუნი), გერერო (74. პეტრიჩი).

**აიაქსი:** ვერმეერი, ოლეგერი, ვან დერ ვილი, ვერტონგენი, ვერმაელენი, ენო (61. გაბრი), ემანუელსონი, ლინდგრენი, ბაკირჩიოგლუ (73. სნო), სუარესი, სულეიმანი (61. ლეონარდო).

**გოლი:** 0:1 ლეონარდო (77)

**გაფრთხილება:** 0-2

**მაყურებელი:** 52 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ასტონ ვილა | 2 | 2 | 0 | 0 | 3-1 | 6 |
| 2. აიაქსი | 3 | 2 | 0 | 1 | 3-2 | 6 |
| 3. ჰამბურგი | 2 | 1 | 0 | 1 | 2-2 | 3 |
| 4. სლავია | 2 | 0 | 1 | 1 | 0-1 | 1 |
| 5. ჟილინა | 3 | 0 | 1 | 2 | 1-3 | 1 |

### G ჯგუფი

**ბრიუგე-სტ. ეტიენი 1:1**

**ბრიუგე:** სტინენი, დე მეტსი, სიმაეისი, ალკასარი, კლუკოვსკი, კლემანი (63. გერაერტსი), ვარგასი, ივან ლეკო (69. დაერდენი), დირარი, სონკი, აკპალა (83. ჩავესი).

**სტ. ეტიენი:** ჟანო, ანდრეუ, პაულო მაჩადო, ბენალუანი, ვარო, პეიე (72. პერენი), ოტკოერი, მატუიდი, მაცუი (81. გომისი), მირალა, გილიოტი (67. ილანი).

**გოლები:** 0:1 გილიოტი (44), 1:1 ვარგასი (49)

**გაფრთხილება:** 2-3

**მაყურებელი:** 23 000

**რუსენბორგი-ვალენსია 0:4**

**რუსენბორგი:** იარსტეინი, ლუშტიგი (85. ბასმა), დემიდოვი, ლაგო, დორსინი, სკიელბრედი, ტეტეი, სტრანდი (73. ტრაორე), პელუ (64. იამტფალი), კონან ია, ივერსენი.

**ვალენსია:** რენანი, მიგელი, მარჩენა, რაულ ალბიოლი, დელ ორნო, ედუ, მატა (46. ხოაკინი), ალბელდა (78. მადურო), მანუელ ფერნანდეში (58. ბარახა), პაბლო ერნანდესი, მორიენტესი.

**გოლები:** 0:1 მატა (21), 0:2 პაბლო ერნანდესი (76), 0:3 ბარახა (88), 0:4 ხოაკინი (90)

**გაფრთხილება:** 0-0

**მაყურებელი:** 14 549

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. სტ. ეტიენი | 3 | 2 | 1 | 0 | 7-2 | 7 |
| 2. ვალენსია | 2 | 1 | 1 | 0 | 5-1 | 4 |
| 3. ბრიუგე | 2 | 0 | 2 | 0 | 1-1 | 2 |
| 4. კოპენჰაგენი | 2 | 0 | 1 | 1 | 2-4 | 1 |
| 5. რუსენბორგი | 3 | 0 | 1 | 2 | 0-7 | 1 |

### H ჯგუფი

**ცსკა-ლეხი 2:1**

**ცსკა:** აკინფეევი, ვ. ბერეზუცკი, ა. ბერეზუცკი, იგნაშევიჩი, გრიგორიევი (70. რაჰიმიჩი), შემბერასი, კრასიჩი, მამევი, ჟირკოვი, ძაგოევი (83. კანერი), ვაგნერ ლავი.

**ლეხი:** ტურინა, ჯურჯევიჩი, არბოლედა სანჩესი, ვოიტკოვსკი, ტანევსკი, ინიაცი, სტილიჩი, ვილკი, პეშკო (46. ბანდროვსკი), ლევანდოვსკი, რენგიფო.

**გოლები:** 1:0 ძაგოევი (31), 2:0 ჟირკოვი (45), 2:1 სტილიჩი (66)

**გაფრთხილება:** 3-1

**მაყურებელი:** 10 800

**დეპორტივო-ფეიენოორდი 3:0**

**დეპორტივო:** არანსუბია, მანუელ პაბლო, ლოპო, კოლოტო, ლუის ფელიპე, კრისტიანი, სერხიო, ხუან როდრიგესი (60. ანტონიო ტომასი), გუარდადო (51. ლაფიტა), ვალერონი, მისტა (69. ტორდესილასი).

**ფეიენოორდი:** ტიმერი, ტინდალი (46. ლუციუსი), ანდრე ბაია, ჰოფლანდი, დე კლერი, ვან ბრონკჰორსტი, ალ-აჰმადი (55. ლეერდამი), ფერ-ვიინალდუმი (62. სლორი), ბრუინსი, მაკაი.

**გოლები:** 1:0 ლოპო (29), 2:0 ჰოფლანდი (50-საკ. კარში), 3:0 გუარდადო (51)

**გაფრთხილება:** 2-0

**მაყურებელი:** 20 000

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ცსკა | 3 | 3 | 0 | 0 | 8-2 | 9 |
| 2. ნანსი | 2 | 1 | 1 | 0 | 5-2 | 4 |
| 3. ლეხი | 2 | 0 | 1 | 1 | 3-4 | 1 |
| 4. დეპორტივო | 2 | 1 | 0 | 1 | 3-3 | 3 |
| 5. ფეიენოორდი | 3 | 0 | 0 | 3 | 1-9 | 0 |

## ცხელი ხაზი

ეროვნული ბიბლიოთეკა

### ფეხბურთი

**პორტუგალიის თასი**

| | |
|---|---|
| მონკორვო-სეტუბალი | 0:4 |

### კალათბურთი

**ევროლიგა**

**კაცები**

| | |
|---|---|
| ჟალგირისი-ბარსელონა | 60:75 |
| მაკაბი-უნიკახა | 73:80 |
| ლე მანი-ოლიმპიაკოსი | 93:98 (ო) |
| ოლიმპია-ალბა | 77:69 |
| ხუვენტუდი-ტაუგრესი | 105:100 |
| მილანი-პანიონიოსი | 77:73 |
| რომა-ფენერბაჰჩე | 76:67 |

**ქალები**

| | |
|---|---|
| უგმკ-ლოტოსი | 69:51 |
| სპარტაკი (ვ)-ვილნიუსი | 85:41 |

### ჰოკეი

**კჰლ**

| | |
|---|---|
| ვიტიაზი-მეტალურგი (ნ) | 2:2 |
| სევერსტალი-აკ ბარსი | 0:7 |
| სკა-ნეფტეხიმიკი | 2:2 |
| სპარტაკი-სიბირი | 5:3 |
| მვდ-ატლანტი | 2:3 |
| დინამო (მნ)-ს. იულაევი | 3:5 |
| ცსკა-ამური | 2:6 |
| დინამო (რ)-მეტალურგი (მ) | 1:1 |

**ავსტრია**

| | |
|---|---|
| ინსბრუკი-ლინცი | 2:2 |

**გერმანია**

| | |
|---|---|
| შტრაუბინგი-ჰანოვერი | 2:4 |

**ნორვეგია**

| | |
|---|---|
| კომეტი-სპარტა | 2:4 |
| ლილეჰამერი-ფრისკ ასკერი | 8:1 |
| სტავანგერი-ვოლერენგა | 3:2 |
| ფურუსეტი-სტიორნენი | 5:2 |
| ლორენსკოგი-სტორჰამარი | 4:4 |

**ფინეთი**

| | |
|---|---|
| ილვესი-კერპეტი | 3:2 |
| კალპა-პელიკანსი | 3:1 |
| სეიპა-იუვიასკიულა | 2:1 |
| ტპს-იოკერიტი | 2:2 |
| ჰპკ-ტაპარა | 3:5 |
| ესეტი-კიეკო | 0:7 |

**ჩეხეთი**

| | |
|---|---|
| ზნოიმო-ტრშინეცი | 2:2 |

**შვედეთი**

| | |
|---|---|
| მოდო-ლულეო | 3:7 |
| როგლე-ბრიუნესი | 4:3 |
| სიოდერტალე-იურგორდენი | 4:1 |
| ტიმრა-აიკ | 4:3 |
| ფერიესტადი-ლინჩოპინგი | 4:1 |
| ჰვ71-ფრიოლუნდა | 2:2 |

## TV სპორტი

**28 ნოემბერი. პარასკევი**

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

08:00 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
09:00 სასტვენი.
09:30 90 წუთი - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
11:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ბორდო-ჩელსი.
13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქ ენდის მატჩების ანონსი.
13:30 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
15:45 2:1 - საფეხბურთო ტოქ-შოუ.
16:45 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
17:00 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ვილიარეალი-მანჩესტერ იუნ.
18:55 ზუსტი გათვლა.
19:10 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:25 ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. ზენიტი-იუვენტუსი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-კიოლნი(LIVE).
01:25 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
01:40 საფეხბურთო კლუბი.
02:30 FUTBOL MUNDIAL - საერთაშორისო ტელეჟურნალი.
03:00 გერმანიის ჩემპიონატი. ჰერტა-კიოლნი.
04:45 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ესპანეთის ჩემპიონატი. დეპორტივო-ბილბაო.
06:35 გასული კვირის ჰიტ-ალლუმი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ალკმაარი-აიაქსი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
09:45 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
09:50 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. შალკე-მანჩესტერ სიტი.
11:35 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. მაკაბი-უნიკახა.
13:15 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. მალაიზია.
15:50 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ბრაგა-ვოლფსბურგი.
17:35 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
17:40 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტური. არსენალი-დინამო.
17:50 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. პსჟ-რასინგი.
19:35 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. უნიონი-ალბა.
21:20 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
21:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:00 სპორტკლუბი.
23:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. ტურის წინ.
23:25 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. კარლსრუე-დორტმუნდი (LIVE).
01:30 სპორტინფორმი - ახალი ამბები.
01:35 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ნოკაუტები.
02:50 ავტოსპორტი. A1 გრანპრი. მალაიზია.
05:20 სპორტკლუბი.
05:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. შალკე-მანჩესტერ სიტი.
07:15 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ტურნირი. მაკაბი-უნიკახა.

**EUROSPORT**

11:30 სპორტული მეგზური.
11:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
12:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსენბორგი-ვალენსია.
13:15 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
14:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰამბურგი-აიაქსი.
14:45 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. V ტურის მიმოხილვა.
15:45 ფიგურული სრიალი. გრანპრი NHK Trophy. ორიგინალური ცეკვა. ტოკიო. იაპონია (LIVE).
17:15 ბოულინგი. ბრიტანეთი (LIVE).
19:15 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. კვალიფიკაცია. კუუსამო. ფინეთი.
20:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. გუნდური. კუუსამო. ფინეთი (LIVE).
21:45 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
22:15 ფიგურული სრიალი. გრანპრი NHK Trophy. კაცები. მოკლე პროგრამა. საფრანგეთი.
23:15 ფიგურული სრიალი. გრანპრი NHK Trophy. ქალები. მოკლე პროგრამა. საფრანგეთი.
00:00 მსოფლიოს უძლიერესი მამაკაცი. ევროპის ჩემპიონთა ლიგა.
01:00 პოკერი. საფრანგეთი.
02:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
02:30 ექსტრემალური სპორტი.
03:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიოს თასი. HS142. გუნდური. კუუსამო. ფინეთი.
04:15 სპორტული მეგზური.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
11:45 სერფინგი. აშშ.
12:00 ახალი ამბები.
12:45 სერფინგი. აშშ.
13:00 სნოუბორდი.
13:30 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსენბორგი-ვალენსია.
14:00 ახალი ამბები.
14:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ტურნირი. გერმანია-კანადა. ჩილე.
15:30 ახალი ამბები.
16:15 სერფინგი. აშშ.
17:00 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰამბურგი-აიაქსი.
17:30 ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). ქალები. ჯგუფური ტურნირი. ჩრ. კორეა-მექსიკა. ჩილე.
18:45 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. რუსენბორგი-ვალენსია.
19:15 ფეხბურთი. უეფას თასი. ჯგუფური ეტაპი. III ტური. ჰამბურგი-აიაქსი.
19:45 ახალი ამბები.
20:00 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XI ტური. პარიზი-კასტრი.
21:00 ახალი ამბები.
21:30 ექსტრემალური სპორტი.
22:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
22:30 ახალი ამბები.
22:45 სერფინგი. აშშ.
23:00 ევროგოლი - საფეხბურთო მიმოხილვა.
23:30 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP14. XII ტური. ტულუზა-ბეიონი (LIVE).
01:15 სერფინგი. აშშ.
01:30 ბრძოლა წესების გარეშე.
02:00 ახალი ამბები.
03:45 სერფინგი. აშშ.
04:00 ახალი ამბები.
04:45 სერფინგი. აშშ.
05:00 ახალი ამბები.
05:45 სერფინგი. აშშ.
06:00 ახალი ამბები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩოგბურთი

# ანა და ბავშვები



**დევისის** თასის ფინალიდან დაბრუნებულმა **ანა ივანოვიჩმა** სერბეთში გამართულ საქველმოქმედო აქციაში მიიღო მონაწილეობა. როგორც იცით, სერბი ჩოგბურთელი არგენტინაში თავისი ახალი ბოიფრენდის, ესპანელი **ფერნანდო ვერდასკოს** მხარდასაჭერად იყო ჩასული.

ივანოვიჩმა ცნობილ სერბ კალათბურთელ **საშა ჯორჯევიჩთან** ერთად UNICEF-ის მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო აქციაში მიიღო მონაწილეობა. ამ ღონისძიების სახელწოდება იყო - "საშობაო საჩუქარი" და ის უსახლკარო ბავშვების დახმარებას ემსახურებოდა.

*"ბავშვობაში თავად მიმიღია UNICEF-ისგან საშობაო საჩუქარი. ახლა, მე თვითონ ვუგზავნი ასეთ საჩუქრებს ბავშვებს. თქვენ ვერ წარმოიდგენთ, რამდენად ბედნიერები არიან ისინი ასეთი საჩუქრის მიღების შემდეგ"*, - წერს ანა ივანოვიჩი თავის ოფიციალურ ვებგვერდზე.

მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი ცნობილია თავისი საქველმოქმედო საქმიანობით. ძირითადად, ანას ყურადღება ბავშვებზეა გადატანილი. კორტის მიღმა ასეთი აქტიურობის გამო, ივანოვიჩს ქალ ჩოგბურთელთა ასოციაციისა და სხვა ორგანიზაციებისგან უამრავი პრიზი აქვს მიღებული.

# როდიკი და სერენა იმღერებენ

**ამერიკელი** ჩოგბურთელები - **ენდი როდიკი, სერენა უილიამსი** და **ჯონ ისნერი** მონაწილეობას მიიღებენ ტრადიციულ მუსიკალურ-საჩოგბურთო ფესტივალში, რომლის სახელწოდებაა - Rock-N-Racquets. წელს ეს ღონისძიება 12-14 დეკემბერს ლუისვილში, კოლამბიასა და ნოკსვილში ჩატარდება. ამერიკულ ტრიოსთან ერთად, ფესტივალში ჩაებმება დანიელი ჩოგბურთელი **კაროლინ ვოზნიაჩკი.**

Rock-N-Racquets-ის ორგანიზატორია ენდი როდიკის საქველმოქმედო ფონდი. ღონისძიების განსაკუთრებული ხიბლი იმაში მდგომარეობს, რომ ეს არის ჩოგბურთის, მუსიკისა და გართობის ერთგვარი სინთეზი.

მინიტურნირის რანგში სამი მატჩი გაიმართება: მამაკაცთა და ქალთა შორის ერთეულთა შეხვედრები და ერთიც წყვილთა მატჩი, რომელშიც როდიკისა და უილიამის დუეტი ისნერისა და ვოზნიაჩკის წყვილს დაუპირისპირდება.

Rock-N-Racquets ამერიკაში ზედიზედ მეშვიდე წელია ტარდება. ადრე ამ ფესტივალში მონაწილეობდნენ ჩოგბურთის ვარსკვლავები - **ანდრე აგასი, შტეფი გრაფი, ჯეიმს ბლეიკი, ბობ** და **მაიკ ბრაიანები.**

დღის ფოტო

# თავაზიანი ბექჰი



კრივი

# ორდენოსანი ჯო კრივიდან არ მიდის



**უელსელმა** მოკრივე **ჯო კალზაგემ** ბრიტანეთის დედოფალ **ელიზაბეტ II**-ისგან ბრიტანეთის იმპერიის ორდენი მიიღო. ცერემონიის შემდეგ ცნობილმა მოკრივემ აღიარა, რომ ძალიან ნერვიულობდა და ბევრი რამ აღარ ახსოვს იმ სიტყვიდან, რომლითაც მას დედოფალმა მიმართა.

ჯოს თქმით, ელიზაბეტ II-მ ხაზი გაუსვა იმას, რომ კალზაგეს ხანგრძლივი კარიერის განმავლობაში არც ერთი ბრძოლა არ წაუგია. გარდა ამისა, დედოფალმა მადლობა გადაუხადა მოკრივეს ქველმოქმედებისა და ბავშვებზე მზრუნველობისთვის.

36 წლის ჯო კალზაგეს პროფესიულ რინგზე 46 ბრძოლა აქვს ჩატარებული და ყოველთვის გამარჯვებული ტოვებდა რინგს. 1997 წელს, უელსელმა WBO-ის (კრივის მსოფლიო ორგანიზაცია) ვერსიით 76-კილოგრამამდე წონით კატეგორიაში მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული მოიპოვა და მას 2007 წლამდე ინარჩუნებდა. 2007 წლის 11 მარტს კალზაგემ დანიელ **მიკელ კესლერს** სძლია და მას WBC-ისა (კრივის მსოფლიო საბჭო) და WBA-ის (კრივის მსოფლიო ასოციაცია) ტიტულები ჩამოართვა.

იმისთვის, რომ 2008 წელს **ბერნარდ ჰოპკინსსა** და **როი ჯონსს** შეხვედროდა, კალზაგემ ყველა ამ ტიტულზე თქვა უარი. მან ორივე ბრძოლა ქულებით მოიგო და ჯონსის დამარცხების შემდეგ პროფესიული კრივიდან წასვლის შესახებ ოფიციალური განცხადება გააკეთა.

მაგრამ დაუმარცხებელმა უელსელმა დედოფალთან შეხვედრის შემდეგ განაცხადა, რომ კარიერის დასრულების შესახებ საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ არ მიუღია. ჯოს სიტყვებით, კარგი ჰონორარის სანაცვლოდ ის აუცილებლად დაბრუნდება რინგზე.

*"თუ ვინმე დიდ თანხას შემომთავაზებს, სულელი უნდა ვიყო, რომ მასზე უარი ვთქვა. მარტში 37 წელი შემისრულდება, მაგრამ ასაკი არ მეტყობა. ჩემი შემხედვარე ვერავინ იტყვის, რომ კრივით ვარ დაკავებული. მინდა, მომავალშიც ასე გაგრძელდეს"*, - მოჰყავს კალზაგეს სიტყვები "სქაი სპორტსს".

# კლიჩკოს გომესთან ჩხუბი არ უნდა



**ჩვენ** უკვე ვწერდით იმის შესახებ, რომ WBC-მ სუპერმძიმე წონაში მსოფლიოს ჩემპიონ **ვიტალი კლიჩკოს** ამ ვერსიის ოფიციალურ პრეტენდენტთან, კუბელ **ხუან კარლოს გომესთან** ბრძოლა დაავალდებულა. მხარეებმა 19 დეკემბრამდე უნდა მოილაპარაკონ და ბრძოლის ადგილი და თარიღი შეარჩიონ.

მაგრამ ამ ბრძოლის გამართვა ეჭვის ქვეშ დგას. უკრაინელ მოკრივეს მიაჩნია, რომ სავალდებულო პრეტენდენტი გომესი ამერიკასა და გერმანიაში ძალიან არაპოპულარულია. ვიტალი მიიჩნევს, რომ კუბელზე ფულს ვერ იშოვი, გარკვეული რისკი კი არსებობს.

არადა, ხუან კარლოს გომესი ერთადერთი მოკრივეა, ვისაც პრომოუტერ **აჰმეთ ონერისთვის** მოგება მოაქვს. ონერის ყველა დანარჩენი კლიენტი - "ბებერი" **სინან სამილ სამი**, 2004 წლის ოლიმპიადის ვერცხლის მედალოსანი **ატაგიუნ იალჩინკაია** და სხვა კუბელი ჩემპიონები, მხოლოდ წამგებიანები არიან. თავის დროზე, პრომოუტერული ხელშეკრულების გაფორმებისთვის მათ საკმაოდ დიდი ბონუსები მიიღეს. ისინი ხარბი თვალებით უყურებენ კონტრაქტში ჰონორარის ციფრებს და მათი ვარჯიშიც საკმაოდ ძვირი ჯდება. ამიტომაც, ონერი მუდმივად ზარალშია.

თანაც ონერს რეპუტაცია აქვს შელახული - სხვა პრომოუტერებთან კამათისას მისი ხულიგნური გამოხტომები და ჩხუბი ახასიათებს. ის საგადასახადოსა და ნარკოტიკებთან ბრძოლის დეპარტამენტს ანერვიულებს. ეს ყველაფერი ცუდად მოქმედებს აჰმეთის ავტორიტეტზე, ამიტომაც საკუთარი ინიციატივით ონერთან საქმის დაჭერას ყველა თავს არიდებს.

ამ ყველაფრის გათვალისწინებით, ხულიგანი ევროპელი პრომოუტერი გომესისთვის სატიტულო ბრძოლის ორგანიზებას ცდილობს, რაც მის შელახულ პრესტიჟს აღადგენს და გარკვეულ ფინანსურ მოგებასაც მოუტანს.

ამიტომაც ონერი ყველანაირად ეცდება თავისი შეგირდის უფროს კლიჩკოსთან "დაჯახებას", მაგრამ უკრაინელს დღეს მხოლოდ ბრიტანელი **დევიდ ჰეი** აინტერესებს, რომელიც წარმატებით გადავიდა მძიმედან სუპერმძიმე წონაში, როცა სადებიუტო ბრძოლაში ამერიკელი **მონტე ბარეტი** დაამარცხა.

აგრეთვე დადის ჭორები იმის შემახებ, რომ კლიჩკოს "შესაჭმელად" **ოლეგ მასკაევს** მისცენ. თუმცა მანამდე, რუსს ერთი-ორი ბრძოლის ჩატარება მოუწევს "კარგი პრეტენდენტის" სტატუსის მისაღებად.

იმასაც ამბობენ, რომ ვიტალი კუბელს საბოლოო პასუხს მხოლოდ მაშინ მისცემს, როცა 20 დეკემბერს **ნიკოლაი ვალუევისა** და ამერიკელი **ევანდერ ჰოლიფილდის** ბრძოლის შედეგი გახდება ცნობილი.

გოლფი

# ტაიგერმა 100 მილიონი დაკარგა

**კორპორაცია** General Motors ლეგენდარულ ამერიკელ გოლფისტ **ტაიგერ ვუდსთან** პარტნიორული ხელშეკრულების გაწყვეტას აპირებს. ადრე გაფორმებული კონტრაქტის თანახმად, ვუდსს ცხრა წლის განმავლობაში უნდა გაეწია რეკლამა GM-ის ავტომობილებისთვის.

General Motors-სთან თანამშრომლობის წინა ხუთწლიანმა პროგრამამ ტაიგერს 40 მილიონი დოლარი მოუტანა. ახალი კონტრაქტის თანახმად, რომლის გაწყვეტასაც General Motors აპირებს, ვუდსს ჯამში 100 მილიონი დოლარი უნდა მიეღო.

როგორ GM-ის ოფიციალური წარმომადგენელი აცხადებს, კონტრაქტის გაწყვეტა ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე მოხდება და მხარეებს შორის არანაირი საკამათო საკითხი არ დარჩება. მისივე განმარტებით, პროგრამის შეწყვეტა General Motors-ის ფინანსურ სირთულეებს არ უკავშირდება. თუმცა უფრო ადრე ამერიკულმა პრესამ გაავრცელა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ავტოგიგანტი გაკოტრების პირას არის მისული.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**